ჯანსოლ ნიჟარაძე

ცისფერი სილუეტი

„ნაკადული"
თბილისი * 1970

Г 2
899.962.1-93
Б 734

7-6-3

„ციხისგორას საიდუმლო“ პოეტ ჯანსუღ ნიქაბაძის პირველი პროზაული ნაწარმოებია.

მოთხრობის მთავარი გმირები იქვენი თანატოლები არიან. ისინი ცხოვრობენ საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან ქალაქში.

მწერალი მხატვრული უშუალობითა და სიმართლით გვიხატავს ბავშვების საინტერესო და ხიფათით სავსე ცხოვრებას.

მეგობრობა, ერთმანეთის გატანა და დახმარება, — აი, რა აშშვენებს მათ სულიერ სამყაროს.

სათევზაოდ

— დათო!

დილაუთენია ჩამესმა ძილში.

„ნეტავი ვინ არის?“

— დათო, დათო!

„გამიწყალეს გული, მეძინება!“

— დათუნაა!

ძახილს ახლა სტვენა მოჰყვა.

ზანტად ვახელ თვალებს, იდაყვით ფანჯრის რაფას ვეყრდნობი. ეზოში, სამტრედესთან, გია და მამუკა დგაჩან. ჩამოდიო, — ხელით მანიშნებენ. უხმოდ ვიცვამ. ოთახში არავინაა.

ცივა.

სამზარეულოში ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებს.

კარადასთან ჩემი ძველი ჩანთა გდია. ეყოფა, სამ წელიწადს ვათრიე კლასიდან კლასში. ახლა, ალბათ, ახალს მიყიდიან.

დერეფანში ელექტროზარი აწკრიალდა. მერძევე თუა. ნამდვილად ის არის. ჩვეულებისამებრ სრუტუნებს. გაცივებულია.

მაგიდიდან რამდენიმე ცალ ნამცხვარს ვიღებ, ჯიბეში ვიტენი და ეზოში ფეხაკრეფით ჩავდივარ.

— სადა ხარ აქამდე? რა ძილქუში დაგეცა? — მეკითხება უკმაყოფილოდ მამუკა.

— რა ვიცი, წუხელ ძილი გამიტყდა და...

— მეც კარგა ხანს ვიტრიალე ლოგინში! — ამბობს გია.

— ეჰ, ყველაფერს ბედი უნდა, თორემ გუშინდელი თამაში უნდა წაგვეგო? მერედა, როდის... თამაშის დამთავრებას რაღაც წუთებიღა აკლდა, — სინანულით ამბობს მამუკა.

— ვერა ნახეთ, რა ბურთი გაუშვა ლევანმა? ლობიო!

— არა, შენ ბონდოია უნდა გენახა, ცხენივით რომ ხვიხვინებდა.

— კიდევ კარგად გადაგვირჩითო, მადლობა უნდა გვითხრათო...

გია მტრედებს საკენკს უყრის. მტრედები მხიარულად ღუღუნებენ. ნელ-ნელა იღვიძებს ქალაქი. ქუჩებში ძილგატეხილი მეეტლეები უხალისოდ მიერეკებიან ჯაგლაგა ცხენებს. ხანდახან მსუბუქი მანქანა თუ ჩაიქროლებს,

უკან ბოლქვებად ავარდნილი მტვრის კორიანტელი მიყვება კუდივით.

თენდება.

სადღაც, ახლოს, მამალმა იყივლა. უმალ მდინარის გაღმიდან სხვა მამლებმა უპასუხეს სულწასულ მამლაყინწას.

— ყიყლიყოო!

ეს უკვე ბაბუა ივანეს მამალია, ხმაზე ვცნობ.

— ყვინჩილამ გაიღვიძა! — იცინის მამუკა, — საცაა პატრონიც გამოჩნდება.

ასეა ყოველთვის, მისი დაყივლება და ბაბუა ივანეს გამოჩენა ერთია ხოლმე, მაგრამ ახლა რატომღაც იგვიანებს. აკი სათევზაოდ წაყვანას დაგვპირდა.

ერთმანეთს გადავხედეთ.

— მამუკა, მიდი, გაიგე, სად არის.

დასაქმებაზე მუდამ წელათრეული მამუკა უხალისოდ მიდის.

ბაბუა ივანე ჩვენი სკოლის დარაჯია. მეზობლად ცხოვრობს. ამ ბოლო დროს თავს ცოტა შეუძლოდ გრძნობს. ზოგჯერ მთელი დღეები ლოგინში წევს მარტოხელა ბერიკაცი. ერთხელ ჩვენმა რაიკომის მდივანმაც კი მოინახულა. მოწაფეობისას თურმე დიდი ეშმაკი და ქვის მტეხავი ყოფილა. დღე ერთი იყო და ათას მაკვარანცხულ რამეს მოიგონებდა. სკოლის ფანჯრებს ხომ სულ ლაწა-ლუწი გაუდიოდა, ვერ იქნა, დამნაშავეს ვერ მიაგნეს. ერთიც ვნახოთ, დარაჯს ეგ არ დაუჭერია? ამდგარა ბაბუა ივანე და სარკმელი უხმოდ ჩაუსვამს, ის კი ლა-

ზათიანად მიუტყეპია. ის იყო და ის... ამის შემდეგ ონავარი ჭკუაში ჩამდგარა.

ბებიაჩემიც ასე ფიქრობს: — დღეში ორ-სამჯერ უნდა გაგასილაქონ, იქნებ კაცი გამოხვიდეო.

მამუკას შეაგვიანდა. ასეთია, ჯერ წასვლა ეზარება, მერე — მოსვლა.

— ალბათ ჩაწვა სადმე.

— ეჰ, მამუკა თუ დაასაქმე, იცოდე, შენც უკან უნდა მიჰყვე! — ხელი ჩაიქნია გიამ.

ის იყო ეზოდან გავდიოდით, ალაგესთან აქოშინებული მამუკა შემოგვეჩეხა, მოხუცი უთენია სადღაც წასულაო.

— მერე, ამდენ ხახს რას უცდიდი?

— აქეთობას, ვარდენის ეზოზე რომ გადმოვდიოდი, მისი დაფეხვილი ძაღლი ამეკიდა!..

— რა ვქნათ? — ვთქვი მე. ახლა მამუკასთან წილადობილას არც ხალისი გვქონდა და არც დრო.

— იქნებ ხვალისათვის გადაგვედო? — წამოიწყო მამუკამ, მაგრამ გიამ უმალ გააწყვეტინა:

—კარგი, გეყოფა ამდენი ორჭოფობა, გვე-ყო-ფა!— უკანასკნელი სიტყვა თითქმის ყურში ჩასძახა უკვე საკმაოდ შემცბარ მეგობარს.

— მე ისე... თუ გინდათ, წავიდეთ! — უკან დაიხია მამუკამ.

— ანკესები მზად არის?

— კი!

— ჭიაყელებიც!

— საუზმის წამოღება ხომ არ დაგვიწყნიათ?

— ყველაფერი რიგზეა!

— მაშ, წავსულვართ. რაღას ვუცდით?

— ნატოს რაღა ვუყო? — შეფიქრიანდა მამუკა.

ნატო მამუკას პატარა დას ჰქვია.

— როგორ, საბავშვო ბაღში არ მიდის?

— წუხელ მთელი ღამე ახველებდა, დედამ დამიბარა, სახლში დარჩესო.

— აი, ესეც ახალი ამბავი!

— ბებიაჩემს მივუყვანოთ, — ვთქვი მე.

— როგორც გინდათ, მე კი ნურაფერში გამრევთ! — განზე გადგა გია.

— არც მე მაქვს ცხრა თავი! — ქვა ააგდო მამუკამ.

მეტი რა ჩარა იყო, ბებიასთან მოლაპარაკება ისევ მე ვითავე. ვიცოდი, უკეთეს შემთხვევაში ცოცხი თუ არა, ჩინებული წყევლა მაინც არ ამცდებოდა, მაგრამ იოლად გადავრჩი. ბებიას ნატოს მიყვანა გაუხარდა. მე კი, ამჯერად, მხოლოდ მამაზეციერთან გამაგზავნა კინჩხის მოსატეხად.

* *

მზეს ჯერ კიდევ მთებს იქით, ოქროს საბუდარში ეძინა, როცა სათევზაოდ წინასწარ შერჩეულ ადგილზე მივედით. ფეხსაცმელები გავიხადეთ, შარვლები მუხლებამდე დავიკარწახეთ და ანკესები წყალში ჩავუშვით.

ცოტა ხნის შემდეგ გიამ საუზმე ამოალაგა და რიყეზე სახელდახელოდ გაშალა.

— დათო, იცი, ჩვენს უბანს ციხისგორას რატომ ეძა-

ხიან?—მეკითხება მამუკა და პირში ვეება ლუკმას იჩრის.

— ეს ხომ ყველამ იცის,—გაიცინა გიამ,—გამომიჩნდა მეცნიერი! ციხე-სიმაგრე მდგარა და იმიტომ.

— იქნებ, ციხეს რომ საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, ისიც იცი? — იხტიბარს არ იტეხს მამუკა.

— ეგეც ვიცი, გვირაბი ყველა ციხეს ჰქონდა.

— ჰე! — ტუჩს იბზუებს განაწყენებული მამუკა.

გიას მუჯლუგუნი წავკარი, ისიც თითქოს ამას მოელოდაო, რიყეზე გაიშოტა.

— კარგი, აბა, ჩამოკაკლე, რა იცი!

— მე ეს ისე ვთქვი... თუ გინდათ, მოგიყვებით...

— მიდი, მამუკ, გიას ყურს ნუ უგდებ! — ისევ შევამხნევე მეგობარი. მამუკას მეტის თქმა არ დასჭირვებია. კმაყოფილებით ჩაახველა და დაიწყო:

— თურმე ერთხელ, ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, საქართველოს მტერი შემოსევია. მაშინ ამ მთაზე ციხე-სიმაგრე მდგარა და უთვალავ განძეულობასაც აქ ინახავდნენ. მტერს ციხისათვის ალყა შემოურტყამს. როცა ეგონათ, ისედაც ერთი მუჭა მეციხოვნეები შიმშილისაგან უკვე დაუძლურებული იქნებიან და უბრალო წინააღმდეგობასაც ველარ შესძლებენო, მხიარული ყიჟინითა და დაფდაფების ცემით შეჭრილან ციხეში, მაგრამ დახეთ, საოცრებას! თითქოს მიწამ პირი უყოო, ძეხორციელი არ დახვედრიათ. ცხადია, აღარსად იყო განძეულობაც.

გაოცებული გია წამოჯდა.

— ციხიდან როგორღა გასულან. ჰა?

— აკი ვთქვი, ციხეს საიდუმლო გვირაბი ჰქონდა-მეთქი...

— მერე?.. მერე?..

— გაბრაზებულა ურჯულოთა სარდალი, ოთხივ კუთხით მსტოვრები უფრენია, მაგრამ ამაოდ!.. ბოლოს ჯავრი ციხეზე უყრია, სულ ნაცარტუტად უქცევია.

— ჰაი, დედასა! — გულზე მჯიღს იცემს გია.

— ნეტავი ახლაც თუა ის გვირაბი?

— ამაზე არაფერი უთქვამთ, არ ვიცი.

—შენ საიდანღა გაიგე ეს ამბავი?

— ბაბუა ივანე ელაპარაკებოდა ამას წინათ ვიღაც უცნობს და ჩვენი სკოლის კედლებს უჩვენებდა, იმ ციხის ლოდებითაა აშენებულიო.

ყველანი გავჩუმდით.

შორს თანდათან განათდა თვალშეუდგამ მთათა დათოვლილი ხორხები. ნელ-ნელა, თითქოს უხილავი ძაფებით ეზიდებიანო, ამოვიდა დიდი, წითელი მზე.

ანაზდად მამუკა აწრიალდა.

— შეხედეთ, შეხედეთ!

წამოვიწიე, გიას ანკესის ტივტივა თვალდათვალ იძირებოდა.

— ამოსწი, რაღას უცდი?!

— სუ, ჩუმად! მინდა კარგად მოეკიდოს!

— ჩქარა, ჩქარა-მეთქი! — არ ისვენებს მამუკა.

გიამ ანკესი სწრაფად აიქნია. პატარა ქორჭილამ ჰაერში შეიფრთხიალა, მაგრამ ანკესს უმალ მოსწყდა და ისევ მდინარეში გაუჩინარდა.

— ეჰ! — გულდაწყვეტით თქვა გიამ და მამუკას შეუტია: — სულ შენი ბრალია, ამოსწი, ამოსწიო და... აჰა!

— ერთი ამას დამიხედეთ, კიდევ აქეთ მედავება! —

წარბი შეიკრა მამუკამ და, თითქოს თანაგრძნობას მოელისო, ჩემსკენ გამოიხედა.

მე არაფერი მითქვამს. გიამ ანკესზე ხელახლა ააგო ჭიაყელა და ისევ წყალში ჩაუშვა. მერე ჯიბიდან შაქრის რამდენიმე ნატეხი ამოიღო, უხმოდ შემოგვთავაზა, არ დაუძალებია, პირში წკლაპუნით ჩაიყარა და აქამდე ქაღალდში გაჩრილი წიგნი გადაშალა.

უცებ ძახილი შემოგვესმა.

გაღმა ნაპირზე იღლიაში ტანისამოსამოჩრილი ბიჭი იდგა.

— ბონდოია!

— ის არის, ის! —აწრიალდა მამუკა.

ბონდოიას ხსენებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მთელი უბანი აკლებული ჰყავდა ამ ქვატეხია სალახანას. დავფაცურდით. ჯერაც არ დაგვიწყებოდა, ამას წინათ როგორ წაგვართვა ანკესები და ერთი-ორი მუჯლუგუნიც გვითავაზა, — ასე ცოტა რატომ მოგიტანიათო.

ბაბუა ივანეს ხომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა ბონდო. განსაკუთრებით ერთი ამბის შემდეგ.

მაშინაც სათევზაოდ ვიყავით. შუადღემდე, ვიდრე ჩამოცხებოდა, რამდენიმე ქორჭილა დავიჭირეთ. ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, გრიალი შემოგვესმა. ვილაც მდინარეში „დინამენტებს“ აფეთქებდა.

ო, უნდა გენახათ ბაბუა ივანე, გაბრაზდა და მერე როგორ!

ორნი იყვნენ, ბონდოია და მისი ძმაკაცი პატიკო. იმათ რომ დღე დაადგა, ჩვენს მტერს! ორივენი სულ პანტაპუნტით გადაყარა მდინარეში. აი, თქვე ასეთებო

და ისეთებოო, უძახა. მერე კი მთელი საღამო წუხდა, ვიცი, დააშავეს, მაგრამ ასე მაინც არ უნდა გამემეტებინაო..

— მეთევზეებს გაუმარჯოს! — დამცინავი ღიმილით მოგვესალმა დაუპატიჟებელი სტუმარი, — დაიჭირეთ რამე?

მაღალი, ჩხიკვივით გამხდარი ბონდოია, თითქოს საჩხუბრად გვიწვევსო, ღრმად ჩამჯდარი თხილივით მრგვალი თვალებით მოგვჩერებოდა.

— ახლახან მოვედით! — ძლივს ამოღერღა მამუკამ.

— მერე? — თითქოს ამას ელოდაო, დაიჭექა ბონდოიამ, — დაგავიწყდათ, ამ ადგილებში ჩემი ნებართვის გარეშე თევზაობა რომ აკრძალულია?!

გია უხერხულად შეიშმუშნა.

— მაშ, დაგავიწყდათ, არა? ახლავე გაგახსენებთ! — ნიშნის მოგებით ჩაიცინა ბონდომ, —აბა, ჩამოყაჭეთ ანკესები!

ბონდოია ჩვენზე უფროსი იყო და, ცხადია, ღონიერიც. ვიცოდით, მასთან ჩხუბი კარგს არაფერს მოგვიტანდა, მაგრამ მაინც ჯიუტად ვიდექით. ცოცხალი თევზით არ გვინდოდა დაგვეთმო ანკესები.

— აბა, ჩქარა, ჩქარა, ნუ ინაზებით, სანამ მართლა არ გავბრაზებულვარ! — ქირქილებდა ბონდოია.

მამუკა ნელ-ნელა იხევდა უკან, გაქცევას თუ აპირებდა. გიას ფუნჩულა, გამობერილი ლოყები შეფაკვლოდა.

— აჰა, ჩემები აიღე, ამათ კი თავი დაანებე! — წინ გადავუდექი ბონდოს და ჩემი ანკესები გავუწოდე.

— არა, ყველა მომეცით! — გაჯიუტდა ბონდო.

მაგრამ არც ბიჭები აპირებდნენ დათმობას.

ვხედავდი, ბონდოიას როგორ ნელ-ნელა მისდიოდა ფერიფური.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

არ მახსოვს, სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრული გია როგორ ეცა მოძალადეს, როგორ დაატაკა კოტორა თავი მუცელში და როგორ დაბარბაცდა ტკივილისაგან სახედამანჭული ბონდოია. სანამ მოულოდნელი დარტყმით საქციელწამხდარი ბონდო გონს მოეგებოდა, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.

მამა და დაუპატიჟებელი სტუმარი

ეზოში შესვლისთანავე დედაჩემის ხმა მომესმა.

— აა, მობრძანდი, ვაჟბატონო? მოგშივდა, არა? ახლავე ზევით ამოდი! მამა ჩამოვიდა!

სიხარულისაგან გული შემიქანდა. დიდი ხანია მამა არ მენახა. მამაჩემი ინჟინერ-გეოლოგია, ზაფხულობით სულ მთებშია, ექსპედიციაში.

— უი, დამიდგეს თვალები! სად იყავი, ბიჭო? — შემომიტია ბებიამ, როცა მამას მზით გარუჯულ კისერზე ჩამოვეკიდე, — ერთი შეხეთ, რას უგავს ამ დილით ჩაცმული ხალათი?

ახლალა შევამჩნიე იდაყვთან წითელი ლაქა. „ალბათ მაშინ თუ გადამექლიშა...“ —გამიელვა თავში და დამნაშავესავით გავინაბე. მეორე ოთახში შევიპარე, ნიშნების ფურცელი გამოვიტანე და მამას უხმოდ გავუწოდე.

— ქართული წერა და ზეპირი — 5, არითმეტიკა —

5, რუსული წერა და ზეპირი—5...—ჩამარცვლით კითხულობდა მამა, თან სუფრასთან მოფუსფუსე დედას დროდადრო ღიმილით გახედავდა, — 5, 5, 5... ყოფაქცევა — 5!

ბებიამ მოაყურადა:

— იმდენი მაგას რა ვუთხრა? ნეტავ რაში უწერენ ხუთს? ალბათ ცუღლუტობაში. აბა, სხვა რა უნდა იფიქროს ადამიანმა?

— გადაყვანილია მეშვიდე კლასში. ყოჩაღ, შვილო!— მომიალერსა მამამ, — სიტყვის პატრონი ყოფილხარ, არც მე გადავალ ჩემს პირობას, უსათუოდ გიყიდი ველოსიპედს.

— არ გაბედო! — ხელები გაასავსავა ბებიამ.

— ეგღა აკლია ახლა! — მხარი აუბა დედაჩემმა.

მამა მხიარულად იცინის.

ანაზდად ეზოდან სტვენა მოისმა. ისევ მამუკა იყო.

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მეეტლესავით ყოველ წუთს სტვენა, — გაწიწმატდა ბებია და მერე მამას მიუბრუნდა მუდარით: — უთხარი, შვილო, რამე, მთელი დღე ყაჩაღივითაა გავარდნილი, სახლში ბაწრით ვერ შემოათრევს კაცი.

მამა წამოდგა და ბებოს მოეხვია.

— დამშვიდდი, დედი! ამ დღეებში ისევ მოვბრუნდები და ჩემთან წავიყვან მთებში!

ბედნიერებისაგან ლამის ცაში ავფრენილიყავი. თვალწინ დამიდგა მაღალი, თეთრნაბადა მთები, წკრიალა ჩანჩქერები, ქამანდივით დახვეული ბილიკები, ტყისპირად გაშლილი გეოლოგთა კარვები, კარვებთან უწესრი-

გოდ დაყრილი საძილე ტომრები, ზურგჩანთები, წერაყინები... და დიდი, უზარმაზარი, წითელი მზე...

ფანჯრიდან ეზოში გადავიხედე, არავინ ჩანდა. შეშის ფარდულის კედელზე ვიღაცას ნახშირით დიდთავა, თმააბურძგნული ტიკინა დაეხატა, რუმბივით გაბერილ მუცელზე „მამუკა“ ეწერა. გამეცინა. საწყალი ბიჭი! მართლაც, რამდენს აწვალებდა აჯაგრულ თმას. წამდაუწუმ წყლით ისველებდა, მაგრამ, ამაოდ. ოდნავ შეაშრებოდა თუ არა, ისევ ზღარბის ეკლებივით აეშლებოდა.

დერეფანში ელექტროზარი აწკრიალდა.

„ერთი, ორი, სამი!.. ე. ი. ჩვენთან არიან. ნეტა, ვინ უნდა იყოს?“

— დათო! — მოვესმა დედაჩემის ხმა, — შენთან სტუმარია!

კარებში ვეება თაიგულით ეკა იდგა. ეკამ ყვავილები დედაჩემს მიაწოდა, ხმადაბლა რაღაც თქვა და მერე თვალებით მე მომძებნა, გამიღიმა. დედამ თაიგული სასოებით ჩამოართვა და მამას გადახედა.

იმ წუთს მიწა რომ გამხეთქოდა, ის მერჩივნა. ფეხები ძლივს ავითრიე. დაუპატიჟებელ სტუმარს სკამი შევთავაზე.

უნებურად მის მზერას გავაყოლე თვალი, დალაქავებულ სახელოზე მიყურებდა.

— მაშინ მოგვიდა?

— ჰო!..

— რას იზამ, ასეთი ავია ჩვენი ბროლია.

— ფეხი რომ არ დამცდენოდა...

— გაასწრებდი, არა?

„ეჰ, რატომ ფეხი არ მომტყდა მაშინ!“

— ვერ დამეწეოდა!

ეკას გაეღიმა, მივხვდი, ჩემი არ სჯეროდა.

„მეტიჩარა! მოვიდა, რომ დამცინოს! მაინც რა ჯანდაბამ შემიყვანა იქ? რა მინდოდა, ახია ჩემზე! არა, მაინც ვინ მეხვეწებოდა?“

ყველაფერი ჩემდაუნებურად მოხდა. სირბილისაგან აქლოშინებული ბიჭები სულის მოსაბრუნებლად ბაბუა ივანეს ჭიშკართან შევჩერდით. სკოლისაკენ მიმავალს, ვინ იცის, რამდენჯერ ჩამივლია ამ გზაზე და ერთხელაც არ მინახავს ფანჯრები დარაბებით არ ყოფილიყო დაკეტილი. ახლა კი, რატომღაც, გაეღოთ.

ბიჭებს გავძახე: ბაბუა ივანეს ამბავს გავიგებ და დაგეწევით-მეთქი. ანჯამებმორყეული ჭიშკარი შევაღე და ეზოს ბილიკს გაუბედავად ჩავყევი. არავინ ჩანდა. კიბესთან ჩაცუცქულ ბროლიას მოვკარი თვალი, მაგრამ გვიანღა იყო. ეტყობა, მან უფრო ადრე დამინახა და ჩემსკენ შურდულივით გამოექანა. ვიცოდი, რა უმადურიც იყო, მაგრამ თუ ასე შეირცხვენდა თავს, ამას კი არ მოველოდი. შეშინებულმა, მოსაშველებლად ბაბუას მოვუხმე და გავიქეცი, ჭიშკართან მისულს ფეხი დამიცდა და... გათამამებული ბროლია, ალბათ, გამარჯვებას იზეიმებდა, ვიღაცის ძახილს რომ არ დაეფრთხო.

სახეზე აფარებულ თითებს შუა გავიხედე.

თავზე წითელქუდა, ქერათმიანი გოგონა მადგა.

— გიკბინა?

— არა! — უკმეხად მივუგე ჩემი უილაჯობით გაბრაზებულმა და წამოვდექი. გოგონამ ცნობისმოყვარეო-

ბით შემათვალიერა, თითქოს ჩემი პასუხის სიმართ-ლეში უნდა დარწმუნდესო.

უხმოდ შევტრიალდი.

— დაიცა, სად მიდიხარ? ბაბუას დავუძახებ!

— არა, არ არის საჭირო!

— რატომ?

— მე... მერე მოვალ... ყვავილები მინდოდა, დღე' დედაჩემის დაბადების დღეა!

— თაიგულის შეკონვას რა უნდა, ისეთ ყვავილებ' შეგირჩევ, რომ...

— არა, მერე იყოს!

გოგონამ ხელი მომკიდა.

— მოდი, ნუ გეშინია, ახლა არ გიკბენს!

— მე არ მეშინია.

— მაშ, წამოდი, რაღას უცდი?

— არ მინდა!

— ნამდვილად გეშინია!

— ვის? მე?

— შენ!

გამეცინა.

— რა გაცინებს?

— მეცინება და რა ვქნა!

— ახლავე შემოგიქსევ და მაშინ ნახე.

— აბა, სცადე, ხულს გავაცხგბინებ...

გოგონა წამით შეყოყმანდა.

— კარგი, შევრიგდეთ!

— მე არ გეჩხუბები...

— რა გქვია?

— დათო.

ახლა გოგონას გაეცინა.

— რატომ იცინი?

— ისე!

— მაინც?

— ვიცოდი, ასე გერქმეოდა.

— ვითომ რატომ?

— ყველა შენსავით ბუთხუზა ბიჭს დათუნას ეძახიან.

— ნეტავ, შენ რაღა გქვია? — გაბრაზებით მივახალე, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე.

— მე? — რატომღაც უკმაყოფილოდ შემომხედა წითელქუდამ, თითქოს გაუკვირდა, ჩემი სახელი როგორ არ იცი, — ეკატერინე! შეგიძლია, უბრალოდ ეკა დამიძახო. სად ცხოვრობ?

„ო, ეს კი შეტისმეტია, მეჯავრება ენაჭარტალა გოგოები!"

თავს ძალა მაინც დავატანე.

—აი, იქ! მივუთითე ჩემი სახლისაკენ, რომელიც ახალი სახლების ფონზე შავ ლაქასავით ჩანდა.

— ყვავილები გიყვარს?

— ჰო, ისე...

ჭიშკარი გამოვაღე, ბიჭები მეძახდნენ.

— ვინ არიან?

— ბიჭებია, ჩემი ამხანაგები!

— მიდიხარ?

— ჰო!

— ყვავილები რომ დაგავიწყდა? — აწრიალდა გოგონა, მაგრამ მე უკვე უკანმოუხედავად მივქროდი თავდალმართზე.

* *

— არ მელოდი? — ეშმაკურად გაეღიმა ეკას, როცა მშობლები მეორე ოთახში გავიდნენ.

„შოდი და ელაპარაკე ახლა ამას? რა ვუთხრა?"

— ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა?

— აბა რა სათქმელია! — უხერხულად შევიშმუშნე მე, — პირიქით...

სავარძელში მთვლემარე ბებიას გამოეღვიძა. შუბლზე წამოსკუპებული სათვალე თავის ერთი ჩაქნევით ისევ ცხვირზე მოირგო და ეკას დააცქერდა. ბებია ჩემს ამხანაგებს ყველას იცნობდა.

— ვისი ხარ, შვილო?

— ზურაბ კორინთელისა! — სხარტად მიუგო ეკამ.

ბებია წამით ჩაფიქრდა, მერე უცებ შეიცხადა:

— ჩვენი ივანეს შვილიშვილი?

ეკამ დაიმორცხვა.

—უი, შენ გაგახარა ღმერთმა! დედა როგორ არის? მამა?

— გმადლობთ, ყველანი კარგად არიან!

— ბაბუას სანახავად ჩამოხვედი, არა?

— მამა აქ გადმოიყვანეს სამუშაოდ.

— მაშ, გაგიხარებიათ ბაბუაშენის გული და ეგ არის, ყველანი აქა ხართ?

— ჯერ მარტო მე ჩამოვედი, მალე ჩვენებიც ჩამოვლენ.

„აი, თურმე სად ყოფილა ამ დილით ბაბუა ივანე. ეკას დასახვედრად წასულა!"

ბებია გავიდა. სამზარეულოდან ჩაიდნის გულისგამა-

წვრილებელ სტევნასთან ერთად, ფლოსტების ფლასტა-ფლუსტი ისმოდა. მერე დერეფნის კარები ხმაურით გაიღო და ბებია გიასა და მამუკას შემოუძღვა ოთახში.

— აბა, ფეხები კარგად გაიწმინდეთ!

გაოცებული ბიჭები მონდომებით უსვამდნენ ფეხებს ფლასზე. მეც არანაკლებ გაოცებული ვიყავი. ბებია არცთუ ისე კარგი თვალით უყურებდა ბიჭებს.

— აი, ამხანაგებიც მოგიყვანე, ახლა არ მოგწყინდებათ!

მალე სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. ჟურაბიანი ჩაი და ნამცხვარი გვეგემრიელა, მაგრამ უხერხული დუმილი ვერ იქნა და ვერ დაირღვა.

— გალმაუბნელები იყვნენ, — წამოიწყო გიამ.

მადლობის თვალით გადავხედე მეგობარს. სალაპარაკო თემა უკვე გვქონდა.

— რაო, რა გვინდაო?

— ისე, ხასიათზე როგორ ხართ, გვითხარით, ნუ გრცხვენიათო...

— მერე, მერე?

— რას ვეტყოდი, ვითომ არ იცით იმათი უცხვირპირო თავის ამბავი.

— გალმაუბნელები ტყუილად არ მოვიდოდნენ...

აქამდე ჭამაში გართულმა მამუკამ ალმაცერად ამომხედა.

— ეგ მე მკითხეთ, მე ვიცი იმათი კუჭის ტკივილის წამალი. თამაში უნდათ!

— მერედა უარს ვინ ეუბნებათ, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

აქამდე ჩუმად მჯდარი ეკა წამოდგა.

— უკვე მიდიხარ? — შევწუხდი მე. თუნდაც ზრდილობისათვის რაიმე ხომ უნდა მეთქვა.

— ჰო, ჩემი წასვლის დროა, ისედაც შემაგვიანდა! — მოიბოდიშა ეკამ.

ძალა არ დამიტანებია. წამოვიშალენით. მოსახვევამდე ბიჭები გამოგვყვნენ. მოულოდნელი სტუმარი თითქმის სახლამდე მივაცილე. გზაში კრინტიც არ დამიძრავს. რატომღაც სინდისი მქენჯნიდა. ისიც, თითქოს ჩემი უგუნებობის მიზეზს მიმიხვდაო, შეკითხვებით არ მაწუხებდა.

გულმა მაინც არ მომითმინა.

— დღეს მე... არავითარი...

— ვიცი! — გამაწყვეტინა ეკამ,—ყველაფერს მაშინვე მივხვდი, როგორც კი შემოგხედე. ისე დაიბენი, ისე, რომ... პირდაპირ შემეცოდე.

შევცბი.

— ბოდიში... მე ისე...

— ბოდიში მე კი არა, დედაშენს უნდა მოუხადო, მატყუარავ! — ეკამ თვალები ეშმაკურად დაახამხამა, მერე ჩიკორიკვით დატრიალდა და გაიქცა.

ბ ო ნ დ ო

წუხელ მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა, გამთენიისას გადაიკარა. ეზოში აქა-იქ გუბურები გაჩნდა, ატალახდა. ბურთის თამაშზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

ერთბანს ჭადრაკით გავერთეთ, მაგრამ მალე ესეც მოგვწყინდა, სალაპარაკოც გამოგველია.

ნელა, ზოზინით გადიოდა დრო. მთქნარებისაგან ყბები გვტკიოდა.

გზის პირას ყორეზე ვისხედით.

— ბიჭებო, — წამოიწყო მამუკამ, — გაიგეთ, ჩვენი სკოლის დანგრევას რომ აპირებენ?

— რაო? — პირი დააღო გიამ,— ერთი ამ ჭკუის კოლოფს დამიხედეთ!

— ეგ საიდან მოიტანე, ბიჭო!

მამუკამ წარბი შეიკრა.

— კარგი, ამოშაქრე, რა იცი! — ვთქვი მე.

— გუშინ ვიღაც უცნობი კაცები ამოვიდნენ, იმათ საუბარს მოვკარი ყური. დედას ვფიცავ, თუ ვტყუოდე!

— ვინ იყვნენ?

— მგონი, ინჟინრები.

— მერე?

— მერე, რაღაც მიზომ-მოზომეს და წავიდნენ.

— ჩვენი სკოლა ერთ საუკუნეს კიდევ გასძლებს! — ნაძალადევად ჩაიცინა გიამ, — ასე შარშანაც კი იყვნენ...

მამუკამ არაფერი უპასუხა.

მეც დუმილი ვარჩიე. ხასიათზე ისედაც არ ვიყავით, ახლა კი სულ ერთიანად მოვიშხამეთ.

— რა ვქნათ? — ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ იკითხა გიამ.

— რას იზამ! თავს ზევით ძალა არაა!

— მაინც?

— წადი და იხტუნე აგურებზე!

— კარგი, გეყოფა ხუმრობა! — გაბრაზდა გია. — შენ მაინც გვირჩიე რამე, ჭკუის კოლოფო! — ახლა მამუკას მიუბრუნდა.

„ჭკუის კოლოფმა“ ჯერ შუბლი შეიკრა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, წარბები გახსნა.

— იმ ინჟინრებიდან ერთი, ჩვენს პარალელურში რომ ბოკერიაა, ბიჭები „გუდუას“ რომ ეძახდნენ, მგონი, იმისი მამა იყო.

გიამ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— მივიდეთ, სიმართლეს მაინც გვეტყვის!

— შენ მართლაც ჭკუის კოლოფი ხარ! — სიხარულისაგან შევხტი. — სად ცხოვრობს?

— ჩვენს ზემოთ, ჰესთან! წელს მესამე მეოთხედში პიონერხელმძღვანელმა დედამისთან წერილი გამატანა.

— მაშ, წავიდეთ, რაღას ვუცდით?

— სახლში რომ არ დაგვიხვდეს?

— გუდუას მაინც ვნახავთ, იქნებ იმან იცოდეს რამე!

ყორედან პირდაპირ ქუჩაში გადავცვივდით. მოსახვევთან მამუკამ რატომღაც ნაბიჯს უკლო.

— მე არ წამოვალ!

— ვითომ რატომაო? — აენთო გია.

— არ წამოვალ, მორჩა და გათავდა! ბონდოია გახსოვთ? იქნებ დაგავიწყდათ?

— ჯანდაბას მისი თავი, ხელსაც ვერ გვახლებს!

— ჰოდა, შენ წადი მაშინ!

• როგორც იქნა, მოვრიგდით. შორიდან შუკა-შუკა ვარჩიეთ შემოვლა, მაგრამ ბაბუა ივანეს ჭიშკართან, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩვენს წინ ახმახი ბონდოია აი-

სვეტა. ეტყობა, ეს დღეები უქმად არ დაეკარგა. ხელსაყ-
რელ შემთხვევას ეძებდა.

გაქცევა გვიანღა იყო. მისი სირბილის ამბავი მთელ-
მა უბანმა იცოდა, გაკანჭულ ფეხებს თითქმის ორ მეტ-
რზე ადგამდა. ერთადერთ თავშესაფრად ბაბუა ივანეს ეზო
გვეგულებოდა, მაგრამ იქაც არანაკლები საშიშროება
გველოდა — ბროლია.

— ხომ ჩამივარდით ხელში, თქვე კატის კნუტებო?
ახლა სად წამიხვალთ? მგონი, სადღაც მიგეჩქარებოდათ?
არა უშავს, სხვა დროისათვის გადადეთ. ჯერჯერობით კი
თქვენი პატივცემული ცხვირები უნდა „შევალამაზო“! —
ძალდატანებული სიცილისაგან მუცელზე ხელს იჭერდა
ბონდოია, — მერე რომ იცოდეთ, როგორ მექავება ხე-
ლისგულები!

ყველაზე წინ მე ვიდექი. ვგრძნობდი, სიბრაზისაგან
როგორ მეკვრებოდა სუნთქვა.

ფეხებგაჩაჩხული ბონდოია კი სიცილით იჭაჭებოდა.

— შენ კაი დიდყურა ყოფილხარ! — მეუბნება მე და
თითქოს პირველად დამინახაო, კარგი მუშტარივით მათ-
ვალიერებს, — მაგ ყურებს ჩამოგახევ, მაინც არაფერი
შედის შენს თავში...

— აბა, გაბედე თუ ბიჭი ხარ! — გრამ ქვას წამოავ-
ლო ხელი.

— ეეე, ეგეთები არ იყოს! — შეფუცხუნდა ბონდო-
ია, — ახლავე გადააგდე ქვა, თორემ... — ხელი შემართა,
მაგრამ, არა მგონია, დასარტყმელად.

— რას სჩადიხარ! — უცებ მოისმა ვიღაცის წკრიალა,
ეგრძანებლური ხმა.

ჭიშკართან სახეაგზნებული ეკა იდგა, თოკით ბროლია ეჭირა.

— ეს ვინღაა?

— არ გაბედო! — გაუმეორა ეკამ, —თორემ ხომ ხედავ? — ბროლიაზე ანიშნა.

ბონდოს საჩხუბრად დაძაგრულ სახეზე ნაძალადევმა ღიმილმა გადაურბინა.

— აგრე იყოს! ამ თხუნელებს, როცა იქნება...—მაგრამ სათქმელი არ დაამთავრა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მხრები აიწურა და ნელა, სტვენით ჩაჰყვა ქუჩას.

— ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრა! — ახითხითდა გია.

— წადი, წადი, ტოლი ნახე! — ცეცხლი შეუნთო მამუკამ.

— მაგრად არ შეაშინა! — აკისკისდა ეკა.

— ახია მაგაზე, ერთი გემოზე რომ ეკბინა, უკეთესი იქნებოდა.

—ჰაი, დედასა! რამდენს ვიცინებდით. შეხედეთ, როგორ დამდუღრულივით მოუსვა!

გიამ ძაღლისაკენ გაიწია.

— ხომ არ მიკბენს? — შეეკითხა ეკას.

— თუ არ გააჯავრებ, არა!

— ჭკვიანი ყოფილა, შაქარს ჭამს?

— არ ვიცი!

—ახლავე ვნახავთ! — გია ბროლიას მახლობლად ჩაცუცქდა და ჯიბიდან შაქრის ნაფხვენების ამოფერთხვას შეუდგა.

მე და მამუკას არ გაგვკვირვებია გიას საქციელი. ვინ იცის, რამდენჯერ დაუჭერია უპატრონო ძაღლი და სახლ-

ში მიუყვანია. რომ იტყვიან, თავზე გადაგებია, ჩიტის რძეც არ მოუკლია მისთვის, მაგრამ შემთხვევით ნაპოვნი ძაღლები ორიოდე დღის შემდეგ ასევე შემთხვევით იკარგებოდნენ ხოლმე. მთელმა უბანმა იცოდა, გიას შაქარი რომ უყვარდა. ჯიბე ყოველთვის სავსე ჰქონდა შაქრის ნატეხებით.

— ხედავთ, ჭამს! — გაიხარა გიამ, — პირის გემო ჰქონია.

აქამდე ჩუმად მდგარი მამუკა აბურტყუნდა:

— რა ვქნათ, არ წავიდეთ?

ეკამ, თითქოს რაღაც იწყინაო, განზე გადგა.

— ძალიან გეჩქარებათ?

— არც ისე! — შეყოყმანდა მამუკა.

— მაშ, იცით რა? მოდით, ბროლიას სახლი გავუკეთოთ!

— სახლი? — თვალები დააჭყიტა გიამ, — მერე, იცი, ამას რა სჭირდება?

— ვიცი!

— მარტო ცოდნით შორს ვერ წახვალ, ფიცრები გაქვს? — არ ეშვებოდა გია.

ეკა ჩაფიქრდა.

— რამეს გავახერხებთ, ვიშოვნით!

— ხელეჩო, ჩაქუჩი, ხერხი, ლურსმნები...

— ყველაფერი იქნება!..

ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ, არაფერი გვეთქმოდა.

ვიცოდით, სიკეთეს სიკეთით იხდიან.

* *

ეზოში, ვეებრ ცაცხვის ჩრდილში, ძველებურ, წნელით დაწნულ სავარძელში ბაბუა ივანე თვლემდა. საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ მუხლისთავებზე მაინც თბილი შალი ეფარა.

ფეხაკრეფით შევედით ეზოში.

სახლის კედლებს აქა-იქ ბათქაში ჩამოსცვენოდა. წვიმასა თუ ნიაღვარს ოდესღაც თეთრად შეფეთქილი კედლები წითლად შეეფერა.

ეკამ ლაფაროში დაგვტოვა, ახლავე მოვალო, თქვა და კარებში მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ ძველი, ჟანგიანი ცულითა და ბირდაბირით დაბრუნდა.

მამუკამ უნდილად ჩამოართვა.

— სულ ეს არის?

— დაიცა, დანარჩენებსაც ვიპოვი! დათო, — ახლა მე მომიბრუნდა ეკა, — აბა, ერთი, სახლის ქვეშ შეიხედე, იქნებ რამეს მოკრა თვალი, — და ოთახში შებრუნდა.

— ეჰ!.. — ხელი ჩაიქნია გიამ და ხის ძირას დაჯდა.

— ამით აპირებთ რაიმეს გაკეთებას? — მამუკამ ნაჯახი და ბირდაბირი მიწაზე დაყარა და გიას გვერდით მიუჯდა, — წავიდეთ?

— დაიცა, ვნახოთ, რას იზამენ!

ასე იყვნენ ყოველთვის, საქმის დაწყებამდე ერთი სული ჰქონდათ, მაგრამ თუ ოდნავ რაიმე არ მოეწონებოდათ, უმალვე გულს აიყრიდნენ.

სახლის ქვეშ, სიბნელეში, კაცი ვერაფერს გაარჩევდა. ათასნაირი ხარახურა ეყარა.

— ერთბაშად არაფერი იპოვო! — ნიშნისმოგებით

შემომძახა გიამ, — ფრთხილად, ვირთხებმა არ დაგკბინონ...

— კატა მოიყვანე, ბიჭო, კატა მიავ, მიავ! — ახითხითდა მამუკა.

მეტი ველარ მოვითმინე.

— ეი, თქვენ! — შევუძახე აბეზარებს, — იცით, რას ვეტყვით? თუ მოხმარება არ გინდათ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ!

— ეგრე ხომ? — იწყინა გიამ, — კარგი, მაშ, წავედი! მამუკა მოდიხარ?

მამუკა უხმოდ ადგა და გიას აედევნა.

—ბიჭებო, ბიჭებო! — უცებ გაისმა ეკას შეწუხებული ხმა, — მოდით, მომეშველეთ!

ბიჭები, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ადგილზე გაშეშდნენ.

— მოდით, რაღას უცდით! ეს სკივრი გამომატანინეთ!

მამუკამ თვალები დააჭყიტა.

— ეს რაღა ბედენაა?

— დაიცათ, სულწასულები ნუ ხართ, მალე ყველაფერს გაიგებთ!

გია და მამუკა უხალისოდ, წელათრევით გამობრუნდნენ. დიდი ჯახირის შემდეგ კარებში უხერხულად გახირული სკივრი, როგორც იქნა, გამოვათრიეთ ეზოში.

— ახლაც ვერ მიხვდით? — გაეცინა ეკას.

ყველას გიამ დაგვასწრო:

— სკივრს კარს გამოვჭრით და... ესეც შენი ბროლიას სახლი!

მამუკამ სკივრს სახურავი ახადა:

— უჰ, რა ძველია! ეს რაღაა, შიგ რომ ყრია?

— ძველმანები იქნება!

— ბიჭებო, ხმალი!

— ხმალი? — წაეტანა გია.

— მაცალე, მე თვითონ! — მამუკამ ხმლის ქარქაშიდან ამოღება სცადა, მაგრამ ამაოდ. ახლა ხმალს მე და გია დავეჭიდეთ, მაინც არაფერი გამოვიდა.

— ალბათ ჩაჟანგებულია!

— დაანებეთ თავი, მოიტათ, შევინახო!

— რას ამბობ? — შეუბღვირა მასპინძელს მამუკამ,— შენ ის გირჩევნია, წახვიდე და ნავთი მოიტანო!

— ნავთი? — გაიოცა ეკამ.

— ჰო, ნავთი, ცოტას დავასხამთ და ამოვა ქარქაშიდან!

მაგრამ არც ნავთმა უშველა. ოფლში გავიხვითქეთ. ბოლოს, როგორც იქნა, ქარქაშში რაღაცამ ჭახანი გაიღო. ხმალი ახალივით ბრწყინავდა, მხოლოდ ვადასთან მოჰკიდებოდა ჟანგი ოდნავ.

— ჰაუ, რა ხმალია!

— ნახეთ, ზედ რაღაც აწერია!

გიამ ჩამარცვლით ამოიკითხა: „მამაცობისათვის ი. ნ. კორინთელს. ბუდიონი. 1919 წ.“

— ივანე ნიკოლოზის ძე კორინთელი ხომ ბაბუაჩემია! — გაიკვირვა ეკამ, — ეს კი აღარ ვიცოდი!

— ნეტავი ჩემი იყოს! — ინატრა მამუკამ.

— რას იზამდი?

— არაფერს, ისე!

— არაფრისათვის ხმალი ვის რად უნდა, შე ჭკუის კოლოფო!

— კარგი, გეყოფათ! საქმეს მივხედოთ! — მოგვაგონა მასპინძელმა, მაგრამ ჩვენ ახლა ხმლის მეტი არაფერი გვაინტერესებდა, თვალებადქცეულნი ხმალს ფხას ვუსინჯავდით, პრიალა ქარქაშზე ხელს ვუსვამდით.

— მომეცით, უნდა შევინახო! — გაიმეორა ეკამ.

გიამ ხმალი ქარქაშში ჩააგო, აცრემლებას ცოტაღა უკლდა.

უცებ რაღაცამ გაიზუზუნა და სახლის კედელს მიენარცხა. მეორედ სკივრს მოხვდა. ვიღაცა მესერს გადაღმა დამალულიყო და მკვახე ვაშლებს გვესროდა.

— ვინ არის?

— ბონდოია იქნება!

— თუ ლაჩარი არა ხარ, რას იმალები?

— ხა, ხა, ხა! — გაისმა ხარხარი.

მართლა ბონდო იყო.

— ბროლია, აბა, ერთი, ეცი ამ არამზადას! — წააქეზა ეკამ ძაღლი.

ბროლია ყეფით მიაწყდა მესერს.

ხმაურზე ბაბუა ივანეს გამოღვიძებოდა და ახლა ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა.

— რა ამბავია, ეკა, რა ხმაურია?

— არაფერი, ბაბუა, ვიღაც ბიჭი მკვახე ვაშლებს გვესროდა.

— ეს რაღაა, გოგო? — ბაბუა ივანემ ახლა დაინახა თავახდილი სკივრი.

— ბროლიას სახლი უნდა გავუკეთოთ!

— რაო?! ახლავე უკან შეიტანეთ! ბროლიას სახლიო? რას არ მოიგონებს ეს გოგო? ღმერთო, ღმერთო!

ბროლიამ ყეფა შეწყვიტა და მოხუცის წინ, ფეხებთან ჩაცუცქდა, ბამბურა კუდის ფათქუნი დაიწყო, თითქოს ეუბნებოდა, შემომხედე, რა ყოჩაღი ვარო.

— მე კი მეგონა... — ეწყინა ეკას.

— არავითარი მეგონა! — ხმას აუწია ბაბუამ, — ახლავე სადაც იყო, იქ დადგით!

ჩემს ზურგს ამოფარებული გია ჩუმად იცინოდა.

— აბა, სწრაფად! ეგ ხმალი აქ მომეცით! — ერთხელ კიდევ დაგვიტატანა ბერიკაცმა და კიბეზე ნელა, წელათრევით ავიდა.

სხვა გზა არ იყო, სკივრი ძლივსძლივობით შევიტანეთ სახლში.

— ახია ჩვენზე, სულელები ვართ, ნამდვილი სულელები! — ბურტყუნებდა მამუკა, როცა ეზოდან გამოვდიოდით.

— ვიცოდი, ასეც იქნებოდა, მაგრამ დათოს რამეში დაარწმუნებ?

— არა, ძმაო, მე იქ ფეხის დამდგმელი არა ვარ, ვორჩა და გათავდა!

— მეც ხელი დამიბანია!

— მე კი წავალ! — ვთქვი მე.

ბიჭებმა გაოცებით შემომხედეს.

— ბროლიასაც სადგომს გავუკეთებ!

ამას კი ნამდვილად არ მოელოდნენ.

— ასე ხომ?

— ასე გახლავთ!

ისტორიის მასწავლებელი

ახალი სკოლის მშენებლობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მოველოდით.

უკვე ამაოდ იხევს ყანყრატოს ბაბუა ივანეს ყვინჩილა. უთენია ბულდოზერებისა და მანქანების გუგუნზე გვეღვიძება. ძველებურად შარა-შარა მტვრის სახვეტად როდი ვიცლით. აქ რომ მანქანიდან აგურის ჩამოცლაში ვეხმარებით, იქ ქვა-ღორღს ვცრით. ვეზიდებით მორებს, ვენაცვლებით მხერხავებს. მოკლედ, საქმე თავზე საყრელადაა.

გვაქებენ მუშები, გვიწონებენ ნახელავს. ჰოდა, მეტი ჩვენ რა გვინდა.

მშენებლობაზე თითქმის ყოველდღე მოდის ჩვენი ისტორიის მასწავლებელი.

პატარა, ჩია ტანის, თითქოს ძვალტყავადქცეული ბერიკაცი ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში დაცუხცუხებს. ალაგ-ალაგ უწესრიგოდ დაყრილ ქვებსა და ლოდებს, თითქოს სიმაგრეს უმოწმებსო, თავის განუყრელ ჯოხს უკაკუნებს. ხანდახან სანთელივით ყვითელ თითებს ნაყარ მიწაში ურევს. ასეა ყოველთვის, მოვა, ივლის, ივლის და წავა.

მახსოვს, ორშაბათობით, არითმეტიკის შემდეგ ყოველთვის მისი გაკვეთილი გვქონდა. ზარის დარეკვა და მისი გამოჩენა ერთი იყო. უკვე კარებიდან იძახდა.

— მორიგე, გაწმინდე დაფა!

მაგრამ იმ დღეს... კლასში შემოვიდა თუ არა, ჟურნალი მაგიდაზე დადო და ფანჯარასთან მივიდა. ისედაც გაც-

რეცილ სახეზე ფერი სულ დაჰკარგვოდა... თურმე ეს მისი უკანასკნელი გაკვეთილი იყო, ღელავდა მოხუცი. იმ დღიდან პენსიაზე გადიოდა.

ბატონი პლატონი მშენებლობაზე დღესაც ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. ერთხანს მშენებლობის უფროსს ესაუბრა, რაღაცას უმტკიცებდა, მერე ჩვენ მოგვიხმო.

— ბავშვებო, თქვენ უკვე პატარები აღარ ხართ! — პირდაპირ დაიწყო მასწავლებელმა. — ხომ იცით, აქ ნაპოვნ ყოველ ნივთს ისტორიული მნიშვნელობა აქვს?

— ვიცით! — ყველას მაგიერ მივუგე მე.

ესიამოვნა.

— ჰოდა, ძალიან კარგი! თუ რაიმე იპოვოთ, უსათუოდ შემატყობინეთ, სხვებიც გავაფრთხილე.

— მაინც რა უნდა ვიპოვოთ? — ნაძალადევი ღიმილით ჩაეკითხა მამუკა.

მასწავლებელი ვერ მიუხვდა ეშმაკობას.

— როგორ თუ რა? უძველესი ფულები, ბალთები, სამაჯურები, ათასგვარი ჭურჭელი, ჩუქურთმიანი ფილები...

— ჰოო! — გაიკვირვა გიამ, — ოქრო?

— შესაძლოა, ოქროც!

— ვერცხლი?

— ვერცხლიც!

— აი, ქვის კავი ან ჟანგიანი ხანჯალი რომ იყოს?

— რაო, რამე ხომ არ გიპოვნიათ? — გამოცოცხლდა მოხუცი.

— არა, არაფერი...

მასწავლებელს გული დასწყდა.

— არა უშავს, დღეიდან უფრო ყურადღებით იყავით, ბავშვებო!

ბურთი დაიკარგა

სათამაშო მოედანი, როგორც იქნა, შევარჩიეთ. იქვე, ჩვენი სკოლის მახლობლად, გზის პირად, ოღრო-ჩოღრო მინდვრის ორთავე ბოლოში სახელდახელოდ გადავზომეთ შვიდ-შვიდი მოზრდილი ნაბიჯი და აქეთ-იქით სარები დავარჭვეთ.

ფეხბურთის კარები მზად იყო.

მზე გადაიხარა. ნელ-ნელა მიწყდა ექსკავატორების მონოტონური თუხთუხი. მუშები წავიდ-წამოვიდნენ. თითო-ოროლა მაინც დარჩა, ჩვენი მეზობლები ხომ იყვნენ და იყვნენ.

მალე გაღმაუბნელებიც გამოჩნდნენ. გაგვიკვირდა, მათ შორის ბონდოიასაც რომ მოვკარით თვალი. წელზე დოინჯშემორტყმული შორიშორ გვივლიდა.

— შენ რას იწელები თუ იცი? — შეუტია მამუკამ.

— აბა, აბა, ცოტა ზრდილობიანად! — გაიკრიჭა ბონდოია, — თვალში ხომ არ გეპატარავები?

— წადი, წადი, კოჭი გააგორე! — სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ესღა მიაძახა უკვე მიმავალ ბონდოს მამუკამ.

— კარგი, სირცხვილია, ბიჭო! — შეწუხდა გია.

— ჰი, სირცხვილი! — ჩაიფრუტუნა მამუკამ, — წუხელ ვაშლის ხე რომ გამიკრიფა, ის არ იყო სირცხვილი?

—რაღა დროს ეგ არის ახლა? გაჩუმდი!

მამუკამ არაფერი უპასუხა. ამისი დროც მოვაო, თუ იფიქრა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ ეკამ ამოგვართვა სული: გეყოფათ ამდენი ცდა, რაღას ელოდებითო.

ვხედავდით, მაყურებლებსაც თანდათან მოთმინება ელეოდათ. აქა-იქ უკმაყოფილო ფრუტუნი გაისმა. რა გვექნა, ერთი მოთამაშე გვაკლდა. მოედანზე მაინც გავედით.

თამაში დაიწყო.

ფიცხლად შევუტიეთ მოწინააღმდეგეს. გია პირველსავე წუთზე შესანიშნავი ფინტით გაუსხლტა მეტოქეთა ორ მცველს და ბურთი კარის გასწვრივ ჩამოაწოდა.

ატყდა ჟრიამული.

ბურთზე მოგვიანებით გასულ მამუკას პატიკომ დაასწრო.

გუჯუს ვერ იქნა და ვერაფერი მოვუხერხეთ. ამ დაბალსა და ჯირკივით ბიჭს ბურთი თითქოს ფეხებზე გამობმოდა.

შემოგვიტიეს და მერე როგორ! წინ მხოლოდ მე და გია დავრჩით. თუნდაც უმნიშვნელო შეცდომას ყოველ წუთს შეიძლებოდა საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

გავიდა თხუთმეტი წუთი...

ბრაზობდნენ გაღმაუბნელები. ვღელავდით ჩვენც.

ბონდოია ხომ სულ გადაირია, ცოფს ყრიდა. ბურთს კი არა, ჩვენ დაგვდევდა. ფეხის ყოველ გადადგმაზე სარმას გვიდებდა, ცდილობდა, როგორმე წავექციეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე ყოველთვის ადრე ვუგებდი მზაკვრობას. ამან უფრო გაახელა, რომ იტყვიან, სინდისის

ძარღვი გაუწყვიტა. საწყალი გია ლამის ხელში შეიკლა, ერთი-ორჯერ ისე ძლიერ დასცა, არ მეგონა, თუ წამოდგებოდა.

აღშფოთდნენ მაყურებლები. ბაბუა ივანე დაემუქრა კიდეც, მანდ არ გამომიყვანოო. ეკას ხომ ძლივს აკავებდნენ. საცაა მოედანზე გამოიჭრებოდა.

ვინ იცის, შეხვედრის ბედი როგორ გადაწყდებოდა, ერთ უცნაურ შემთხვევას რომ არ ჩაეშალა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

გალმაუბნელთა კარებთან ზედახორისას ვიღაცის ძლიერად დარტყმული ბურთი ვეება ორმოში ზუზუნით ჩაეშვა. მიჰყვნენ ბიჭებიც, მაგრამ გაგიგონიათ?! სადაა? ბურთი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

* *

გაოფლიანებული და სახედაძმარებული ბიჭები უზარმაზარი ორმოს პირას ვდგავართ მიწაყრილზე და დანა პირს არ გვიხსნის.

გალმაუბნელები კარგა ხანია წავიდნენ. დანარჩენებიც მიმოიფანტნენ. დავრჩით: მე, გია, მამუკა და ეკა.

ჩამობნელდა.

— ჩავალ და ხელახლა მოვძებნი! — ამბობს გია.

— მაინც ვერაფერს ნახავ, ხვალამდე დავიცადოთ! — ჩუმად, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მამუკამ.

— არა! — გაჯიუტდა გია.

— მეც მოვდივარ! — მხარი ავუბი ამხანაგს.

მამუკა შეყოყმანდა. ეკამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა.

მე და გია ორმოში ფრთხილად ვეშვებით. კოლბოხებზე ფეხი გვისხლტება, ერთმანეთს ვაწყდებით, უხმოდ, ჩელისცეცებით დავბობღავთ სიბნელეში. ჩვენი დუმილით შეფიქრიანებული მამუკა მოუთმენლად ცმუკავს.

— ჰა, რას შვრებით? ჩამოვიდე?

— უკვე ამოვდივართ! — როგორც იქნა, გაეხმიანა გია. — მაინც სად დაიკარგა ბურთი! — ახლა მე მომიბრუნდა, — მიწამ ხომ არ ჩაყლაპა!

— იქნება, აქ სულაც არ ჩავარდნილა?

— რას ამბობ, ჩემი თვალით დავინახე, დაცემის ხმაც კი გავიგონე.

— ასეთ ამბავზე ბებიაჩემი იტყვის ხოლმე: ეშმაკი ხომ არ დააჯდაო.

— რა ვქნათ, ავიდეთ?

-- რა გაეწყობა, უნდა ავიდეთ! — უგუნებოდ ვეთანხმები მე.

— დათო! — ორმოდან თავი ამოვყავი თუ არა, გიას ხმა შემომესმა. — მოდი, მომეშველე!

მუხლებამდე მიწაში ჩაფლული გია ამაოდ ცდილობდა ამოძრომას. თავქვე სრიალით დავეშვი.

— რა იყო, რა მოხდა?

— აბა, რა ვიცი ამოვდიოდი და უცებ!—გიამ ხელები ჩამჭიდა.

საკვირველია, ამდენი ხნის შემდეგ, მხოლოდ ახლა შევამჩნიეთ ორმოს კედელზე სოროსმაგვარი ხვრელი.

— რა არის?

— არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად მჯერა, რომ ჩვენი ბურთი მანდ შეგორდა...

რატომღაც შევცბუნდი.

— ვითომ?

— წყალი არ გაუვა, ნამდვილად!

— მერედა, აქამდე რატომ არ შევამჩნიეთ!

— ვიდრე ფეხი ჩამიცურდებოდა, პატარა იყო და ყურადღება არ მიმიქცევია.

ნათქვამი მენიშნა, ხვრელთან ჩავცუცქდი. საშინელი სუსხი და შმორის სუნი მეცა.

— გია, დათო! — ეს მერამდენედ შემოგვესმა ეკასა და მამუკას შეშფოთებული ძახილი.

— მოვდივართ, მოვდივართ! — ნაძალადევი სიმხნევით ავძახეთ მეგობრებს.

— ნეტავ, ღრმა თუა?

— დაიცა, ახლავე გავიგებთ! — ქვა მოვძებნე და ხვრელში ვისროლე: თხოპ! გაისმა სიღრმეში.

— არა, ღრმა არ უნდა იყოს, ვინ იცის, იქნებ...

— სუ, ჩუმად! — უმალ მიმიხვდა გია, რისი თქმაც მინდოდა, — მეც ასე ვფიქრობ.

— მერე?

— რა მერე! ჩუმად, ეკამ არ გაიგოს, ხომ იცი ენაჭარტალა გოგონების ამბავი. პირში არაფერი გაუჩერდებათ.

— მამუკას არ ვუთხრათ?

— მე ვეტყვი!

— გვირაბში აპირებ ჩასვლას?

— წამოხვალ?

შევყოყმანდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. გიამ დუმილი თანხმობად მიიღო და მკლავზე ღონივრად დამქაჩა.

ბვირაბში

ყველაფერს ბედი უნდაო, ტყუილი როდია.

რალა სწორედ ამ ღამით ამოვარდა ეს ქარი! ჯერ ოდნავ წამოუქროლა, მთებზე ალაგ-ალაგ მიმოფანტულ პატარ-პატარა ღრუბლის ფთილებს წაეტანა, ერთმანეთში აურ-დაურია და იქუხა, იქუხა და მერე როგორ? საცოდავად აჭრიალდა ჩვენი ძველი სახლის კედლები. აზრიალდა სათოფურებივით ვიწრო სარკმლის მინები.

გაწვიმდა.

იატაკზე აქა-იქ მხიარულად აწკაპუნდა მსხვილ-მსხვილი წვეთები.

ჩვენებს რა ხანია სძინავთ.

სამზარეულოში კედლის საათმა ცხრაჯერ დარეკა.

„ნეტავ სად არიან ბიჭები? შეეშინდათ? მართლაც, ასეთ თავსხმაში ვინ სულელი გამოვა გარეთ? ეჰ!“ — ვფიქრობ მე.

ვგრძნობ, თანდათან მიმძიმდება ქუთუთოები, რალაც ერუანტელისმაგვარი სითბო მეღვრება მთელ ტანში.

„მოვლენ — არ მოვლენ?“

„მოვლენ — არ მოვლენ?“

კიდევ რამდენიმე წუთიც და, ალბათ, ჩამეძინება.

ანაზდად, ქარის შხუილში სტვენა ჩამესმა. გავინაბე. სტვენა განმეორდა, ახლა უფრო გარკვევით. ეჭვი არ იყო — ბიჭები იყვნენ.

საწოლიდან თითქმის წამოვფრინდი, ფაცა-ფუცით ჩავიცვი, მხარზე საწვიმარი მოვიგდე და ხელში მამისეული ფარნით კიბეზე ფეხაკრეფით დავეშვი.

გარეთ საშინლად ბნელოდა. თვალებთან თითს ვერ მიიტანდი. მხოლოდ აქა-იქ ჭიატებდნენ ციცინათელებივით ძილგამკრთალი ნათურები.

წვიმს, წვიმს გადაუღებლივ.

— რა ტიალი ქარ-წვიმაა! — უკმაყოფილოდ ბურტყუნებს მამუკა.

— ცოტა ხნით მაინც გადაიღოს!

— არა, ძმაო, ამის იმედი ნუ გექნება!

— მაშ, რა ვქნათ?

— ხვალისთვის რომ გადაგვედო?

მამუკა კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

— ხვალისთვის? რას ამბობ, არაფრის გულისათვის!

— მართალია! — ვეთანხმები ამხანაგს, — შეიძლება ხვალ გვიან იყოს!

— მაგრამ... ამ თავსხმაში...

— კარგი, გეყოფა! ტვინი ნუ წაიღე! თუ მოდიხარ, წამოდი, თუ არადა...

მამუკა წამით შეყოვნდა.

— ჰო, თქვი, ბარემ... — გაბრაზდა გია.

— რა დროს კინკლაობაა?! — ახლა მე შევუტიე ორთავეს, — შენ ეს მითხარი, მოდიხარ თუ არა? — ვეკითხები მამუკას.

— აბა, როდის მითქვამს უარი?

— აი, ეს მესმის! კაცური სიტყვაა!

მამუკა წამოდგა.

— უნდა ვიჩქაროთ! ყველაფერი მზადაა?

— წერაქვები და ბარები ადრევე გამოვიტანე ფარდულიდან, ორმოში ყრია.

— სუ! — ფრთხილობს მამუკა,—ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე, ხომ იცი, კედელსაც ყურები აქვს.

— ერთი შენც! ასეთ ავდარში ძაღლსაც არ გამოაგდებენ გარეთ.

— სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკივა!

ანაზდად სადარბაზოს კარის ანჯამები საიდუმლოებით მოცული ხმით აჭრიალდა.

კედლებს ავეკარით.

კარებში, ელვის შუქზე, ეკას გაფითრებული სახე გამოჩნდა.

— ეკა! შენ... შენ... აქ საიდან?! — სიბრაზისაგან ენა დაება მამუკას.

გოგონა დუმდა.

— თქვი, ენა ხომ არ გადაგიყლაპავს?!

სიცივისაგან აძაგძაგებულ ეკას პაჭუა ცხვირი ბეწვის პალტოს საყელოში ჩაურგავს. დუმს. ეტყობა, შეშინებულია.

— თავი დაანებე! ვერა ხედავ, რა დღეშია?! — გამოექომაგა გია.

— ეკა! — ახლა მე მივუბრუნდი კუთხეში საცოდავად მიყუჟულ გოგონას, — აქ რამ მოგიყვანა? ვინ გითხრა?

— არავის არაფერი არ უთქვამს! — ძლივს ამოილუღლუღა ეკამ.

გია და მამუკა რატომღაც ორჭოფულად დუმდნენ, აშკარაა, ჩემზე ეჭვიანობდნენ.

— თქვი, ნუ გეშინია!

— აბა, ვის რა უნდა ეთქვა, მე თვითონ გავიგონე ყველაფერი, ჩემი ყურით!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ალბათ მთელ ქვეყანას მოსდო! — ხელი ჩაიქნია მამუკამ.

საუბარში გია ჩაერია.

— მართლა, ვინმესთვის ხომ არ გითქვამს?!

— არა!

— იქნებ ბაბუა ივანეს უთხარი!

— სიტყვა არავისთვის არ მითქვამს! — ლამის ატირდა ეკა.

გია მოლბა.

— დიდი ხანია იცდი?

— არა!

— მერედა, მარტოკას არ შეგეშინდა?

— ცოტა! — გულახდილად ეღიმება გოგონას, — თუმცა რისი უნდა მშინებოდა, თქვენ ხომ აქ მეგულებოდით!

უნებურმა ქებამ წამალივით იმოქმედა ბიჭებზე.

— მართლაცდა, რატომ არ უნდა წამოვიდეს! — გაიოცა მამუკამ.

— სწორია! — დაემოწმა გია.

ეკამ ისედაც წვრილი კისერი წაიგრძელა და მხიარულად აჭიკჭიკდა:

— იცინ რა, ბიჭებო? ყოველი შემთხვევისათვის, ბამბა და იოდი წამოვიღე.

— ჩვენ კი არ მოგვგონებია!

— ყოჩაღ, ეკა!

ქუჩაში ზარის გაბმული რეკვით სახანძრო მანქანამ ჩაიქროლა.

— ასეთ კოკისპირულ წვიმაში ხანძარი? — გაიკვირვა ეკამ.

— ალბათ ნამუხარადან მოდიან ისევ!

— მერედა, ამ დროს იქ რას აკეთებდნენ?

— მაშინაც ასე არ იყო, დათიკო მეეტლის თავლას ცეცხლი რომ წაეკიდა, ესენი ნამუხარაზე იყვნენ წასულები, თუმცა შენ ეს საიდან გეცოდინება.

— მიუსწრეს?

— კი! მთელ ქალაქს კარგა ხანს იქიდან მიჰქონდა უთოს გასახურებლად ნახშირი!

ეკას გაეცინა. გამხიარულდნენ ბიჭებიც. გიამ კარი გამოაღო.

— ეჰ, ბაბუა ივანეს ხმალიც რომ გვქონდეს! — ინატრა ვიღაცამ.

ვიცანი, მამუკა იყო.

* *

წვიმს, წვიმს...

ისევ მძვინვარებს ქარაშოტი.

გულსაკლავად ჭრიალებენ ხეები, ტოტებით ერთმანეთს აწყდებიან.

ჭახანით ცვივა კრამიტები.

ეზოში ნამდვილი ნიაღვარია.

გზას ელვის შუქზე მივიკვლევთ.

წინ გია მიდის, მერე — მამუკა და ეკა, ბოლოს — მე. ორმოსთან შევჩერდით, ფარნები ავანთეთ და ჩასასვლელად მოვემზადეთ.

ახლა ჩვენი როლები შეიცვალა. მეწინავე უკვე მე ვარ. საწვიმრის კალთებზე გია ჩამფრენია, არ ჩავარდესო, გიას მამუკა მოყვება, მამუკას — ეკა.

გვირაბში შესასვლელი, რატომღაც, ახლა უფრო ფართო მეჩვენა. ამხანაგებს გადავხედე. ფარნის მკრთალ შუქზე ფერწასულნი ჩანან, მხოლოდ თვალები გაფართოვებიათ. ფარანი ახლა შესასვლელს მივაქექე. შმორისა და სიდამპლის სუნმა ლამის დამარეტიანოს.

— ჩანს რაიმე? — მეკითხება აკანკალებული გია.

პირველი, რაც დავინახე, ვეება ლოდზე ამოკვეთილი საფეხურები იყო, რომელიც ქვემოთ, სიღრმეში ეშვებოდა.

— მგონი, ჩასასვლელი უნდა იყოს!

— აბა, ცოტა იქით მიიწი! — ახლა გია ჩააშტერდა სიბნელეს.

ეკა და მამუკა მოუთმენლად ცმუკავენ.

— ნამდვილად საფეხურებია!

— რა ვქნათ?

— განა ამას კითხვა უნდა?

ცოდვა გამოტეხილი ჯობია, შევცბი. წვიმის წვეთებით ისედაც დასველებულ შუბლზე ჭირის ოფლმა დამასხა. ჩემი შეკრთომა ამხანაგებს არ გამოპარვიათ.

— შეგეშინდა? — ნიშნისმოგებით შემომაცქერდა გია, — მაშინ, წინ მე გამიშვი.

ამას კი არ მოველოდი.

— არა, მივდივარ!

— დაიცა, წელზე თოკი მაინც გამოიბი! — ჩაერია „წინდახედული“ მამუკა.

ვეება ლოდი თუ კლდე, რომელზედაც საფეხურები იყო ამოკვეთილი, შლამსა და რაღაც წებოვან, ტალახისფერ სითხეს დაეფარა.

ფეხი წამდაუწუმ მისხლტებოდა, ექვსი-შვიდი საფეხურის ჩავლის შემდეგ ფილაქანივით მაგარ ნიადაგზე აღმოვჩნდი.

მიმოვიხედე. ჭერის სიმაღლე ალბათ მეტრ-ნახევარს არ აღემატებოდა. როცა ფარანი ჩემს წინ ფარდასავით დაშვებულ სიბნელეს მივაშუქე, სინათლის ჭავლი დაუსრულებელმა წყვდიადმა შთანთქა.

— ჩახვედი? — მომესმა გიას ხმა.

— კი-მეთქი, ავძახე.

— ხედავ რამეს?

— საშიში არაფერია, მხოლოდ კედლებია და მეტი არაფერი! სათითაოდ ჩამოდით!

ჯერ მამუკა და ეკა ჩამოჰყვნენ თოკს, ბოლოს გიაც ჩამოვიდა. ერთხანს ასე ვიდექით, ხელიხელჩაკიდებულნი და გულის ფანცქალით ვუგდებდით ყურს ირგვლივ ჩამოწოლილ სიჩუმეს.

ზემოთ კი ისევ წვიმდა. წვიმდა კოკისპირულად.

სიჩუმე გიამ დაარღვია:

— რაღას ველოდებით?

— წავიდეთ! — ვთქვი მე.

მამუკამ თოკი დაახვია და მხარზე გადაიკიდა.

საუკუნეების წყვდიადსა თუ დავიწყების ბურუსში

ჩაკარგული გვირაბი გამოცოცხლდა. ნესტიან კედლებზე ჩვენი ლანდები ათამაშდნენ.

ოღროჩოღრო, მოლიპულ ფილაქანზე სიარული გვიჭირს. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ.

შიშმა თანდათან გაგვიარა. მალე სიბნელესაც შევეჩვიეთ. გვირაბი ოდნავ შესამჩნევად თავქვე მიემართება. კედლები მეტწილად რიყის ქვითაა ამოშენებული. ალაგ-ალაგ ძველებური ოთხკუთხა აგურებისაგან შეკრული ნიშებია, ალბათ სანათურების დასადგმელად.

მივდივართ უხმოდ, კოჭებამდე ტალახში. სინესტისა და სიდამპლის საშინელი სუნი ყელში გვიჭერს.

— გახსოვთ, შარშან არქეოლოგები რომ იყვნენ! — ვამბობ მე, — ალბათ ამ გვირაბს ეძებდნენ.

— იმათ ვერ მიაგნეს და აი, ჩვენ კი აღმოვაჩინეთ!

— ჰო, ჰო! — გულზე მჯიღს იცემს გია, — რა ამბავი იქნება, როცა გაიგებენ! შეიძლება გაზეთშიაც გაგვწერონ.

— ვაითუ გაგვაცხონ, უჩვენოდ გვირაბში მარტოდ-მარტო შესვლა როგორ გაბედეთო.

— მგონი, თავზე ხელს არ გადაგვისვამენ!

— ვნახოთ! — იხტიბარს არ იტეხს მამუკა.

შევჩერდი. უცებ ჩემი ფარნის შუქი, თითქოს მოსცელესო, მარცხნივ კედელში გაუჩინარდა.

— რა მოხდა? — შეკრთა ეკა.

— აუ, რამოდენა დარბაზია!

— განძის შესანახი თუ იყო.

დარბაზში პირველი ეკა შეხტა.

— შეხეთ, აქ როგორი სიმშრალეა! — უკვირს გიას,— მოდით, ცოტა შევისვენოთ!

ეკა უკვე ჩამოსკუპდა კუთხეში მიგდებულ ლოდზე და ახლა სიცივისაგან გათოშილ თითებს სანთლის ალზე ითბობს.

— რა დროს დასვენებაა! — მხრები აიწურა მამუკამ,— მოდით, გადავთხაროთ აქაურობა, იქნებ, რამეს წავაწყდეთ!

— მაინც?— ეშმაკურად ეღიმება გიას.

— უძველესი ფულები, ბალთები, სამაჯურები, ათასგვარი ჭურჭელი, ჩუქურთმიანი ფილები.

— ოქრო?

— შესაძლოა, ოქროც! — მშრალად ახველებს მამუკა.

— ვერცხლი?

— ვერცხლიც!

— აი, ქვის კავი და ან ჟანგიანი ხანჯალი რომ იყოს?

— რაო, რამე ხომ არ გიპოვიათ?!

— არა, არაფერი!..

— ოჰ! — ოხრავს მამუკა, — არა უშავს, დღეიდან უფრო ყურადღებით იყავით, ბავშვებო!

— ჩვენს ისტორიის მასწავლებელს არა ჰგავს? — კისკისებს ეკა.

— კარგი, გეყოფათ ხუმრობა! — ვამბობ მე, — მამუკა, გია, მოკიდეთ წერაქვებს ხელი!

მიწისქვეშა ქვებზე ნაპერწკლების ფრქვევით ხრჭიალებენ, სხლტებიან წერაქვები.

— ერთი, ორი, სამი!

— ერთი, ორი, სამი! — წერაქვების ყოველ შემოქნევაზე ითვლის ეკა, — აბა, მარჯვედ! მამუკა, ნუ ზარმაცობ.

თითქმის მთელი დარბაზი გადავთხარეთ.

— ეჰ, არაფერიც არ არის! — მამუკა წერაქვს მიწაზე ანარცხებს და ეკას გვერდით ჯდება.

— აბა, აბა, ასე როგორ შეიძლება! — უტევს ეკა,— მიდი ჩქარა!

მაგრამ მამუკას ადგილიდან დაძვრა არც ისე ადვილია.

განძის პოვნის იმედი მეც გადამეწურა. უხალისოდ ვჩიჩქნიდი მიწას.

გია სახელოთი ოფლს იწმენდს სახეზე.

— რა ვქნათ? წავიდეთ? — მეკითხება.

— წავიდეთ!

— ალბათ უკვე თენდება!

— არა, ჯერ ადრეა!

— მაინც უნდა ვიჩქაროთ!

— გათენებამდე უნდა გავიდეთ აქედან!

— არა მგონია, დიდი გზა იყოს დარჩენილი!

მძიმედ, წელათრევით წამოვიშალენით. მოსახვევთან ეკას ფეხი დაუცდა ეტყობა, უხერხულად დაეცა. ახლა კოჭლობით მოგვყვება, სიცივისაგან კბილსკბილზე აცემინებს.

— ხომ არ დავბრუნდეთ, ჰა? — ეს მერამდენედ გვეკითხება ხმადაბლა მამუკა.

გიას დაბრუნებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა, მაგრამ მამუკაც თავისას არ იშლის.

— მაშინ მე ეკას წავიყვან და ისევ დავბრუნდები!

აქამდე ეკა ჩუმად გვისმენდა, მაგრამ როცა საქმე მის დაბრუნებაზე მიდგა, რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

ისევ გზას ვაგრძელებთ. ეკა ცდილობს, არ ჩამოგვრჩეს. მამუკა სულ მთლად მოიკუნტა, წამდაუწუმ წუწუნებს, მეტი აღარ შემიძლიაო.

ჯერ იყო და, ჩემი ფარანი ჩაქრა. ვატყობ, არც დანარჩენებს მოელით კარგი დღე.

უკვე ეკაც იცრემლება ჩუმ-ჩუმად.

— ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, დავბრუნდეთ, თორემ მერე გვიან იქნება, სიბნელეში დავრჩებით!

— ცოტაც კიდევ და გავალთ!

— გია! — გავძახე წინ წასულ მეგობარს.

გია შედგა. სევდიანი თვალებით შემომხედა, ვინ იცის, გულის რომელიღაც კუნჭულში შიშმა თუ გაიღვიძა.

— რა იყო, დავბრუნდეთ?

— დავბრუნდეთ, გია, ხომ ხედავ, რა დღეში ვართ!

— როგორც გინდათ, მე კი მჯერა, რომ აქვე, სადღაც მახლობლად, გასასვლელია... ცოტა კიდევ გვევლო მაინც!

მაგრამ თითქოს გიას უკანასკნელი სიტყვები არც გაუგონიათო, ეკა და მამუკა გასასვლელისაკენ შებრუნდნენ.

გია ერთხანს გაქვავებულივით იდგა, ეტყობა, ყოყმანობდა, ბოლოს ისიც ჩვენ გამოგვყვა.

მალე მისი ჯიბის ფარანიც ჩაქრა. დავრჩით ორიოდე

სანთლის ანაბარად. ერთადერთ ფარანს ხანგამოშვებით ვანთებთ. ეკას უკვე სიარული უჭირს.

მივდივართ უხმოდ, უგუნებოდ.

ანაზდად გიას მხიარული შეძახილი შემოგვესმა:

— ბიჭებო, ჩვენი ბურთი!

ბურთის პოვნამ ყველანი გაგვახარა.

— ხომ ვამბობდი, ბურთი აქ არის-მეთქი! — გაჰყვიროდა აღტაცებული გია და ბურთს ხელში ათამაშებდა.

— აბა, მიჩვენე! — წაეტანა მამუკა.

— დაჩუტულა!

გიამ მამუკას ხელახლა ჩამოართვა ბურთი. საპირეზე მოჭერილი კანაფი გახსნა. დაჩუტული ბურთი კინკრიხოზე ნაბდის ქუდივით მოირგო და გაბრწყინებული თვალებით შემოგვხედა.

ომია! ომი დაიწყო!

უთენია აირბინა ციხისგორაზე ბონდომ.

არაფრით არ სჯეროდა ბურთის ისე უცნაურად დაკარგვის ამბავი. მისთვის რომ გეკითხათ, ეს საქმე წინასწარ იყო მოფიქრებული, წაგების შეეშინდათო.

ახლა კი ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა იმ სამ შაქრისჭამია ბიჭს და ბოლოს და ბოლოს სინამდვილეს ფარდას ახდიდა. მათი ასავალ-დასავალი ხომ ხუთი თითივით იცოდა. ჰოდა, პირდაპირ მშენებლობისაკენ გასწია. მაგრამ უნდა გენახათ მისი გაოცება, როცა ვერც ერთს ვერ მოჰკრა თვალი.

ერთხანს გარე-გარე იარა, იტრიალა, ჯერ კიდევ ადრეა და მალე გამოჩნდებიანო. მაგრამ ამაოდ, მათი ჩრდილიც არ დაულანდავს.

ბონდო შეფიქრიანდა, მერე უცებ შუბლზე შემოირტყა ხელი. თავის თავზე მოუვიდა ბრაზი. რატომ ადრე არ მოვიფიქრე, ალბათ სათევზაოდ წავიდოდნენო.

სულ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა მუხნარი, ჰესზეც ავიდა, იქაურობა მთლიანად გადაჩხრიკა, მაგრამ გაგიგონიათ, ვინ დაგიკარგავს, ვის ეძებ.

სიბრაზისაგან ლამის თავგზა აერია. ასე არასდროს უღალატნია მისთვის გუმანს. მან ხომ ყველაფერი იცოდა. იცოდა, სად, რომელ ხეზე, რომელ ჩიტს ბუდეში რამდენი კვერცხი ედო; ვის სად ედგა მსხლისა თუ ვაშლის ხე, ალბათ, იმასაც გეტყოდათ, რამდენი ცალი ნაყოფი ესხა.

„ეს შაქრიჭამიები, მაშ, ვერ უნდა ვიპოვნოო...“ — ბოლმა აბრჩობდა ბონდოს.

ისევ მშენებლობაზე დაბრუნება არჩია.

ახლა აღარ ჩქარობდა. სირბილისა და ეკალ-ბარდებში ტორღიალისაგან არაქათი გამოლეოდა.

მოსახვევთან ბაბუა ივანე წამოეწია. აიწურა.

იმ დღის შემდეგ ბერიკაცთან პირისპირ შეხვედრას ვაურბოდა.

ახლაც თვალი მოარიდა.

— ბონდო არა ხარ, ბიჭო, შენ? — შეაჩერა მოხუცმა.

— ჰო, ბონდო ვარ, ბაბუა!

— ამ უთენია აქეთ სად ყოფილხარ?

— მუხნარში ანკესები მქონდა ჩაყრილი და... — იცრუა ბონდომ.

— ბიჭები ხომ არ გინახავს?

— ვინ, ბაბუა? — თითქოს ვერ მიუხვდა ბონდო.

იწყინა მოხუცმა.

— როგორ? იქნებ ისიც თქვა, გიას, დათოს და მამუკას არ ვიცნობო.

— არა, არ შემხვედრიან!

— არც ის იცი, ამ დროს სად არიან ხოლმე?

— აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე?

— მაშ, არავინ არ გინახავს, არა?

ბონდო შეყოყმანდა. ხომ არ ეთქვა, მეც იმათ დავეძებო, მაგრამ დუმილი არჩია.

ბაბუა ივანე პასუხს არ დალოდებია, ისევ გზას გაუდგა. ბონდოს არ გაჰკვირვებია მოხუცის ასე დილაადრიან გამოჩენა. ბაბუა ივანეს ადრე ადგომას ხომ ჩიტიც ვერ დაასწრებდა. შვილიშვილის ჩამოსვლამ კი მთლად ფრთები შეასხა ბერიკაცს.

ასე იყო ამ დილითაც.

უთენია შვილიშვილის დასახედად წამომდგარმა თვალებს არ დაუჯერა, საწოლი ცარიელი რომ დახვდა.

ჯერ იფიქრა, სადმე აქვე იქნებაო. დაელოდა. მერე ბაღში გამოვიდა, დაუძახა კიდეც, მაგრამ თქვენც არ მოგიკვდეთ, არსაიდან პასუხი არ იყო. გამოდი, გოგო, ნუ მემალები, გეყოფა ამდენი ხუმრობაო. ხვეწნა-მუდარამ რომ არ გასჭრა, გაბრაზდა: კაი, აბა, იყავი შანდ, ვნახოთ, სანამდე იქნები! როცა მუქარამ, დაგიჭერ და ჭინჭრით აგიჭრელებ მაგ წვივებსო, — არ

უშველა, შიშისაგან გულამობრუნებულმა მოხუცმა მთელი სახლი ყირაზე დააყენა.

„ალბათ, იმ ბიჭებს გაჰყვა სათევზაოდ“. ამ ფიქრმა ოდნავ დაამშვიდა. „აქაოდა, ვაითუ ბაბუამ არ გამიშვასო, და გამეპარა. ეთქვა მაინც, იქნებ მეც წავსულიყავი. ჰო, ამას წინათ, კუდამოძუებულნი რომ ვიფრინე ყველა, სამაგიეროს მიხდიან... დამიბრიყვეთ ბერიკაცი, არა? კარგი!“

ნაბიჯს აუჩქარა.

„აბა, დამიხვდით, თუ ბიჭები ხართ!“

მიდის ბაბუა ივანე და ატყობს, რომ გული თანდათან ულბება.

„იმ ბიჭებს რომ ვემდური, იქნებ სათევზაოდ სულაც არ წასულან და აქვე, სკოლის მშენებლობაზე ტრიალებენ. ჰოდა, ის ჩემი მატრაკვეცა გოგოც ალბათ იქაა!“

ეს აზრი ჭკუასთან უფრო ახლოს იყო. გაუხარდა. იმედი მიეცა ბერიკაცს.

გაოცებულმა ბონდომ კარგა ხანს უყურა აჩქარებით მიმავალ მოხუცს. ვერა და ვერ მიმხვდარიყო, ამ უთენია დილით ასე გამწარებით რად დაეძებდა ბიჭებს ბაბუა ივანე.

სკოლის მშენებლობაზე მისულმა ბერიკაცმა გაოცებისაგან კინაღამ ჩაიკეცა. ეზოში მუშების ჭაჭანება არ იყო. დუმდნენ ბელტიყლაპია ექსკავატორები, ბულდოზერები.

ახლა კი მართლა შეეშინდა ბაბუა ივანეს. თვალებს უმწეოდ აცეცებდა აქეთ-იქით.

ანაზდად მოსახვევიდან ეტლი გამოჩნდა, წელში ოდნავ მოხრილი მეეტლე თავდაუზოგავად მიერეკებოდა ისედაც ოფლში გახვითქულ ცხენებს.

— რა იყო, რა მოგვივიდა? — შესძახა მოხუცმა თავზეხელაღებულ მეეტლეს.

— ომია, ომი დაიწყო! — ცხენების ფლოქვების ჭიკარა-ჭიკურსა და ეჟვნების ჟრიალში ძლივს გაიგონა ბერიკაცმა მეეტლე ბიკიას ხრინწიანი ხმა. ვიდრე გონს მოვიდოდა, ეტლი შუკაში მიიმალა.

„ომი, ომი? — თავისთვის იმეორებდა მოხუცი, — რა ომი? რისი ომი? ვისთან? რატომ? ალბათ მთვრალია ეგ ოხერი!.. ის გოგო მაინც სად დაიკარგა? ღმერთო, ღმერთო!“ — უკვე აღარ იცოდა, საით წასულიყო. ცრემლჩამდგარი თვალებით გასცქეროდა უკაცრიელ ქუჩას, დილის გამჭვირვალე ბურუსში ჩაძირულ ციხისგორას ფერდობებს, სახლებს...

ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო, განუმეორებელი სიჩუმე, რომლის მხოლოდ მოხუცებს ესმით.

ახლა, თითქოს ერთი დაქუხება იყო საჭირო, რომ უკაბადონო ცის ვეება ლაჟვარდი ბროლის პატარ-პატარა ნამსხვრევებად წამოსულიყო ციდან.

ცოცხლად დამარხულები

უბედურებაო, რომ იტყვიან, სწორედ ამას ჰქვია. გადაუღებელ კოკისპირულ წვიმას თავისი გაეტანა. მიწა ჩამოქცეულიყო და გვირაბის გასასვლელი ამოექოლა. გარედან ჩამი-ჩუმი რა არის, ისიც არ ისმოდა.

ერთხანს ყველანი გაქვავებულნი ვიდექით. გვინდოდა, გვეყვირა, მაგრამ ხმას ვეღარ ვიღებდით. თავზარდა-

ცემულნი მივჩერებოდით გვირაბის ჩახერგილ გასასვლელს.

ვიდექით ასე ენაჩავარდნილები, მოწყვეტილები ყველასა და ყველაფერს.

სიჩუმეში გარკვევით ისმოდა ჭერიდან ჩამონადენი წყლის წვეთების წკაპუნი.

— ერთი, ორი, სამი, — გაოგნებული ვითვლიდი — ოთხი, ხუთი... არა, ეს ზღაპარია, სიზმარი... ექვსი... შვიდი... ეს ხომ წარმოუდგენელია, არა, ასე არ შეიძლება...

სწორედ შვიდი საფეხური აქვს გვირაბის კიბეს...

წამიც და ჩვენმა სასოწარკვეთილმა ყვირილმა ააბმიანა მთელი მიწისქვეშეთი. ვყვიროდით რაც ძალი და ღონე შეგვწევდა.

სადღაც, გულის სიღრმეში, ჯერ კიდევ ბეუტავდა იმედის ნაპერწკალი. ვფიქრობდით, ვინმეს ხმას მივაწვდენდით, მაგრამ ამაოდ.

წყლის წვეთები კი ისევ წკაპუნებდნენ ფილაქანზე. ისევ ერთმანეთს ჩავჭიდეთ ხელი, ახლა ჩვენი თავის ერთადერთი მხსნელი ისევ ჩვენ ვიყავით.

— გეყოფათ, ბიჭებო! — რაღაცნაირი შეცვლილი ხმით თქვა გიამ, როცა ცოტა გონს მოვეგეთ. — გასასვლელი უნდა გავწმინდოთ!

მიწა ბარსა და წერაქვს ადვილად მოჰყვებოდა. ვმუშაობდით რიგ-რიგობით, დაღლამდე. ეკამაც გამოიღო ხელი.

ალბათ გარეთ უკვე დიდი ხანია გათენდა. ვინ იცის, იქნებ წვიმამაც გადაიღო და ზაფხულის ცხრათვალა, კაშ-

კაშა ეზე სხივებად ილვრება. ჟივჟივებენ ჩიტუნები. ჩვენი ახალი სკოლის მშენებლებიც რა ხანია მოვიდნენ საშუშაოზე. ბატონი პლატონიც იქ იქნება. იქნებ ბონდოიამაც გამოიარა. ჰაი, ჰაი, როგორ ამაყად აივლ-ჩაივლის, ესაო და... ეჰ! ჩვენ კი? ჩვენ რომ არ ვიქნებით? ვინ იცის, იქნებ მთელ ქალაქში გვეძებენ... დაგვეძებენ მშობლები, ნათესავები, მეგობრები. გვეძებს მილიცია... ჩვენი კვალი კი არსად ჩანს. ვის მოუვა აზრად, რომ აქვე, მიწისქვეშა გვირაბში ვართ ცოცხლად დამარხულები.

ნელ-ნელა მივიწევთ წინ, ზევით, სიცოცხლისაკენ. უკვე კლდეში ნაკვეთი საფეხურებიც გამოჩნდა. თითქოს ექსკავატორის გუგუნიც შემოგვესმა. ყველანი გავინაბეთ.

— გესმით?

— ნამდვილი ექსკავატორია!

— იქნებ ჩვენს აქედან გასვლამდე გამოარღვიონ გასასვლელი!

ეკას უკვე ცრემლები გაშრობოდა, ხმა ჩახლეჩოდა. ერთადერთი სანთელიღა ციმციმებდა საცოდავად. ჯიბის ფარნები დიდი ხანია ჩაგვიქრა. შიმშილისაგან კუჭი გვეწვის. წყურვილს როგორღაც თიხის ძველისძველი წყალსადენიდან გამონაჟური წყლით ვიკლავთ, გვირაბის მთელ სიგრძეზე რომ მიჰყვება. ალბათ ამ წყაროს წყალს სვამდნენ ალყაშემორტყმული მეციხოვნენი.

— მეტი აღარ შემიძლია, ლამისა, გული შემიღონდეს! — წუწუნებს მამუკა.

გია ხმას არ იღებს. ვდუმვარ მეც. აბა, რას მოგვიტანს სიმწრით თითების მტვრევა.

— აჰა, გამომართვით! — ამბობს გია და შაქრის ორ შოზრდილ ნატეხს გვაწვდის.

ეკა და მამუკა თავთავიანთ წილს წუწნიან, მე და გია კი ისევ ჯიბეში ვინახავთ. ვინ იცის, რა მოგველის.

მუშაობას თავს არ ვანებებთ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ თანდათან არაქათი გვეცლება. სიცივისაგან ვკანკალებთ. ხელებს მალიმალ ვიორთქლავთ.

ერთი ფიქრი არ გვცილდება გონებიდან: გავალთ კი აქედან! უცებ მიწის ზვავი ხელახლა ჩამოწვა და გია ლაშის ქვეშ დაიტანა.

გაწყდა ერთადერთი იმედის ძაფიც.

ისევ დარბაზს შევაფარეთ თავი.

ცოტა ხნის შემდეგ გია და მამუკა გვირაბიდან მეორე ჯასასვლელის საძებნელად წავიდნენ. დავრჩით მე და ეკა.

ის უკვე არ ტირის. ზის თავისთვის კუთხეში და ხმას არ იღებს. მე დარბაზის კედლებს ვათვალიერებ. ერთგან ჭერი ჩამონგრეულა და იატაკზე ქვა-ღორღი ყრია.

— ნეტავ აქამდე სად არიან ბიჭები? — მეკითხება ეკა.

— მოვლენ, ნუ გეშინია!

ეკამ მკლავები მუხლზე შემოიჭდო, ერთხანს გაირინდა.

— დათო, როგორ ფიქრობ, გავალთ აქედან?

— რა თქმა უნდა, უსათუოდ გავალთ!

ეკამ თავი ჩაღუნა.

— მე შენ სხვანაირი მეგონე, ეკა!

— უფრო გამბედავი, უშიშარი... არა? მერე, მე ხომ არ ვტირი? არც ვწუწუნებ! — გოგონას ხმა აუკანკალდა.

— დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავ, აი, დაბრუნდებიან ბიჭები და წავალთ!

ეკა გაჩუმდა. რატომლაც სული მეხუთება. შარვლის ჯიბეში გადანახული შაქრის ნატეხი კანს მიწვავს.

ანაზდად ხმაური შემოგვესმა. სმენად ვიქეცით.

— ალბათ ბიჭები ბრუნდებიან.

— არა, უფრო რაღაცის დაცემის ხმას ჰგავდა!

— ვაიმე, ბიჭები?

— წავალ, ვნახავ!

ეკა მკლავებში ჩამაფრინდა.

— არა, არ გაგიშვებ!

ხმაური ისევ განმეორდა, მაგრამ ახლა უფრო ყრუდ.

— ეტყობა, სადღაც მიწა ჩამოინგრა! — ვთქვი მე.

ეკა მთელი ტანით ცახცახებს. გია და მამუკა არც ისე დიდი ხნის წასულები იყვნენ, მაგრამ სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკიოდა. ყოველნაირად ვცდილობ, ჩემი მღელვარება როგორმე დავფარო. ერთხანს ეკას გართობა ვცადე. ათასგვარ ამბებს ვუყვებოდი, მაგრამ მას თითქოს არაფერი ესმისო, კრიჭა შეკვროდა. ასანთი ავანთე. დარბაზის ერთ კუთხეში რაღაც უცნაურ ბარელიეფს მოვკარი თვალი. ყალყზე შემდგარი ქორბუდა ირემი ჩლიქებით სივრცეს ტორავდა. უკან მშვილდ-ისარმომარჯვებული მხედარი მისდევდა ფეხდაფეხ.

— ეკა, მოდი, რა გაჩვენო!

ეკა უხალისოდ მომიახლოვდა.

ასანთი ხელახლა გავკარი.

— შეხედე!

გოგონამ შუბლზე ჩამოშლილი ქერა კულულები ხელის ერთი აქნევით უკან გადაიყარა, იქვე კედელთან მიდგმულ მრგვალ ქვაზე შედგა და ბარელიეფს დააკვირდა. უცებ ქვა შეტორტმანდა, გოგონას ფეხი აუსხლტა. ალბათ წაიქცეოდა, დროზე ხელი რომ არ მიეშველებინა. ქვა, რა თქმა უნდა, გადაბრუნდა, ხოლო კედელში ბარელიეფის ადგილას რაღაცამ ყრუ ჭახანი გაიღო. ვიფიქრე, თავზე ჭერი ხომ არ გვენგრევა-მეთქი.

შიშისაგან ორივე ადგილზე გავშეშდით. ასე ვიდექით ერთხანს.

— დათო! — ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ეკამ, მაგრამ სათქმელი ვეღარ დაამთავრა, სიტყვა ჩაუწყდა. როცა ისევ ამოიღო ხმა, იფიქრებდით, მის მაგივრად უკვე ვიღაც სხვა ლაპარაკობსო. — რა მოხდა? რა ამბავია ჩვენს თავს?

მე უხმოდ, ხელის კანკალით მოვიძიე ჯიბეში ასანთის კოლოფი და ავანთე.

ჩვენს წინ, ერთი მეტრის სიმაღლეზე კედელი გახსნილიყო და თვალებში შავი სიცარიელე გვიმზერდა.

— საიდუმლო სეიფი თუ არის! — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ვთქვი მე და ასანთი ხელახლა ავანთე. „სეიფში“ პაპიროსი „კაზბეკის“ ნახევრად დაცლილი კოლოფი და ასანთის მეტი არაფერი აღმოჩნდა.

— ამას აქ რა უნდა? — გაიოცა ეკამ, — ნუთუ მაშინაც ეწეოდნენ პაპიროსს?

— არა, ეკა! მგონი, სხვაგვარადაა საქმე! ეტყობა, გვირაბში ჩვენამდე ვიღაცები ყოფილან.

— მაშ, გვირაბს გასასვლელი ჰქონია!

— მართალია! — უმალ დავეთანხმე მე. — აი, შეხედე! — ახლა მეც დავინახე იქვე, ფილაქანზე დაგდებული პაპიროსის ნამწვავი.

— რა ვქნათ? — მეკითხება შეეშვიანებული ეკა.

— ჯერჯერობით არაფერი, ბიჭებს უნდა დაველოდოთ!

ეკა უხმოდ დამეთანხმა და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა დარბაზის კუთხეში.

მაინც როგორ მძიმედ გადის ლოდინის წუთები... თითქოს მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ბიჭები წავიდნენ... მწარე ფიქრები გულს მიღრღნის. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ეკას მარტო დატოვებაც რომ არ შეიძლება? საბრალო გოგო, როგორ შეიცვალა! არა, რაღაც უნდა ვიღონო!

— ეკა, ადექი, წავიდეთ!

— მერე ბიჭები? — გაოცებით შემომხედა ეკამ.

— ბიჭები ალბათ შემოგვხვდებიან, ვინ იცის, იქნებ უჭირთ რამე. ლოდინს ისევ წასვლა სჯობია...

ჩვენი დარბაზიდან გამოსვლა და ბიჭების გამოჩენა ერთი იყო.

— რა იყო, რატომ შეგაგვიანდათ?

— სანთელი ჩაგვიქრა, მთელი გზა სიბნელეში მოვდიოდით!

— არის გასასვლელი?

— არ ვიცით, ბოლომდე არ გავსულვართ!

— ეს ტიალი გვირაბი იმოდენაა, დასასრული არ უჩანს! — ხელი ჩაიქნია მამუკამ.

გიამ სანთელი აანთო და უცებ უკან მიდგა, ახლა შენიშნა გამორღვეული კედელი.

— აი, ეს ვიპოვეთ შიგ, — ვთქვი მე და პაპიროსის კოლოფი გავუწოდე.

მამუკა ხმას არ იღებს, ისედაც დიდი თვალები გაოცებისაგან კიდევ უფრო გაფართოებია.

— ეგ ხომ საიდუმლო სეიფია! როგორ მიაგენით! — იკითხა გიამ.

ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი.

გია ჩაფიქრდა.

— გვირაბს მეორე შესასვლელი რომ აქვს, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ საინტერესოა, ვინ იყვნენ ისინი, ჩვენამდე აქ რომ შემოვიდნენ...

— იქნება იმათ გაძარცვეს აქაურობა და პაპიროსი და ასანთი შემთხვევით დარჩათ...

— შესაძლებელია! — დაეთანხმა მამუკას გია.

— რა ვქნათ? — ხელმეორედ იკითხა ეკამ.

— დროა, წავიდეთ! — აფუცხუნდა მამუკა.

— დაიცათ! — წინდახედული გია კვლავ ჩაფიქრდა, — აი, რა: ეს პაპიროსის კოლოფი და ასანთი ისევ თავის ადგილას უნდა დავდოთ!

მე უმალ მივუხვდი ამხანაგს.

— ქვას ისევ გადავაბრუნებთ და კედელიც დაიხურება.

ასეც მოვიქეცით. სეიფში პაპიროსის კოლოფი და ასანთი ისევ იმ ადგილას დავდეთ. გიამ კედელთან მიდგ-

მული ქვა ფრთხილად გადააბრუნა. კედელი ჩაიკეტა.

ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ.

— უნდა წავიდეთ, — თქვა გიამ.

ჯიბეში გადანახული შაქრის უკანასკნელი ნატეხები უხმოდ გავიყავით და გიას მივყევით.

უკვე აღარაფერი დაგვრჩენოდა იმედის გარდა, რომელიც ჩვენი ერთადერთი სანთელივით ბჟუტავდა.

— შეუძლებელია გასასვლელი არ იყოს! — დაბეჯითებით ვთქვი მე.

— ალბათ, იქ, ზევით, დიდი ხანია გათენდა...

— ვინ იცის, იქნებ დაღამდა კიდეც...

— ნეტავი თუ დაგვეძებენ?

— საბრალო დედიკო! — ამოიოხრა გიამ.

— ეჰ, ვინმესთვის მაინც გვეთქვა!

— აბა, რას ვიფიქრებდით!

ცოტა ხანს შევისვენეთ.

— ხომ არ ჯობდა, გვირაბის შემოსასვლელი ხელახლა გვენახა, ვინ იცის, იქნებ...

— ამას მერეც მოვესწრებით! — მოკლედ მომიჭრა გიამ.

დახუთული, მძიმე ჰაერი თითქოს თანდათან მსუბუქდებოდა.

აგრილდა კიდეც. გამოვცოცხლდით, უძილობისაგან დამძიმებული ქუთუთოები თავისთავად გაგვეხსნა.

— ჰა, როგორ არის საქმე? — დროდადრო უკანმოუხედავად გვეკითხება მამუკა.

— მიდი, მიდი, ნუ ჩერდები! — ვეხმიანებით მეწინავეს.

სანთელი კი დნება და დნება.

— შევისვენოთ?

— არა, იარე!

— დავიღალე, აღარ შემიძლია!

— ახლა უკვე მალე გავალთ, ცოტა კიდევ მოითმინეთ! — ვცდილობ ამხანაგების გამხნევებას.

ანაზდად საიდანღაც ნიავმა დაქროლა. საცოდავად აპარპალდა სანთლის ალი.

— ბიჭებო! — იყვირა მამუკამ, — გასასვლელი!

ყველანი ადგილზე გავშეშდით.

ჩვენს წინ სარკმელივით პატარა ხვრელიდან თვალისმომჭრელმა სინათლემ იფეთქა.

— ვაშაა! — აღრიალდა გახარებული გია და მოულოდნელობისაგან გაოგნებული ეკა გასასვლელისაკენ გაიტაცა.

ვიღას ახსოვდა დაღლილობა, შიმშილი, უძილობა, სიცივე...

— ეს რაღაა? ნამუხარას ხიდთან გამოვსულვართ! — აქეთ-იქით იხედება მამუკა.

— ბიჭებო, ბიჭებო! — იცინის ეკა, — გახედეთ, მეხანძრეები მოდიან!

მართლაც, შორიდან ჯერ ზარის გაბმული რეკვა მოისმა, მერე კი სახანძრო მანქანაც გამოჩნდა.

— ალბათ დღეს ქალაქში დიდი სიცხე იქნება!

— ეეჰეე! — გასძახიან მამუკა და გია.

— ეეჰეე! — იმეორებენ რიეერაეისფერი მთები, ბანს აძლევენ ხუჭუჭა ჭალაკები და ტყეები. ასე გვგონია,

უფრო მხიარულად ჟღურტულებს ჩვენი საყვარელი, პატარა მდინარე.

...მოწმენდილ ცაზე კოცონივით გიზგიზა, დიდი, წითელი მზე ამოდის.

გამარჯობა, ჩვენო მშობლიურო ქალაქო!

კუნტა

პატარა, პროვინციული ქალაქი ის-ის იყო იღვიძებდა, ვარსკვლავებით მოკენჭილ ცაზე მთვარის შუქი ფოფინებდა.

თენდებოდა.

მოდიოდა ნამდვილი კოლხური დილა, ისეთი, როგორიც მხოლოდ შავი ზღვის პირას, დასავლეთ საქართველოში იცის.

ოღროჩოღრო ქუჩაზე ძველმა, დანჯღრეულ-მა ეტლმა ხრიგინით ჩაიქროლა. მალე მოსახვევს მიეფარა, სადგურისაკენ გასწია.

— ბიკიამ ჩაიარა! — თქვა გიამ და ბიჭებს მიუბრუნდა: — უნაბის ხე სად დგას ხომ იცით? იმ ადგილას მესერს გამოსწევთ და გადაძვრებით. ძაღლისა ნუ გეშინიათ, გუშინ დილას წაიყვანა საშიკო ტყირპიანმა, ჩემი თვალით ვნახე. ვარდენას ღობისკენ რომაა, იმ ტოტზე არ გახვიდეთ, ქათმებია. იმ ბრუტიან მამალს კი, უდროო დროს რომ ყივის, თუ ვარ ბიჭი, მალე მეორე თვალსაც დავუვსებ!

მამუკას ხმა არ ამოუღია. სიმინდებში ჩაცუცქული ბალახებს წიწკნიდა, ეტყობა, შიშს აეტანა.

მეც უხმოდ ვუსმენდი, ისე კი, კაცმა რომ თქვას, ახლა ძილი ყველაფერს მერჩია.

— აბა, წადით! — თქვა გიამ, — მე აქედან გითვალთვალებთ. თუ საჭირო იქნება, დაგისტვენთ.

მამუკა ფორთხვით გაძვრა სიმინდებში. ყანის ბოლოს რომ მივიდა, გამომხედა.

— რაღას უცდი? ცოტა ჩქარა წამოდი!

ლეღვის ხის გასაკრეფად მივეშურებოდით. ხე ჩვენი მეზობლის, ფარნა ნადარეიშვილისა იყო. ფარნას შინაურობაში კუნტას ეძახდნენ (კუნტა მეგრულად მოკლეს ნიშნავს, მაგრამ საოცარი ის არის, ამ სახელის პატრონი ორი მეტრი სიმაღლისა მაინც იქნებოდა). ახლო მეზობლობაში რომ გეკითხათ, კუნტა როგორი კაციაო, ზოგი რას გეტყოდათ და ზოგი — რას. ერთნი ამტკიცებდნენ: ჭკუასთან მწყრალად არისო, მეორენი, პირიქით, — თავის

თავისთვის ჭკუა არ აკლიაო. იმასაც ამბობდნენ, თავის დროზე კაი გვარიანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ ოცდაოთხში, ირეულობის დროს, „ბუნტოვჩიკებს“ აჰყვა, დაიჭირეს, გალახეს და მას მერე ასე გამოლენჩებული დადისო. არ ვიცი, ეს ამბავი მართალია თუ არა, მაგრამ ერთ რამეს, ცხრა ხატზე რომ დამაფიცონ, მაინც ვერ გადამათქმევინებთ: კუნტა პატიოსანი და უწყინარი კაცია. სამი შვილი ჰყავს: ორი ვაჟი და ერთი გოგო. ყველაზე უმცროსი, ვახო, წლისა თუ იქნება. მთელ ახლომახლო მეზობლობაში, მგონი, ეს ერთადერთი ბავშვი იყო, რომელიც ამ გაგანია ომის დროს დაიბადა.

კუნტა სახლში არაფერს აკეთებდა. ერთი ბეწო ეზოს მისი ტარანივით გამხმარი ცოლი ამუშავებდა. თვითონ კი დილიდან გვიან საღამომდე აივანზე იჯდა და მეზობლის ბიჭს ნარდს ეთამაშებოდა. ზოგჯერ მისი მოგვარე, პიონერთა პარკის ფოტოგრაფი უწევდა პარტნიორობას.

კუნტას ხანდახან სადგურში, მატარებელზე უყვარდა დახვედრა. ბარგის წაღება-წამოღებაში ეხმარებოდა მგზავრებს. ტარიფი ერთი ჰქონდა — ათი მანეთი. ზოგჯერ მგზავრები ატყუებდნენ. ორ ბარგს ერთმანეთს გადააბამდნენ და ფარნასაც მიჰქონდა ხმის ამოუღებლად.

კუნტა ღვინოს არ სვამდა. მაგრამ ერთხელ თურმე ვიღაცამ დაათრო და ნამდვილ გიჟს დაემსგავსა. გადაირია, აიწყვიტა. ხმალამოწვდილი გამოენთო ეზოში. მეუღლის სიმწრით მოწეული სიმინდები მოსცელა ერთიან. აბა ვინ გადაუდგებოდა წინ? ვისაც ჯანი ერჩოდა, ყველა ჯარში იყო. რას შვრები, რას შვრებიო, ერთი-ორჯერ

კი შეუძახა დიანოზა მჭედელმა, მაგრამ საქმე შემოგლეკია? ვინ შეუშვა ყურში.

ვის ებრძოდა მაშინ? ვინ ეგონა სიმინდები, ასე დაუნდობლად რომ ცელავდა? გერმანელები? თუ თავისი უმადური ცხოვრების ტევრს მიარღვევდა. იქნებ, მაშინ სადღაც, გულის სიღრმეში, მიძინებულმა ნაპერწკალმა აანთო, ააფორიაქა, ცეცხლი შეუნთო სულს, შემოუტრიალა გადაბრუნებული გონება და ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ აამხედრა. ვითომ? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი? მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ იმ დღიდან კუნტა საოცრად შეიცვალა. ოდესღაც სევდიანი მზერა გაუმკაცრდა. ზეზეულად ჩამოხმა, ღვინის სმასაც მოუხშირა, მაგრამ ასეთი რამ აღარ გაუმეორებია...

...მე უკვე ხეზე ვიყავი. რაღაც იდუმალად შრიალებდნენ ფოთლები. უცებ მეახე ტკაცანის ხმა გაისმა. ქვეშოთ, სიმინდებში განაბული მამუკა დაფრთხა.

— რა მოხდა? — ასძახა მცირეოდენი დუმილის შემდეგ ამხანაგს.

— არაფერია, პატარა ტოტი მომიტყდა!

— ფრთხილად, არ ჩამოვარდე!

— ნუ გეშინია!

— ხედავ რამეს?

— უჰ, სავსეა. შენც ამოდი!

— ხომ იცი, ფეხი მტკივა! — იცრუა მამუკამ.

მე არაფერი მიპასუხნია, ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამდენ ხანს რას შვრები? ჭაამ?

არც ახლა ვაღირსე პასუხი.

— გეყოფა, ჩამოდი!

— ჰო, ჩუმად, ჩამოვდივარ!

ანაზდად სიბნელეში რაღაცამ გაიშლიგინა. მამუკა მოულოდნელობისაგან მიწას გაეკრა, მერე უცებ წამოხტა და ღობეს კისრისტეხით გადაევლო.

— რომელი ხარ მანდ? — მეხის გრგვინვასავით გაისმა კუნტას ხმა.

სუნთქვაშეკრული ხის ტანს ავეკარი.

— რომელი ხარ-მეთქი? — გაიმეორა კუნტამ.

მე ვდუმდი. იქნებ ვერ მხედავს-მეთქი, მაგრამ კუნტა თითქოს მიმიხვდაო, არ მეშვებოდა.

— მაშ, კარგი! — თქვა ბოლოს. — მე თვითონ ამოვალ მანდ და ამ ხმლით დაგაჭრი მაგ ყურებს!

ხეზე ტოტი შეირხა.

— ბიძია ფარნა!

— არ იტყვი, რომელი ხარ?

— მე ვარ, ბიძია ფარნა, დათო! მაპატიე, მეორედ არ ვიზამ! — ხმა ამიკანკალდა.

— რომელი დათო?

— ქეთეს შვილიშვილი. მაპატიეთ, ბიძია ფარნა!

— ჩამოდი!

— ხომ არ მცემ?

— გეუბნები, ჩამოდი-მეთქი!

— მითხარი, ხომ არ მცემ?

— ჩამოდი, შე მამაძაღლო!

— აბა, არ ჩამოვალ!

— კარგი, იჯექი მანდ, ერთი ვნახავ, სანამდე იქნები! — თქვა და ლეღვის ძირას ჩამოჯდა.

— ბიძია ფარნა!

ფარნა ხმას არ იღებს.

— ბიძია ფარნა!

ფარნა ისევ დუმს.

„რაც მომივა, მომივა... ჩავალ!“—როგორც იქნა, გადავწყვიტე და ხიდან ჩამოვცოცდი.

მიწაზე ცალი ფეხის დადგმა და ყურში ხელის წავლება ერთი იყო.

— რა გიქნა ახლა მე შენ?

— ვაი, ყური, ყური! — საცოდავად დავიკვნესე.

— არა, უნდა აგახიო!

— მაპატიე, ბიძია ფარნა!. ვაი, დედა, ყური!

— ეგ რაა? — ყამობერილ უბეზე თითი მატაკა კუნტამ. — ლეღვია?!

— ჰო!

— აბა, ჩამოყარე, ჩქარა!

ქამრიდან ხალათის კალთები ამოვწიე. მწიფე, დაჭყლეტილი ლეღვები მსუბუქად, ბაყა-ბუყით ჩაცვივდა ბალახებში.

— ახლა დაჯექი და ჭამე! — მიბრძანა ფარნამ, ისე რომ, ყურზე ხელი არ შეუშვია, — სულ უნდა შეჭამო!

— ამდენს რა შემაჭმევს?

— ეს არ ვიცი მე!

— ნახევარი იყოს! — შევევაჭრე.

— არა, სუყველა! — ქვა ააგდო ფარნამ.

— მაშ, კარგი! — ყასიდად დავყაბულდი. — მხოლოდ ყურზე ხელი გამიშვი, მტკივა!

— იცოდე, ვერ გამექცევი!

— აბა, მე რომელი გამქცევი ვარ, ბიძია?

— კარგად გიცნობ, რა ნაჭედი ხატიცა ხარ. შენ არ გამიკრიფე საადრეო ვაშლის ხე?

— მე?

— ჰო, შენ! აბა, სხვა ვინ იქნებოდა? შენ და იმ ბონდოია კისერმოსატეხმა. შენ გგონია, ვერ ვიცანი შენთან მეორე ვინ იყო?

— არავინაც არ ყოფილა!

—უყურე ამას?! ტყუილის თქმასაც რომ ბედავს! თქვი, ვინ იყო! ბონდო იყო, ხომ? მითხარი და გაგიშვებ... ო, ბონდო, ბონდო! დამაცადოს! თუ კიდევ დავინახე ჩემს ეზოში, ჩემს ხეზე, მამაჩემსა აქვს ცხონება, ქაკანით ჩამოვიღებ ხიდან სკვინჩასავით.

— ბიძია ფარნა! — უკანასკნელად შევეცადე ჩემი მტანჯველის გულის მოლბობას, — თუ გინდა, ხვალ დილას მორიდში მოგეხმარები.

— ასე გუშინაც მითხარი, თუთის არაყს მოგიტანო.

— არა, ახლა არ მოგატყუებ, არაყსაც მოგიტან და მოგეხმარები კიდეც.

— ვითომ? — შეყოყმანდა კუნტა.

— მამას გეფიცები, ბიძია ფარნა!

ახლა კი მოტყდა ფარნა, ახლომახლო მეზობლებში ყველაზე მეტ პატივს მამაჩემს სცემდა, ნასწავლი კაციაო. თურმე, ერთხელ მამა სოფლიდან მომავალ ფარნას შეხვედრია, ჩაუსვამს „ემადინში“ და სულ ხრიალ-ხრიალით ჩამოუყვანია ქალაქში. მამაჩემი ახლა ჯარშია, მეორე მობილიზაციით წავიდა.

— რას შვრება, წერილს თუ იწერება?

მივუხვდი, მამაჩემზე მეკითხებოდა.

— გუშინ მივიღეთ წერილი, მგონი, ფრონტზე მივდივართო...

ფარნას არაფერი უთქვამს. თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა და ხმალი სიმინდებში მოისროლა.

შავი ქაღალდი

ჩვენს სახლს სკოლის ეზოსაგან ერთი ხის მესერი ყოფს, უფრო სწორად, ყოფდა, რადგან ეს მესერი გასულ ზამთარს, თებერვლის შუა რიცხვებამდე ძლივს მოგვყვა. სკოლაში ახლა მეზღვაურთა სამხედრო ჰოსპიტალია. კარებთან მაღალი, დაბღვერილი მეზღვაური დგას ავტომატით ხელში. ჩვენ საბავშვო ბაღის შენობაში დავდივართ სამეცადინოდ. ელექტრონი კვირაში ორ-სამ დღეს თუ ჩაგვიკრავს თვალს. გაკვეთილებიც მაშინ გვიმთავრდება, როცა ლამპაში ნავთის უკანასკნელი წვეთი ამოშრება.

დილიდან საღამომდე სულ მეზღვაურებში ვტრიალებ, რომლებიც ბებერი წაბლის ხის ძირას დომინოს ქვებს თავგამოდებით უხათქუნებენ ხის გაუჩორკნავ მაგიდებს. თუ რამეზე დამასაქმებენ, უარს არ ვამბობ, დავრბივარ კოჩია „მეტაჭკის“ ჯახრაკივით; ვყიდულობ ყველაფერს, ცხადია, რისი შოვნაც შეიძლება.

ჩვენს სასტუმრო ოთახში მეზღვაურთა ექიმი ადამოვსკი ცხოვრობს ცხრამეტი წლის შვილთან, იგორთან ერთად. მეუღლე და ქალიშვილი ადამოვსკის არმავირში დარჩენია. ახლა იქ გერმანელები არიან. თვითონ, ჯარში გაუწვევიათ თუ არა, უმცროსი ვაჟიშვილი თან წამოუყვანია.

იგორი მთელი დღეები სახლში ზის, ქალაქში გასვლას ერიდება. უწყინარი ბიჭია. არც მამამისს დაემდურება კაცი, სულ არყის სუნად რომ არ ყარდეს.

ერთი ბებიაჩემისა და მისი საუბარი უნდა მოისმინოთ:

— კეტევან გიორგიევნა, ტი მაია მამა!

— ჩტო? — ეკითხება ბებია.

— მა-მა! — გულზე ხელს იდებს ადამოვსკი.

— რა მამა აუტყდა, ბიჭო, ამ ყაზახს? — უკვირს ბებიაჩემს.

— ჩემი დედა ხარო, გეუბნება! — ვუხსნი მე.

— მერე მამა აქ რა შუაშია? — მეკითხება ბებია.

— მამა რუსულად დედას ნიშნავს.

— კაი ბიჭო, გეყოფა ციგნობა!

— მართალს გეუბნები!

ბებიას ჩემი მაინც არ სჯერა.

— მამა ნეტ, დე-და!

— ააა, — იცინის ადამოვსკი, — დე-და! ხარაშო!

ბებია აღფრთოვანებულია, გამომწვევად მიყურებს, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონიაო.

სახლის წინ, კოინდარზე ვწევარ, თითქმის მიწამდე გადაცელილი ბალახი ტიტველ ტანზე მჩხვლეტს: გუშინ ბებიამ ერთი იჯრა მუხუდოს ფქვილში გადააძოვინა ნიკანდრო მეეტლის ცხენს.

— დათო, დათო! — მომესმა უცებ ვიღაცის ბოხი ხმა.

ვიცანი. ჩვენი ჰოსპიტლის მზარეულია, მიკოლა.

სკოლის კარებთან საბარგო მანქანა თუხთუხებს. მან-

ქანაში რამდენიმე მეზღვაური და მედიცინის დები დგანან. ყველას ვიცნობ.

— საბანაოდ არ წამოხვალ? — მეკითხება მიკოლა.

„აბა, ამას კითხვა უნდა, ამ პაპანაქება სიცხეში მდინარეში ჭყუმპალაობას რა სჯობია!“

მე უკვე ძარაზე ვარ.

— ყველანი ვართ? — კითხულობს მიკოლა.

— ყველანი! — კარკაცებენ გოგონები.

— წავედით! პოლნი ხოდ, ვპერიოდ! — მხიარულად გასცა ბრძანება მიკოლამ და კაბინაში ჩაჯდა. დავიძარით. მანქანაზე სიმღერა წამოიწყეს:

„მშვიდობით, ჩვენო ქალაქო,
ხვალე გავდიეართ ზღვაში...“

ყველაზე ხმამაღლა მედიცინის და პაშკა გაჰკივის. ყველას უყვარს ეს მხიარული და მუდამ ხითხითა გოგონა. პაშკა კვირაში სამჯერ ჰოსპიტლის ეზოში კინოფილმებს უჩვენებს. თურმე ომის დაწყებამდე უკრაინის რომელიღაც ქალაქში კინომექანიკოსად მუშაობდა. ფილმზე დასწრება, რა თქმა უნდა, უფასოა. ჰოდა, ჩვენც, მთელი უბნის ბიჭები სულმოუთქმელად მოველით ამ დღეებს. კინოს სანახავად ახლო სოფლებიდანაც მოდიან, მაგრამ ყველას არ უშვებენ, არ შეიძლება, აკრძალულიაო. ეს ისე, კინოს დაწყებამდე, მერე, მოგეცათ ლხენა, ნელ-ნელა, თითო-თითოდ, ორ-ორად მოძვრებიან და მოძვრებიან სიბნელეში.

— მალე დავბრუნდებით? — ვეკითხები იაშა კასტიშელოვს, რომელიც თითქმის მისწეპებია პაშკას, და სახე-

ლოზე ექაჩავ. იაშა უკვე გაეწერა ჰოსპიტლიდან და ხვალ ბრუნდება გემზე.

— შენ რა, გაგიჟდი?—გაოცებული მიყურებს იაშა,— ჯერ არ მივსულვართ და უკან როდის დავბრუნდებითო; მეკითხები?

— რაო, დათო, ეჭვიანობ? — კისკისებს სანიტარი დორა.

— ჯერ მიწას არ ასცილებია და უკვე შეყვარებულია! — ნაძალადევად როხროხებს იაშა. — არა, ძმაო, ამისთანა მეზღვაურთან მართლაც ღირს ქიშპობა!

— მაგრად დადექ, არ შეშინდე, ჩაძირული გემის კაპიტანო! — მამხნევებს ვიღაცა.

— აბა, თავს ნუ იგდებთ! — გაწიწმატდა პაშკა, — დათო, მოდი აქ, ჩემთან! შენ კი, — ახლა იაშას მიუბრუნდა, — ხანდახან კომპასს დახედე, გზა ხომ არ გეშლება!

პაშა მართლაც კარგი თვალით მიყურებს. იქ, უკრაინაში, შენი ტოლი ლამაზი დაიკო მყავს, სიძედ უნდა წაგიყვანოო.

მე მხოლოდ ახლა, მანქანაში მომაგონდა, ერთ ნათესავ ქალს ეწერში გადასაცვლელზე წაყოლას რომ დავპირდი.

მანქანამ მკვეთრად მოუხვია.

მალე ნოღელაც გამოჩნდა. წყალი შესამჩნევად დაკლებულიყო.

ხიდქვეშ ბონდოია და მისი ამხანაგები გაშოტილიყვნენ. ბონდომ დამინახა თუ არა, წამოიწია.

— აა, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი!

— ვინ თქვა, არ მოვაო?

— მოდი, ბიჭო, შენ აქ! — წამოდგა აკანჭული პატიკო.

— რა გინდა! — აგდებულად გავეპასუხე მე, თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი, რაც უნდოდა ჩემგან. ამასწინათ ქედლის გაზეთში მასზე იუმორისტული ლექსი დავწერე და ახლა სამაგიეროს გადახდას მიპირებდა.

— კიდევ არ დაანებებ თავს გიჟპოეტობას?

— მიდი, ერთი, ამოარტყი ჭიტლაყი და გააგდე აქედან! — შეაქეზა გუჯუმ, ისე რომ, თავი არ წამოუწევია.

— ცოდოა, იტირებს!

— რა გინდათ ამ ბიჭისაგან? — უეცრად თავზე წამოადგა ბიჭებს პაშა.

— ეგ ვინღაა? — გადაფიჩინდნენ ბიჭები.

— აბა მოუსვით აქედან, თორემ... — გაბრაზდა პაშკა.

— ბიჭებო! — ანაზდად ვიღაცამ გადმოგვძახა ხიდიდან, — დათო ხომ არ არის მანდ?

ჩემი დეიდაშვილი მკითხულობდა.

— რა იყო, ვაჟა? — ავძახე მე.

— ბებია გეძახის, ჩქარა მოვიდესო.

— არ მეტყვი, რა მოხდა?

— ბიძიას შავი ქაღალდი მოვიდა!

მოულოდნელობისაგან გავქვავდი. თვალები ცრემლით ამევსო.

— რა მოხდა? — შეწუხდა ჩემი ასე უეცარი ცვლილებით პაშა.

მაგრამ მე თითქოს ყელში რაღაც ბურთივით ჩამჩარესო, ხმა ვეღარ ამოვიღე.

— დიადია პოგიბ! — წამოილუღლუღა პატიკომ.

ხიდზე მდგარმა ქალაქისაკენ გავიხედე. ცას ერთი შავი ღრუბელი ეკიდა. თითქოს, პირდაპირ ჩვენი სახლის თავზე.

სიმინდის სატეხად

ოქტომბერში ისევ ახალი მობილიზაცია დაიწყო. ახლა მეეტლეებთან ერთად ცხენებიც წაიყვანეს, მაგრამ ჩემი მოსისხლე მტერი, მეეტლე ბიკია ისევ დააჯლიგინებს თეთრქაჩაჩიან ცხენებს. კოჩია „მეტაჭკეს“ კი ჯერ ჩამოართვეს მისი ჯაგლაგი, მერე უკანვე დაუბრუნეს: მაგისი არც ხორცი ვარგა და არც ტყავი, ადგილზე მისვლამდე სადმე ფეხებს გაფშეკსო.

ქალაქში მხოლოდ სამხედროებს თუ ნახავ. ბაზარში წიწაკიანი არყით გამობრუჟული მეზღვაურები დაშლიგინებენ.

საწყალი ლისა ბებიას მესამე ვაჟის — დათიკოს დაღუპვის ამბავი მოვიდა. ერთხელ კიდევ აწრიალდა ჩვენი პატარა ქუჩა, კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა, კიდევ ერთ ეტლს შემოავლეს კოფოზე შავი არშია, კიდევ ერთ ცხენს ჩაუწნეს ფაფარში შავი ლენტი.

მტერი კავკასიონის კარებთან იდგა. ქალაქიდან სვანეთისაკენ მწკრივ-მწკრივად დაიძრა ტყვია-წამლითა და მარილით სავსე ურმები. გაცოცხლდა ძველი კოლხური სიმღერა მეურმეზე. გაუსაპნავი ღერძების ყურისწამლებ ჭრიალს შეუერთდა სიმღერის ნაღვლიანი მოტივი:

> გლეხიკაცი ურემზე ზის,
> ხელთ უჭირავს წკნელი გრძელი,
> ჩიდის, მისთვის მიიმღერის,
> გულს უღადრავს ჰანგი მწველი...

ჩვენი სკოლიდან კიდევ სამი მეათეკლასელი წავიდა. დანარჩენები, მესამე კლასის ზემოთ, დროებით დაგვითხოვეს და ახლა, ყოველ დილით, უთენია, სიმინდის საცეხად დავდივართ.

გამთენიისას ყოველთვის ბებია მაღვიძებს.

— ადექი, შვილო, უკვე დროა, ივანეს მამალმა ლამის ყანყრატო ამოიხიოს.

ან კიდევ:

— რა ძილქუში დაგეცა თავზე?! რა ამბავია ამდენი ძილი?!

ზოგჯერ სულაც არ მძინავს. ვწევარ თვალებდახუჭული და საბრძოლო ნიშანივით ველოდები ბებიაჩემის ხმას.

— დათო! — ანაზდად მომესმა ვიღაცის ძახილი, — ქეთე ბებია, დათო სახლშია?

— კი, შვილო, აბა სად უნდა იყოს? — უკვირს ბებიაჩემს.

საწოლიდან უხმოდ ვდგები და კარისკენ მივდივარ. ესტატე ბიძიას ეზოში ბონდოს უფროსი და დგას.

— დათო, ბონდო არ გინახავს? — მეკითხება ნამტირალევი ხმით.

მე გაოცებული, ნამძინარევი თვალებით შევცქერი მზიას. ღმერთო ჩემო, სად უნდა მენახა ბონდო ამ დილა-უთენია? არა, არ მინახავს-მეთქი.

-- რა ვქნა, წუხელ სახლში არ ყოფილა. სად იქნება, ეს მაინც არ იცი?

—გუშინ კი დავინახე, შუადღისას.....

— სად იყო?

— ის, პატიკო და მეეტლე ბიკიას ბიჭი, გუჯუია, მატარებელს გაჰყვნენ სადღაც.

მზია წავიდა.

ხელახლა ლოგინში ჩაწოლა სისულელე იქნებოდა. ფეხშიშველი ჩავდივარ ეზოში. ჭასთან ხელ-პირს ვიბან. ჰოსპიტლის ეზოში ნაცნობი მეზღვაური შეშას აპობს. ჩაჯახის ყოველ შემოქნევაზე ხვნეშის, მერე წელში იმართება, სახელოთი სახიდან ოფლს იწმენდს. უკოკარდო მეზღვაურის ქუდი ხორა-ხორად დაყრილ შეშაზე მიუგდია.

— ჰეი, გამარჯობა, მეზღვაურო! — მეძახის მხიარულად. — როგორაა საქმე?

— გუშინდელზე უკეთ!

— მოდი, შეშა არ გინდა?

— არა, გმადლობთ!

შეშა, მართლაც, არ გვინდა. სიცივით ჯერ არ ცივა.

— მოდი, ნუ ინაზები, კაპიტანო, თორემ უფროსები მოვლენ და მერე გვიან იქნება.

— არ მინდა, სხვა დროს იყოს!

— ჰო, მართლა, სიძე-პატარძალი თავს როგორ გრძნობენ? — ამას პაშა და იაშა კასტიბელოვზე მეკითხება. საბანაოდ წასვლის მეორე დღეს ხელი მოაწერეს. იაშას ამის გამო ორი კვირით გაუგრძელეს შვებულება და ბებიას თანხმობით ჩვენს სახლში ატარებენ თაფლობის თვეს. მე და ბებიას ახლა სამზარეულოში გვძინავს.

მეზღვაური როხროხებს. სიცილის დროს მთელი ტანი უთახთახებს, ბაგირივით დაგრეხილი კუნთები უთამაშებს.

— მათ ბრწყინვალებას გადაეცი, პროხორიჩმა უმდაბლესი სალამი გადმოგცათ-თქო. უთხარი, პატივი დამდონ და დღეს ჩაიზე მეწვიონ.

— ძია იაშა, მგონი, დღეს აპირებს წასვლას.

— ვიცი, ერთად მივდივართ. მომწყინდა მიწაზე ღოლიალი, ეჰ, — ფიქრს მიეცა პროხორიჩი, — რა სჯობია ზღვას! აი, წევხარ შენთვის გულაღმა გემბანზე და შესცქერი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას... სახეზე ზღვაური გელამუნება, შრიალებენ ტალღები, ყიპყიპებენ თოლიები... შენ გინახავს ზღვა?

— კი, ბავშვობაში ქობულეთში ვყოფილვარ...

— ზღვის წყალი თუ დაგილევია?

უნებურად მეცინება. იმ წელს მამამ ზღვაზე წაგვიყვანა. ჩვენს პატარა მდინარეში ასე თუ ისე მხრებგაწაფულს მეგონა, ცურვა ვიცოდი. მაგრამ ზღვაში შესვლა და ტალღის დარტყმა ერთი იყო. ფეხქვეშ უმალ გამომეცალა მიწა და ჩავყვინთე, კიდევ კარგი, ნაპირთან ახლოს ვიყავი და დროზე შემამჩნია მამაჩემმა. ზღვის წყალი, რა თქმა უნდა, კარგა გვარიანად გეახელით...

— რა გაცინებს? — განაწყენდა მეზღვაური.

— ზღვის წყალი როგორ არ დამილევია? მგონი, იმდენი დედის რძეც არ შემისვამს.

— აი, ეს მესმის, ჩვენებურია, მეზღვაურული!—პროხორიჩი ფართედ გაღეღილ მკერდზე ურისავით მჯიღს იბაგუნებს, — გამოდგები, კაპიტანო!

• •

ნამუხარამდე, სადაც ჩვენი სკოლისათვის სამუშაოდ განკუთვნილი ყანებია, ასე, ხუთიოდე კილომეტრი თუ იქნება. უთენია გასულები მზის ამოსვლამდე იქა ვართ. ჩვეულებრივ გზას ერთი საათი უნდა. მაგრამ ერთხელ...

ის იყო შუკას მოკლეზე ავყევით, კოჩიას ორთვალა წამოგვეწია. წინათ ბევრჯერ წავუყვან-წამოვუყვანივართ გადასახვევამდე. არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში, გამომარგლული სიმინდის კონებს ვაძლევდით ხოლმე. ახლა, რატომღაც, ზედაც არ შემოგვხედა. ერთი კი დაუწრუპუნა თავის ბეხრეკს და ჩაგვიარა. ერთხანს უხმოდ მივდევდით უკან. ჰა, ახლა გვეტყვის, დაჯექითო, ჰა, ახლაო, მაგრამ ვინაა უკან მომხედავი, ვინ გეპატიჟება! ბოლოს, იმედის ყველა ძაფი რომ გაგვიწყდა, მამუკამ იფიქრა: ეს თოხი რაღა მე ვათრიო, ცოტაზე ორთვალამ წაიღოსო. მამუკას გიამ მიბაძა, ორთავეს ლევანმა და ასე, ათამდე თოხი დავკიდეთ ორთვალას. მეტაჭკე, თითქოს აქ არაფერიაო, ყურადღებას არ გვაქცევდა. ზანტად თუ შეუძახებდა ხანდახან აღვირმიშვებულ ცხენს. ჩვენც ხმამაღალი ყაყანითა და ერთმანეთის ძიძგილაობით მივყვებოდით უკან.

უცებ ორთვალა ქარივით მოსწყდა ადგილს. გავარდა და მერე როგორ! ერთხანს ყველანი სახტად დავრჩით, ვერ მოგვეფიქრებინა, ასე უცებ რა ბზიკმა უკბინა ამ გალეულ ცხენსა და მის პატრონს. გარბის ორთვალა და ქვაფენილზე მიხრიალებენ ჩვენი თოხის ტარები.

— ბიძია კოჩო, ბიძია კოჩო! — მივდევთ აქლოშინებული ბიჭები, მაგრამ საქმე არა გაქვს, ვინაა ყურის დამგდები.

ასე კარგა ხანს ვდიეთ.

ის იყო ხელის ჩაქნევას ვაპირებდით, ეს კაცი ალბათ გადაირია ან დაყრუვდაო, რომ ორთვალა გაჩერდა.

კოჩომ თოხები შარაგზაზე პანტაპუნტით გადმოყარა, მათრახით რაღაცას დაგვექადნა და მოსახვევს მიეფარა.

მივხვდით, ეს მისი მორიგი ხუმრობა იყო.

კოჩო ბიძია წინათ, თურმე, კარგა შეძლებული ვაჭარი ყოფილა. საკუთარი დუქანი ჰქონია. ახლაც ხშირად იტყვის ხოლმე: როცა ვაჭარი ვიყავი, ყველა ბატონი კოჩის მეძახდა. მერე — ამხანაგო კოჩის, ახლა კი ყველა ძაღლი და მამაძაღ ლი კოჩოიას მეძახისო.

ცოდვა გატეხილი სჯობია, კოჩიას ძველი დროის გახსენებაზე ტანში ნეტარების ჟრუანტელი უვლის. ახლაც ისე არ დადგება, ორ კვირაში ერთხელ ძველებურად განავარდება არ მოეხუშტუროს. სოფელ-სოფელ დატორლიალობს. ჩალის ფასად ყიდულობს ყველს, კვერცხებს, ქათმებს და თბილისში „დეზერტირის“ ბაზარზე მამასისხლად ყიდის. მისი ერთადერთი გამცილებელი მე ვარ. აბა, მეზობელს უარი როგორ ეთქმის. სადგურამდე მისი ორთვალათი მივდივართ, მერე მატარებელში ბარგის ატანაში ვშველი. სამაგიეროდ, ერთ ფოჩიან კამფეტს, რომელიც ჩემთვის ჩამოაქვს და რატომღაც „ფეშკაშს“ ეძახის, მე და ბებია ჩაის ვატანთ...

უფროსკლასელები ის-ის იყო მისულიყვნენ. გამიკვირდა, მათ შორის ბონდოს რომ მოვკარი თვალი. იდგა ურმის ხელნაზე ხელმოხვეული და ეკას ელაპარაკებოდა. ვიცოდი, მისვლისთანავე დამინახა, მაგრამ არ შეიმჩნია.

მეორე ურმიდან პატიკო და გუჯუ ცარიელ გოდრებს სცლიდნენ.

— აბა, ბავშვებო, შევუდგეთ მუშაობას! — გვეუბნება ფიზკულტურის მასწავლებელი, — ბონდო და პატიკო ურმებით სიმინდს წაიღებენ, დანარჩენები ყანაში!

— პატივცემულო მასწ... — წელში გაიმართა პატიკო, — სიმინდის გადმოცლაში თუ ვინმე არ მომეხმარა, მარტო მე გამიჭირდება. ბარემ გუჯუ ჩემთან დარჩეს.

— კარგი! — დაეთანხმა მასწავლებელი. — შენ არ გჭირდება დამხმარე? — ახლა ბონდოს მიუბრუნდა.

ბონდომ თვალებით უმალ მე მომძებნა.

— ჩემთან დათო იქნება!

— სად იყავი წუხელ? — ვკითხე ბონდოს, როცა მარტონი დავრჩით.

— რა იყო, მოხდა რამე?

— მზია დაგეძებდა, წუხელ სახლში არ მოსულაო.

— მერე შენ რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა, არ მინახავს-მეთქი.

— სადგურში რომ მნახე?

— რაა? უნდა მეთქვა?

ბონდომ მხრები აიჩეჩა.

— იცოდე, არაფერი წამოგცდეს!

— მაინც სად იყავი?

— არ არის შენი ჭკუის საქმე! გესმის! — შემომიტია ბონდომ.

გავჩუმდი. აბა, მასთან საშარო თავი სად მქონდა! ბონდომ, თითქოს შიშს მიმიხვდაო, დამიყვავა:

— კარგი, ნუ გეწყინება, სხვა დროს გეტყვი!

მალე ყანიდან სიმინდით სავსე გოდრები მოიტანეს. ჩვენც პირდაპირ ჩელტით მოღობილი ურმის ძარაზე ვყრით.

მიმღებ პუნქტამდე კილომეტრ-ნახევარი თუ იქნება. გვიანი შემოდგომის წვიმისაგან ატალახებულ საურმე გზაზე უჭირთ ხარებს. საცოდავებს შიმშილისაგან ფერდი ფერდზე აქვთ მიკრული, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფეხის ძარღვები ზამბარასავით ეჭიმებათ. ხვნეშიან მძიმე უღლის ქვეშ. მე მეცოდება. საბრალო პირუტყვები. ურემს წინ მივუძღვი. პატიკოსა და გუჯუს ურემი თითქმის ფეხდაფეხ მოგვყვება.

მოსახვევთან, ერთ-ერთი მოსახლის კარებთან, ბონდომ ურემი გააჩერა, წავალ, წყალს დავლევო.

კარგა ხანია მზე საშუადღეოს გადაცდა. საგრძნობლად აგრილდა. მოსარკულ ცაზე თანდათან ჩამოზვავდნენ შავი ღრუბლები. ეჭვი არ იყო, ისევ წვიმას აპირებდა.

ბონდო მალე დაბრუნდა და ღრიჭოდ დარჩენილი ჭიქა-კარი ფართოდ გააღო.

— შემოიყვანე ურემი!—მიბრძანა გაბზარული ხმით.

შევყოყმანდი. ამ ეზოში ურემი რად უნდა შევიყვანო-შეთქი.

— შენ გეუბნებიან, ჩქარა, რას გაშტერებულხარ?!

ვიდრე რაიმეს თქმას მოვახერხებდი, ბონდომ ხელის კვრით განზე მიმაგდო და ურემს ეზოში შეუძღვა.

— გზა ხომ იცი? — მეკითხება ბონდო, როცა უკან ნახევრად დაცლილი ურმით გამოვედით, — თუმცა, დაიცა, აგერ პატიკო და გუჯუია მოდიან, ერთად წახვალთ!

— ეს... ეს... ხომ ქურდობაა... — ხმა ამიკანკალდა მე.

— ენა ჩაიგდე, გესმის! — შემომიღრინა ბონდოიამ.— კრინტი არსად დაძრა, თორემ... აქ ბიძაჩემი ცხოვრობს. წვრილშვილის პატრონია, უჭირს. რა მოხდა, ქვეყანა დაიქცევა, კაცმა კაცს ორი ტარო სიმინდი რომ მისცეს?!

— რა იყო, რას გაჩერებულხართ? — გვეკითხება ძოახლოვებული პატიკო.

— არაფერი, ისე დაგელოდეთ! — ბონდომ თვალი ჩაუკრა ბიჭებს, — მე აქ, ბიძაჩემთან უნდა დავრჩე, ურემს თქვენ წაიყვანთ, უკან კი ისევ ამ გზაზე გამოიარეთ!

იმ ღამით გალეშილი ბონდოია კოჩია მეტაჭკემ ძლივს მიათრია სახლში.

წერილი მამას

„იმედია, კარგად იქნები, ჩვენც კარგად ვართ. მხოლოდ შენი წერილი რომ არ მოგვდის, ეს გვაწუხებს. ბებიამ თქვა: ომიანობის დროს ყველაფერი შესაძლებელია, იქნებ გზაში იკარგებაო. ალბათ მართალია! ის ხომ ახლა ფოსტალიონია, მიხაკო ფოსტალიონი შენი წასვლის მეორე დღეს გაიწვიეს ჯარში.

დედა ბებია და ბაბუასთან წავიდა სოფელში, მშობლებს მივხედავ და იქიდან უფრო შეგიწყობთო ხელს.

ჩვენ სკოლაში ახლა სამხედრო ჰოსპიტალია, ჩვენ კი საბავშვო ბაღის შენობაში ვართ... ზოგჯერ კოლმეურნეობას ვეხმარებით მოსავლის აღებაში და როგორც დიდებს, შრომადღეებს გვიწერენ.

საყვარელო მამა! ვიცი, ძალიან, ძალიან რომ გეწყინება, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება. კაკო ბიძია დაიღუპა. შავი ქაღალდი თვითონ ბებიამ მოიტანა სახლში. საწყალი კაკო ბიძია! მისი სანადირო თოფი, ვარდენმა რომ იყიდა, ისევ უკან დაგვიბრუნა. ვინ იცის, იქნებ ის ბიჭი ცოცხალია, ისევ მის პატრონს მოახმაროსო.

ბებიამ გთხოვა, იქ შენთან გაიკითხ-გამოიკითხო, იქნებ ვინმემ დანამდვილებით იცოდეს კაკოს ამბავიო.

ეკას მამა დიდი ხანია ჯარშია, მგონი, სადღაც, შორეულ აღმოსავლეთში მუშაობს სამხედრო ექიმად. წერილებს იშვიათად, მაგრამ იმედიანად იწერება: სტამბოლის კაჟივით ვარო. ეკას დედა ჩამოვიდა. მერე გუდა-ნაბადი აიკრა და ეს საპყარი ბერიკაცი (ე. ი. ბაბუა ივანე) თითის სიგრძე ბავშვის ანაბარად დატოვა.

ბაბუა ივანეს ახლა სკოლაში აღარ მიეჩქარება. მთელი დღეები თავის ეზოში ტრიალებს და ყვავილების ნაცვლად კარტოფილის ნარგავებს უვლის. ხანდახან მეჯღანე ესტატესთან თუ გადავა, როგორც თვითონ იტყვის, ენის მოსაფხანად.

მამუკასაც როდი სცხელა ჩვენთვის. ქალაქის პურსაცხობში, სადაც ომამდე მამამისი მუშაობდა, ცეცხლფარეშს ეხმარება- ვერც გიას ნახავ მოცლილს. ეკაც სულ გამოიცვალა, ძველებურად აღარ ატარტალებს ენას.

ახალი სკოლის მშენებლობა ომის დაწყებისთანავე შეწყდა, სწორედ იმ დილით, როცა ჩვენ გვირაბში ვიყავით. საშენი მასალა უცებ სადღაც გაქრა. დარჩა მხოლოდ ვეება, საზარლად პირდაღებული ორმო.

ბატონი პლატონი, ჩვენი ისტორიის მასწავლებელი,

ისევ დაუბრუნდა სკოლას. თითქოს უფრო ყოჩაღად გამოიყურება, მაგრამ ახლა როდი დაეძებს ციხისგორას ნანგრევებში უძველესი ხანის მონეტებს, ოქროსა და სპილენძის ბალთებს.

ვარდენას ბიჭი მოკოდი მთელი დღეები უნაბის ხის ძირას ზის ჩეროში და მამამისს ნარდის თამაშს ასწავლის. ავადაა, ენაცვალოს დედა, წელს დაისვენოს, დამიჭლექა შვილი ამდენმა სწავლამო, — ოხრავს მეზობლებში დედამისი.

უკვე კარგა ხანია, სკოლის ზართან ერთად ხმა ჩაუწყდა სახანძრო რაზმის ზარსაც. ძველებურად აღარ დაშლიგინებს წითელი მანქანა ციხისგორას ფერდობებზე.

ქალაქი თითქოს დაცარიელდა, ცაც დადაბლდა. ხალხიც წელში მოხრილი დადის.

კოლექტივში მუშახელი ცოტაა, საქმე და საზრუნავი — ბევრი. ბონდოიას იშვიათად ვხვდები, ბოლო დროს მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის. ეს კია, მის სახლში ახლა არ შიმშილობენ. სუფრაზე თანდათან გაჩნდა შაქარი, პური და ზოგჯერ შემწვარი ქათამიც კი. ახლა კოჩია მეტაჭკის ორთვალას აღარ კადრულობს. ერთი-ორჯერ თავის ამფსონებთან ერთად ბიკიას ეტლით მობრძანდა.

დუბუნას ამბავს თუ იკითხავ, წერილი მოიწერა, კარგად-ვარ, გიორგის მისამართი გამაგებინეთო.

სამეზობლოში ყველანი კარგად არიან. ფარნა ბიძიას ცოლი კიდევ ელოდება ბავშვს.

მამიკო, სურათი თუ გადაიღო, ორი ცალი გამოგზავ-

ნე, ერთი ფარნა ბიძიამ მთხოვა. ბებიასთვის უთქვამს, თუ ბიჭი შემეძინა, გიორგი უნდა დავარქვაო".

ექიმი ადამოვსკი

დადგა ზამთარი, ცივი, ნესტიანი ზამთარი...

რაც დასაწვავი იყო დაიწვა, შეშას კი ბაზარში ცეცხლი ეკიდება.

ღამღამობით ყინავს.

მე ბებიასთან თავშექცევით ვწვები, სიცივისაგან აკანკალებულნი ერთმანეთს ფეხებს ვუთბობთ.

დილიდან გვიან საღამომდე ჰოსპიტალის ეზოში თუხთუხებენ შუქჩამქრალი სანიტარული მანქანები. მოჰყავთ და მოჰყავთ დაჭრილები, მათ შორის იშვიათად თუ გამოერევა ქართველი.

ექიმი ადამოვსკი ღამეს თითქმის არ ათევს სახლში. გამთენიისას შემოირბენს, ცოტას თვალს მოატყუებს და ისევ ჰოსპიტალში გარბის.

ისე არ დაღამდება, ქალაქის რომელიმე კუთხეში კივილი არ ატყდეს.

მეჯღანე ესტატე უკვე აღარ უყრის ცხელ ნაცარს სკოლისა და მისი ეზოს საზღვარზე აღმართულ ალვის ხეს გასახმობად, ესაოდა, ცოტა მიწას შემოვიმატებო. ამ ზამთარს ძალიან დაუძლურდა. არაფრის თავი აღარა აქვს. მისი ერთადერთი, უკანასკნელი იმედი ღვთისმშობლის ხატია, რომელიც საწოლთან, კუთხეში უკიდია. წინათ, ვინ იცის, დღეში რამდენჯერ ლოცულობდა ხატის წინ. ახლა,

ღმერთს დაწოლილი როგორ ველაპარაკოო, ოხრავს ლოგინად ჩავარდნილი. ერთი ძაღლი ჰყავდა, ისიც სადღაც გადაიკარგა. მომპარეს ვიღაც უსინდისოებმაო. მე კი უფრო მეზობლებისა მჯერა, თავს უშველა იმ უბედურმაო.

რატომღაც ის ზაფხული მაგონდება, ომი რომ დაიწყო. სკოლის ეზოში უამრავი მობილიზებული მოიყვანეს, უმეტესად ხანშიშესულები, შიგადაშიგ ახალგაზრდებიც ერია. დაღლილ-დაქანცულები თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. შემოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ხეების ძირას, ჩეროში, დაუდევრად მიჰყარ-მოჰყარეს თავიანთი ბარგი-ბარხანა. ზოგიერთები პირ-დაპირ მზის გულზე დასხდნენ და მტვრიანი, ათასი გზის ტალახშემხმარი ფეხსაცმელები დაიხადეს. მთელი ჩვენი უბანი მოაწყდა სკოლის ეზოს. დიანოზა მჭედელმა ხელი უშვა საბერველს. გრდემლთან მიაგდო ვეება ურო გივიმ. კოჩია მეტაჭკემ ჭიშკართან მიაბა თავისი ბედაური და სკოლის ეზოში შეცუხცუხდა. მოვიდა კუნტაც.

— ვინა ხართ, სადაურები? — შეეკითხა პირველსავე შემხვედრს კოჩო.

— ვინ უნდა ვიყოთ, შე კაცო, ქართველები ვართ! — იწყინა ახალმოსულმა.

— რაო, ვინა ვართო? — შემოეხვივნენ მეზობლები კოჩოს.

— ჩვენებურები არიან, წითელარმიელები!

— ვაი, თქვენს დედას უბედურს! — ცრემლები გადმოჰყარა ბებიამ.

— ფორმა რომ არ აცვიათ? — პირი დააღო ფარნამ.

— მისცემენ, სულის მოთქმას არ აცლით?

—მერე ფრონტზე წაიყვანენ? — დაინტერესდა დიანოზა.

— არა, ქორწილში! — ხვიხვინით კბილები გადმოჰყარა კუნტამ.

— რა აცინებს ნეტავი ამ უბედურს? — გაწყრა ვარდენი.

შეკრებილთ ვილაც ახალგაზრდა მიუახლოვდა, წყალი სად არისო, იკითხა.

წყალიო, — დაფაცურდა ყველა.

მალე დიანოზა მჭედლის ეზოში ჭასთან რიგი გაჩნდა.

სვამდნენ, ზოგი ხელ-პირს იბანდა. ხორხოცობდნენ, სადღაც სიმღერაც კი წამოიწყეს. კრიმანჭულმა ტოროლასავით დაიწკრიალა ცაში.

ეკამ თუნგით ღვინო მოარბენინა.

— ჰეი, ბიჭიკო, მოდი აქ! — ხელს მიქნევს ვილაც უცნობი. იგი განმარტოებით ზის თუთის ხესთან. ჭალარაშერეული თმა თითქმის წარბებს უფარავს. — რომელ კლასში ხარ?

— მეშვიდეში.

— ყოჩაღ! კარგი ბიჭი ყოფილხარ!

— წყალი ხომ არ გინდა, ბიძია?

— არა! —თითქოს ბოდიშით მეუბნება უცნობი. — წერილი მინდა დამიწერო სახლში, ჩემიანებთან...

მე უხმოდ ვართმევ ქიმიურ ფანქარსა და ქაღალდს. ველოდები. ის კი ხმას არ იღებს, დიდრონი, ნაღვლიანი თვალებით ცას მისჩერებია...

სადა ხარ ახლა შენ, ქართველო გუთნისდედავ. ვინ იცის, იქნებ მშვიდობიანად დაუბრუნდი მშობლიურ კერას, შენს კავს და სახნისს. ვინ იცის, ვინ იცის!

ჯარში გაწვეულები ქალაქში ორ კვირას დარჩნენ. მიიღეს სამხედრო ტანსაცმელი. დილიდან გვიან საღამომდე ისმოდა მათი „ბათინკების“ ბრახაბრუხი, მეთაურთა ხრიწწიანი ბრძანებები, სასულე ორკესტრის შეუწყვეტელი ცამპა-რამპა.

უმრავლესობას მნახველები ჩამოუვიდნენ ახლომახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან. ვოდიოდნენ, მოჰქონდათ უკანასკნელი ლუკმა, რომ ერთმანეთისათვის გაეყოთ, უკანასკნელად დამტკბარიყვნენ ერთმანეთის მზერით, სიყვარულით.

ჩვენი პატარა ციხისგორა, ლამისაა, ყაზარმას დაემსგავსოს, მარტო ჩვენს სახლში ათამდე კაცი ათევს ღამეს.

საკლასო ოთახებიდან კარგა ხანია გამოყარეს მერხები, ნაწილი სადღაც წაიღეს, ნაწილიც ხორა-ხორად ყრია სკოლის ეზოში...

თანდათან გაძვირდა ცხოვრება, ბაზარში სიმინდის ფასმა აიწია. გაჩაღდა გაცვლა-გამოცვლა. სოროებიდან გამოძვრნენ ძველი ვაჭრუკანები, სპეკულიანტები, სადგურებში ქურდობა გახშირდა. კოლმეურნეობას მუშახელი შოაკლდა. იკლო მოსავალმაც... წისქვილებში დაწესდა მინდი. მე უკვე სკოლაში კალოშებით დავდივარ. ზოგს ისიც არა აქვს. უთენია ტალონებით ხელში პურის რიგში ვდგები.

მამაჩემის აზიურ ჩექმებს, კოსტუმსა და პალტოს ბოლოს მისი საათიც მიჰყვა. ჭირს ცხოვრება, ძალიან ჭირს...

იაშა კარგა ხანია წავიდა, პროხორიჩიც. პაშას რა-

ტომღაც თვალს ვერ ვუსწორებ. ამბობენ, ის გემი, სადაც იაშა მსახურობდა, ქერჩთან ჩაძირესო.

გარეთ თოვს. დილიდანვე ხვავრიელად ბარდნის.

— ამაღამაც თუ ასე ითოვა, — ამბობს შეწუხებული ბებია, — სახლი თავზე დაგვენგრევა.

— ავალ, ჩამოვთოვლავ! — ვამბობ მე.

უარის ნიშნად ბებია ხელებს ასავსავებს.

— აბა, აქ ხომ არ გამოვიჭეჭყებით?

— დაიცა, ბიჭო, კბილებში ნუ გაქვს სული. ხვალ დილით ფარნას შევეხვეწები... ამაღამ კიდეც რომ ითოვოს, არა უჭირს.

უცებ სასტუმრო ოთახში რაღაცამ გაიხრიგინა. ხმაურს ექიმის ყვირილი მოჰყვა.

— მე შენ გასწავლი, შე ძაღლის შვილო, როგორ ელაპარაკო მამას!

— მეტი აღარ შემიძლია! — მოისმა იგორის აკანკალებული ხმა, — ქუჩაში ვერ გავსულვარ!

— მერე და, ვინ გიკრძალავს?

— სინდისი, მოვალეობა!

— განა სინდისი იმას გეუბნება, მოხუცებული მამა მიატოვეო? განა შვილის მოვალეობა არ არის, მიხედოს მშობელს, რომელსაც მის მეტი არავინ დარჩენია სიბერეში?

— ახლა სხვა დროა, მამაჩემო. არ მინდა დეზერტირი მერქვას!

— დეზერტირი რატომ? იმუშავე ჩვენთან, დღესვე გაგაფორმებ სანიტრად!

— ჩემი ადგილი იქაა, სადაც ჩემი ტოლები არიან,

სადაც ჩემი ძმა ვადიმია, სერგეი, ტოლია... ხალხისთვის თვალში ვერ შემიხედია... იმ დღეს ჩვენი მეზობელი მოხუცი ქალი, იცი, როგორ მიყურებდა? მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა... იმ ქალს სამი ვაჟკაცი დაეღუპა ფრონტზე, მამა!

— აქაც ფრონტია, ხალხი აქაც გვჭირდება!

— უჩემოდაც იოლად გახვალთ, ნუ გავიწყდებათ, მე კომკავშირელი ვარ!

— ჩემთვის დღე და ღამე ერთია, ვწვალობ, რომ იტყვიან, ტყავში ვძვრები. არავის არა აქვს უფლება, უკანასკნელი იმედი წამართვას!

— სხვებსაც უყვართ თავიანთი შვილები. მე მხდალი არა ვარ, მამა!

— მოიგონე დედაშენი, შენი და... იქნებ... — აქ ხმა ჩაუწყდა ექიმს, ალუღლუღდა.

— სწორედ ამიტომ უნდა წავიდე, მამა!

— გაჩუმდი!

სილის ტკაცუნთან ერთად ოთახში ისევ რაღაც წაიქცა. მერე კარები ჯახუნით მიიხურა. ფანჯრიდან გავიხედე. ახლად გაკვალულ ბილიკზე მხრებში თავჩარგული ექიმი მიდიოდა.

ახალი წლის ღამეს

რატომღაც, მგონია, დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაღამდა. თუმცა ცაჯ დილიდანვე არ უჩანდა კარგი პირი. საავდრო ღრუბლები ქალაქს სულთამხუთავივით დასდგომოდა თავზე. ქვემოთ, მუხისგორას ფერდობებზე, გამ-

ჭვირვალე ბურუსში დაცურავდნენ ერთი შეხედვით უხერხულად აჩოჩხილი ხეთა შიშველი ტოტები.

გარეთ მუხლებამდე თოვლი დევს. თეთრად გადაპენტილ მიდამოს შავი ცის ფონზე რაღაცნაირი მოყვითალო ფერი გადაჭრავს.

ცივა. რა ხანია დაღამდა. აქა-იქ, გულდაგულ დაგმანულ სარკმლებიდან მაინც ჭიატებს სინათლის მკრთალი შუქი.

უთენია ფიჩხისათვის ტყეში წასული ბიჭები ეს-ეს არის დაებრუნდით. ორად ორი კონა სველი ფიჩხი ბუხართან გდია. ცეცხლისპირ ქოთანში ლობიო თუხთუხებს. ბუხართან ბებია ზის, მხრებზე თბილი თავშალი მოუსხამს და დაჟინებით დასცქერის მოგუზგუზე ნაკვერჩხლებს.

დაიღალა საბრალო! ვხედავ, არაფრის თავი არა აქვს. ჯერ იყო და, ტყეში აღმა-დაღმა ხეტიალით კინაღამ მამაზეციერს ჩააბარა სული. დარდმა გაათავა, სადმე ხომ არ გადაიჩეხენო. ის რომ იქ გვეძებდა, ჩვენ უკვე აქ ვიყავით: კოჩოიამ მოგვიყვანა ორთვალათი. ააშენა ღმართმა მისი ოჯახიო! — გაიხარა ბებიამ.

ხვალ ახალი წელია!

უნებურად შარშანდელი ახალი წელი მაგონდება. მაშინ ყველანი შინ ვიყავით. სოფლიდან კაკო ბიძია გვეწვია თავისი ცოლ-შვილით. მახსოვს, დუხუნა აი, აქ, სარკმელთან იჯდა და გიტარას უკრავდა. მე თითქოს ახლაც მესმის მისი ტკბილი, ხავერდოვანი ხმა:

ბახმაროს მთებზე დაუთოვია, ვარალო...

საახალწლო მაგიდის მახლობლად, კუთხეში, ნაძვის ხე

იდგა. დუხუნა ბიძიამ მოპიტანა: აბა, დაეტოლე, შენზე მაღალი თუ არისო.

დუხუნა ახლა კარპატების მთებშია. მამა სადღაც ჩრდილოეთში იბრძვის... კაკო ბიძიას კი, ვოროშილოვგრადის მახლობლად, საძმო საფლავში სძინავს.

შარშან ამ დროს კი ყველანი საახალწლო სუფრას ვუსხედით.

ერთი წელი! ნუთუ ასე ხანგრძლივია ერთი წელი? აი, თუნდაც ჩვენი სამხედროს მასწავლებელი. ვინ იყო ერთი წლის წინათ? ჯანსაღი, სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცი. ახლა? ხეიბარი, ცალფეხა ნაფრონტალი კაცია, რომელიც ჩვენისთანა ცხვირმოუხოცავ ბიჭებს (როგორც თვითონ იტყვის ხოლმე) სამხედრო მეცნიერებას ასწავლის.

გარეთ კვლავ თოვა დაიწყო. ყინვა ისევ და ისევ უჭერს.

— დღესაც არ ჩამოვიდა დედაშენი, — წუხს ბებია,— რამე უბედურება ხომ არაა ჩვენს თავს?

— ვერა ხედავ, რა ამინდია?! ახლა ძაღლს არ გააგდებენ გარეთ.

— კი, კი, მართალი ხარ, — მეთანხმება ბებია. — ძნელია ახლა მგზავრობა, ისიც იმ სიშორიდან...

ოთახში თანდათან დათბა. ვგრძნობ, როგორ ნელი-ნელ მივლის ტანში საამო ჟრუანტელი. თვალები მებლიტება.

— ბებია, გვეჭამა რამე!

— უი, დამიდგეს თვალები! ასე რამ გამომაჩერჩეტა, ბეჩა! — თითქოს ხელი წაჰკრესო, გამოერკვა ბებია. —

თავს არ ვუჯერებ, ბებია, თორემ დავბერდი, ნამდვილად დავბერდი!

მართლაც, ამ ერთ წელიწადში საოცრად შეიცვალა. მოტყდა, აქამდე თმებში ბინდბუნდად შეპარული ჭაღარა თეთრად დაეფიფქა. ოდესღაც სხივიან თვალებთან ნაოჭები მარაოსავით გაეშალა. წელშიც მოიხარა ოდნავ.

მითვლემილ ცეცხლს ვაღვიძებ. სველი შეშა ერთსანს შიშინებს, სიმხურვალეს ებრძვის, ხრჩოლავს, მერე მხიარულ ტკიცინს იწყებს. ბებია ბუხრის თავიდან ლამპას იღებს, ანთებს და მაგიდაზე დგამს. ოთახში სინათლის შუქი იწყებს ფარფატს.

— ესაა ახალი წელი? ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ახალი წელი! — თავისთვის ჩიფჩიფებს ბებია და ერთი კუთხიდან მეორეში ფლასტაფლუსტით დაჩაჩუნობს, — ღმერთო დიდებულო, კაცს ჭადის ნატეხი უნდა ენატრებოდეს? ვაი, თქვენს დედას უბედურს, სადა ხართ, შვილებო, სად?!

— კარგი, ბებია, მოდი ახლა და ჭამე! — ვეუბნები მე და მაგიდასთან ვჯდები.

— მიწა უნდა ჭამოს ჩემმა პირმა, მიწა!

— ბებია!

— მე ნუ მიყურებ, შვილო, მოვალ, აბა, რას ვიზამ?! — ბებია ხალმიდან ყველს იღებს, ჭრის, მერე თეფშზე ლობიოს მისხამს.

გარეთ ისევ თოვს. ხელისგულის სიფართე ფანტელები პეპლებივით ფარფატებენ ჰაერში.

უცებ კარებზე კაკუნი გაისმა.

— მგონი, ვიღაცაა! — ბებიამ მარცხენა ყურთან თავსაფარი გადაიწია და მიაყურადა.

კაკუნი განმეორდა.

— მიდი, ბიჭო, კარი გაუღე, მგონი, დედაშენია!

ზღურბლზე ლურჯ ხალათწამოსხმული ერონისი იდგა.

— მრავალ ახალ წელს! — იღიმება სტუმარი.

— გაიხარე, შვილო! — მიეგება ბებია, — შემოდი, შემოდი, თორემ ოთახი გაცივდა.

— მარტო არა ვარ, ამხანაგიც მახლავს!

— მერე და რაღას უცდით. შემოდით!

ერონისს მაღალი ტანის უცნობი მამაკაცი შემოჰყვა. ვაკვირდები. ჰოსპიტალში თითქმის ყველა დაჭრილს ვიცნობ. ეს კი... ერონისი თითქოს ფიქრებს მიმიხვდაო, იცინის.

— დათო! ჯერ შენ არ იცნობ ვანიას, გუშინწინ ჩამოვიდა, მკლავშია დაჭრილი.

ახალმოსული გულღია, მხიარული სტუმარი გამოდგა.

— როგორ არის საქმე, დედილო?!—როხროხით იკითხა და მაგიდაზე პურის ნაჭრები და კონსერვის კოლოფები დაყარა.

ერონისი ბუხართან ჯდება, იგი კარგა ხანია ჩვენს ოჯახში შინაურ კაცად ითვლება.

— აბა, რა ისმის ახალი? ბიჭები როგორ არიან? — მეკითხება.

კარგადა ვართ-მეთქი, — მივუგე.

— ეკა სადღაა, რაღაც ამ ბოლო დროს ვერ ვხედავ.

— სახლშია, დედა ჩამოუვიდა, ბაბუა ივანეა ავად!

— დედაშენი არ ჩამოსულა?

— ალბათ ვერ მოახერხა, შვილო! — შეკითხვას ბებიამ მოჰკრა ყური, — ჩამოვა, აბა, რას იზამს!

ერონისი ბუხარში ფიჩხს უკეთებს. მერე ხალათის ჯიბიდან სათუთუნეს იღებს და ტკაცანით ხსნის.

— წელს მართლაც დიდი ზამთარი დაგვიდგა!

— ასეთი დიდთოვლობა ჩემი ქალიშვილობის მერე არ მახსოვს. ესღა გვაკლდა ყველა სიკეთესთან ერთად!— ხვნეშის ბებია.

— ეს სიცივეა? — ამბობს აქამდე უხმოდ მდგარი ვანია, — ყინვა ჩვენში უნდა ნახო, ციმბირში. ხეებიდან გათოშილი ფრინველები რომ ცვივიან. რა სჯობია მაშინ ტაიგაში გავლას! მიდიხარ შენთვის, მხარზე თოფით და... უცებ დათვის ბუნაგს გადაეყრები.

— ე-ე, დაიწყო ისევ მისებურად! — ეშმაკურად თვალს მიკრავს ერონისი.

— არ გჯერა? — ჯავრობს ვანია, — შვიდი დათვი მყავს მოკლული. პირველი თორმეტი წლისამ მოვკალი...

— გვჯერა, გვჯერა, ბატონო, ნუ დაგვახრჩვე! — ხარხარებს ერონისი.

— ჰოდა, ასე! — კმაყოფილია ციმბირელი, — ეჰ, ახლა ერთი ასი გრამი „ჩაჩა“ პირდაპირ გვაცხონებდა.

— რას ამბობს, ბიჭო, ეს რუსი? — მეკითხება სუფრასთან მოფუსფუსე ბებია.

— არაყი ხომ არ გექნებათო...

— დაჭრილს არაყი რად უნდა? — უკვირს ბებიაჩემს, — მაგათმა უფროსებმა რომ გამიგონ, ხომ გადამასახლეს აქედან!

— თუ გაქვს, ას-ასი გრამი არას გვიზამს, რაც არ

უნდა იყოს, ახალი წელი მოდის! — ეღიმება ერონისს.

ბებია ერთხანს ყოყმანობს, რაღაცის თქმაც კი დააპირა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, უხმოდ შეტრიალდა და მაგიდაზე ბოთლით არაყი ჩამოდგა.

— ღვინოზე ბოდიშს ვიხდი, არა მაქვს. დალიეთ, ღმერთმა შეგარგოთ, მხოლოდ ნამეტანს ნუ იზამთ!

ვანია ბოთლს წაეტანა, საცობი მოხსნა, დასუნა და რაღაცნაირი ოხვრა აღმოხდა:

— აი, ეს მესმის!

სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ.

— ექიმი სახლში ხომ არ არის? — იკითხა ერონისმა.

— ასე ადრე რა მოიყვანს, შვილო, ზოგჯერ ღამესაც იქ ათევს.

— სამაგიეროდ, მისი ბიჭია სახლში, — ვამბობ მე,— დავუძახო?

ბებიამ თანაგრძნობით შემომხედა.

— უთხარი მოვიდეს, თორემ სულ გამოაჩურჩუტებს ამდენი წერა და კითხვა. წინათ ხანდახან მაინც გამოდიოდა გარეთ, ახლა სულ სახლშია ჩაკეტილი. იმ დღეს შევედი და რას ვხედავ, იატაკზე ეგდო, ძლივს ჩავაწვინეთ ლოგინში.

— სვამს?

— ცოტ-ცოტას, მაგრამ მამამისივით არა. ჯარში უნდა წასვლა, დარდობს.

— რაო, მაგრა არ უშვებს?

— ასე გამოდის!

— ისიც ადგეს და წავიდეს!

— რა ვიცი შვილო, თავიანთი საქმე თვითონ უკეთ იციან. რაღაცნაირი საწყალი ბიჭია. ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს!

იგორის დასაპატიჟებლად შორს წასვლა როდი მჭირდება. სასტუმრო ოთახის კარებზე ვაკაკუნებ. ტახტის ჭრიალთან ერთად მისი გაბზარული ხმა მოისმა. ეტყობა, ეძინა.

—ოო, სტუმრები გყოლიათ? — კარები მოაღლიავა იგორმა და რაღაცნაირად დაიმორცხვა.

— მოდი, მოდი, ძველო, დაგვეწვიე! — შეეპატიჟა ვანია.

იგორს სახე გაუბრწყინდა, ახლავე დაგეწვევითო და ოთახში შებრუნდა. მალე ყველანი ჩვენს ღარიბულ სუფრას ვუსხედით.

სიმართლის მოყვარული ბებია

ვარდენის ჩამოსვლის ამბავი, ჩვეულებრივ, ყველაზე უწინ ბებიაჩემმა გაიგო.

ვარდენი ჩვენი მეზობელია. წელიწადში სამჯერ თუ გამოჩნდება სახლში. ამბობენ, რუსეთშია და ფულს ხვეტავსო.

გამთენიის ხანს უამრავი ბარგი-ბარხანით დატვირთული იმავე საღამოს ან მეორე დილას ქრება. ჩამოტანილ ნივთებს მერე მისი ცოლი ლიანა დააწინწილებს

ეზო-ეზო. ასე, ჯახირ-ჯახირით, გააქვს ოჯახს თავი. ვარდენის მეორე ჩამოსვლამდე თვითონ ლიანა რუსულ ოთხწლედში რუსულ ენას ასწავლის თხუთმეტიოდე გამეგრელებულ რუსის ბავშვს.

ქალაქში ნელ-ნელა გამოჩნდნენ დაჭრილები, შვებულებით ჩამოსული წითელარმიელები. ჩვენი მეზობლის, დომენტი გვენეტაძის უმცროსი ბიჭი გივი მძიმედ დაჭრილი სანიტრებმა მოიყვანეს სახლში. ატყდა ერთი ვაი-ვიში. მოცვივდნენ მასთან ერთად ფრონტზე წასულთა მშობლები და ნათესავები. არ ვიცი, ზოგს გზაზე დავშორდი, ზოგიც იქ დავტოვეო. დაღუპულებს არ ახსენებს. ბევრი შენატრის დომენტი გვენეტაძეს, ნეტა ჩემი შვილიც, თუნდაც, უფეხო დამიბრუნდესო სახლში.

ამჯერად ვარდენი კარგა ხანს დარჩა ოჯახში. გამხდარიყო, სახე გაფითრებოდა. ჯოხით ხელში, ბანცალ-ბანცალით გამოჩნდა სამეზობლოში. თურმე ტიფით ყოფილიყო ავად. მაგრამ ხალხში რას არ გაიგონებ: სპეკულანტობაზე დაიჭირეს და ციხიდან ავადმყოფობის გამო გაათავისუფლესო. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ კარგი დღე რომ არ ჰქონდა გამოვლილი, აშკარად ეტყობოდა. სახლშიც კაპიკის საფასური არაფერი ჩამოუტანია. მისი შვილი, ლევანი უკვე მეორე თვე მიდიოდა, არ ჩანდა. დედამისი ცხრა ხატზე იფიცებოდა, თბილისშია, გამოცდებს აბარებსო. მაგრამ დომენტი გვენეტაძემ თქვა, გასულ პარასკევს ლენინაკანში შემხვდაო.

საოცარი ქალია ლიანა, შიმშილით კუჭი რომ უხმებოდეს, კვნესას ვერ დააცდენინებ. ტყუილი კი, მოგე-

ცა ლხენა, იცის, მაგრამ ტყუილიცაა და ტყუილიც, მისი ტყუილი უბოროტოა. „რა ვქნა! — იტყვის ხოლმე, როცა უნებურ ტყუილში გამოიჭერენ, — აბა, მწარე სიმართლე მეთქვა, ბეჩა? კეთილი ტყუილი ჯოჯოხეთს საშოთხედ მოგაჩვენებს, ცოტა ხანს ხომ ასე იქნება, იქნება! მერე კი არ შეიძლება რაიმე საშველი არ გაჩინდესო“.

ცოტა ბებიაჩემი ვერ ურიგდება ლიანას. მზაკვარია, ეშმაკსაც კი შეაცდენსო. ფრთხილობს. ყველაზე მეტად ლიანას სიმღერას ვერ იტანს. მის ხმადაბალ სიმღერას გაიგონებს თუ არა, მაშინვე შეიცხადებს: „ე, მოდის ახლა სასესხებლად, სამათხოვროდ“. მართლაც, ლიანა დაბარებულივით გამოჩნდა ეზოში. მხრებზე თავშალმოხურული ნელა მოჰყვებოდა ბილიკს.

— არა, არაფერს არ მოგცემ, არა მაქვს! — ხელის ქნევით მიეგება ბებია.

ლიანა შეცბა. სიმღერა შეწყვიტა.

— რა იყო, შე ქალო?.. ჯერ არაფერი მითქვამს და რავა აბრაგივით დამეცი თავზე?.. სასესხებლად არ მოვსულვარ, ისე გამოვიარე...

— მაგას ნუ მასწავლი მე... ვიცი, რაზედაც ხარ მოსული!

— ღმერთო ჩემო, ამას ვის გადავეკიდე! ისე გამოვიარე, შე ქალო, მეზობლებთან არ უნდა მივიდეს კაცი?!

— აბა, რა გამღერებდა ახლა?

— ქერჩი აუღიათ თურმე ჩვენებს, ჩემო ქეთე!

— ეგ ამბავი გუშინ თქვა რადიომ! — ეღიმება ბებიას.

საერთოდ, ბებიაჩემი პოლიტიკის დიდი მოყვარულია. სახლში შავი, გობისხელა რადიო დღედაღამ ჩართული გვაქვს და ყური ზედა აქვს მიდებული. რამდენჯერ ვთხოვე, ბებია, შენ გენაცვალე, გამოთიშე ეგ რადიო, გაკვეთილები მაქვს სასწავლი-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. რადიო იმიტომაა, რომ ილაპარაკოს, თანაც მე ამ ლაპარაკში ფულს ვიხდი, ფულს კი მეეტლე ბიკია ეტლით არ არიგებსო.

ამჯერად ლიანას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს.

— ეს კი არ გექნება გაგებული, რომ ჩვენები ასი კილომეტრით წაწეულან წინ... ამდენი და ამდენი თვითმფრინავი ჩამოუგდიათ... უთვალავი „პლენი“ წამოუყვანიათ...

— ვოროშილოვგრადი ხომ არ აუღიათ? — ოდნავ გამოცოცხლდა ბებია.

— არა, ეს არ გამიგია, ისე კი თქვეს, იმასაც მალე აიღებენო, შეიძლება, ახლა ჩვენიც იყოს.

— იქ გაბმწარდა ჩემი სიბერე, ისე გამწარდეს ჩემი და ჩემი ობლად დარჩენილი შვილიშვილების ცოდვით ჰიტლერის დედ-მამა! — საცოდავად აწრიალდა ბებია და დამშკნარ, ნაოჭებით დაღარულ ლოყებზე ცრემლები გადმოუგორდა.

— კაი, შე ქალო, რავა ადრე კლავ იმ შენს საბრალო ბიჭს, რა იცი, იქნებ, ცოცხალია...

— მეტი არაა ჩემი მტერი. ის რომ ცოცხალი იყოს, აქამდე ხმას არ მომაწვდენდა?

— რა იცი, რა დღეშია, ახლა ჩვენი ჯარი წინ მიდის,

ადვილი შესაძლებელია, წერილების საწერად არც ეცალოს...

— რავა? დავიჯერო?

— კი, კი, ქეთეს ვენაცვალე, აგერ გაიანე ჩოჩიას უფროსი ბიჭი ნიკანდრო ხომ ჩამოვიდა... არ გახსოვს, იმისი ჩამოსვლის ერთი კვირის თავზე შავი ქაღალდი რომ მოვიდა, გმირულად დაიღუპაო. ამაზე რალას იტყვი?

ბებიას გული მოულბა.

— კარგი ქალი ხარ, ჩემო ლიანა, კარგი, ტყუილები რომ არ იცოდე.

— რა ვთქვი ახლა ტყუილი მე? — ეწყინა ლიანას.

— კარგი, კარგი, გული ნუ მოგივა. ვარდენი როგორ არის? — უცებ სხვა ამბავზე გადავიდა ბებია.

— ისე შენი და ჩემი ოჯახის დამაწყევარი იყოს, ის როა. ამ დილას შემეხვეწა, ერთი ღომი გამიკეთეო. უარს როგორ ვეტყოდი, გავუკეთე. მაგრამ ცოტა თხელი შემექნა... აგერ მთელი საათია ველოდები ჩემს გოგოს, წისქვილშია, ჰა, საცაა მოვა და მეშველება-მეთქი, მაგრამ სადაა ის არდასაცალებელი... რა ვქნა ახლა, რა მეშველება...

ბებიამ ეჭვის თვალით გადახედა ლიანას, მიხვდა, თვალსა და ხელს შუა რომ ატყუებდა. ამან უფრო გააბრაზა.

— ეს ამბავი გუშინწინაც მითხარი და კი წაიღე ერთი საინი ფქვილი!

— მერე რა მოხდა, შე ქალო?

— როგორ თუ რა? მე აქ ზაქარიას დუქანი კი არა მაქვს? ანდა იმ თავგასიებულ ჯოღორია მეწისქვილეს

შენი ჯინი ხომ არ ჭირს, სამი დღეა სამ მუჭა სიმინდს რომ არ გიფქვავს? თუ მე მატყუებ ჭკუაში?

ამდენი საუბრის შემდეგ ბებიას ასე მედგრად დახვედრას არ ელოდა ლიანა და წელათრევით წამოდგა.

— კარგი, წავალ აბა მე...

— დაიცა! — კალთაში ჩააფრინდა ბებია, — ახლა მოგცემ რაცა მაქვს, მაგრამ ხვალისათვის უნდა დამიბრუნო, რაცხა ერთი იჯრა დამრჩა, ბალანას ხომ არ ვაშიმშილებ?

— ო, შენი ჭირიმე, ქეთე, ხვალ ამასაც და იმ ძველსაც ერთად მოგცემ! — გაიხარა ლიანამ და აქამდე თავშლის ქვეშ დამალული თეფში გამოაცურა.

კომკავშირის რაიკომში

ზარი დაირეკა.

საკლასო ოთახიდან პირველი გამოვედი.

მინდა, ცოტა ხანს დავრჩე მარტო, ჩემს ფიქრებთან.

საფიქრალი კი ბევრი მაქვს, ძალიან ბევრი.

ერთი თვის წინათ მამას წერილი მოვიდა, დაჭრილი ვარ და კიევის მახლობლად ჰოსპიტალში ვწევარო. ეს არის და ეს. მას მერე ჩამი-ჩუმი არ ისმის.

დედაჩემი რა ხანია ჩამოვიდა სოფლიდან. დღე-დღეზე უკან გაბრუნებას აპირებს. რა ვქნა, ჩემი საბრალო მოხუცები ძალიან დაუძლურდნენ, აქეთ რომ მოვდიოდი, ბავშვებივით უკან გამომეტირნენ, უშენოდ რაღა გვეშველებაო.

მე ვხედავ, ძალიან კარგად ვხედავ ყოველ დილით დედის აწითლებულ თვალებს, ვიცი, ღამ-ღამობით ჩუმად ტირის. ბებია. ეს ერთი კვირაა, შეუძლოდაა, წევს. დედა მის გამოკეთებას ელოდება.

ეჰ, საფიქრალი ბევრია, ძალიან ბევრი!

ეზოში უმცროსკლასელებს ლახტი გაუჩაღებიათ. ნეტავი მათ, ცა ქუდად უჩანთ და დედამიწა ქალამნად. მათთვის ცხოვრება წიგნი და სათამაშო მოედანია. ოღონდ საჭმელი ჰქონდეთ, სხვას არაფერს დაგიდევენ. არ მისცემ საჭმელს და საქვეყნოდ მოგჭრიან თავს. გადმოდგებიან აივანზე და მორთავენ ყვირილს: „მშია, მშია! შიმშილით მკლავენო!“ კარგი ბიჭი ხარ და ნუ გაუჩენ გაუჩენელს.

ეჰ, მამა, მამა! სადა ხარ ნეტავი ახლა? ვინ იცის, გიჭირს იქნებ. მე უკვე დიდი ბიჭი ვარ, გავიზარდე. ბებია ამბობს, სიმაღლეში მამამისს დაემსგავსაო. გუშინ შენი შარვალი ჩამაცვეს. არ მინდოდა, მაგრამ ძალით ჩამაცვეს, ჩემი უკვე სახმარად აღარ ვარგა...

პატარა ხეივანს ჩავყევი. მყუდროებას დავეძებ, მაგრამ ხელისგულისოდენა ეზოში ამაზე ფიქრიც ზედმეტია. დავარჯულ ხის ძირას ჩამოვჯექი.

დღეს პირველი გაკვეთილი მათემატიკა გვქონდა. ის იყო, ზარი დაირეკა, რომ მასწავლებელს ჩვენი კლასის დამრიგებელი შემოჰყვა. მათ უკან ქერათმიანი, მაღალი ბიჭი იდგა. ვიცანი, ჰოსპიტლის უფროსის შვილი იყო, საშა. მასთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ საბანაოდ. საკითხავი წიგნი მუდამ ქამარში ჰქონდა გაჩრილი. მივიდოდით, მდინარეში ცოტა ხანს იჭყუმპალავებდა, მერე

გაიშოტებოდა მზის გულზე, გაშლიდა წიგნს და მორჩა! ამქვეყნიური აღარაფერი ესმოდა, რამდენიც არ უნდა გეძახა.

გამიკვირდა, აქ რა უნდა-მეთქი.

— საშა! — დაუძახა გიამ.

— იცნობთ? — გაუხარდა მასწავლებელს.

— ეს ხომ სამხედრო ექიმის შვილია!

— მაგას ვინ არ იცნობს, ღელეში ბაყაყები არ დასტოვა, ყველას ბდღვირი ადინა, დაჭრილებს აწუხებენო!— აკისკისდა ეკა.

მასწავლებელმა უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი.

— აი რა, ბავშვებო, თქვენი ახალი ამხანაგი, ალექსანდრე კრავცოვი რუსია. ვინაიდან ქალაქში მხოლოდ რუსული ოთხწლედია, დღეიდან თქვენთან ერთად ისწავლის. ალექსანდრემ ქართული არ იცის, თუმცა არც თქვენ გისკდებათ დიდი ცოდნით თავი.

— ქართული თუ არ იცის, როგორღა ისწავლის, მასწ... — პირი დააღო მომეციამ.

— მათემატიკის გაგებას ისედაც შეძლებს! — მოკლედ მოუჭრა დამრიგებელმა.

— სხვა საგნები: გეოგრაფია, ისტორია, ბოტანიკა...— სხაპასხუპით მიაყარეს აქეთ-იქიდან.

— რუსულ ენასა და ლიტერატურას ხომ სწავლობთ? ეს ორი!

— იფ, რა კარგია, ამისთანა სწავლაზე არც მე ვიტყოდი უარს! — გაიხარა მამუკამ.

— უცხო ენა ხომ იცის? — იკითხა ეკამ..

— სწორია, ესეც სამი!

— ფიზიკა, ქიმია, გეომეტრია...

— ცეკვა-სიმღერა — შვიდი!

—ფიზკულტურა — რვა! — ახარხარდნენ ბიჭები.

ახალმოსული მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ხმა არ ამოუღია, თავჩაქინდრული იატაკს დაშტერებოდა.

— ზოგიერთ საგანს სახლში ისწავლის, დედამისი მასწავლებელია! — თქვა დამრიგებელმა.

— მეც მინდა სახლში სწავლა, ბაბუაჩემიც მასწავლებელია! — ახითხითდა ბაბუცა.

— ჩუმად! —გაწყრა მასწავლებელი, მერე კლასის დამრიგებელს მიუბრუნდა: — ყველაფერი გასაგებია, პატივცემულო გიორგი!

დამრიგებელმა, აბა, თქვენ იცითო, დაგვიბარა და გავიდა. ახალი მოსწავლე ეკას გვერდით დასვეს, აქაოდა თბილისელი გოგოა, რუსული თქვენზე უკეთ იცისო. მე უხმოდ წამოვდექი მერხიდან...

— აი, თურმე სად ყოფილხარ? — უეცრად თავზე წამომადგა ეკა. — მე კი შენს ძებნაში მთელი ეზო ცხრაჯერ შემოვირბინე.

— რა იყო, მოხდა რამე?

— დღეს სალამოს რაიკომში მივდივართ დასამტკიცებლად.

— ვიცი, თუ გინდა, გამოგივლი და ერთად წავიდეთ, ბიჭებსაც ვეტყვი!

ეკა რაღაცნაირად შემოშაცქერდა თვალებში.

— ერთი ეს მითხარი, გეწყინა, ჩემი მერხიდან რომ გადაგსვეს?

— რატომ უნდა მწყენოდა, მერხი — მერხია.

— მაშ, სულ არ გწყენია?

ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. კი, მეწყინა-მეთქი.

ეკას თვალები გაუბრწყინდა.

— მაშინვე შეგატყვე, რომ გეწყინა. იცი, რა? გინდა ისევ შენთან გადმოვჯდები.

— არა, არ შეიძლება, უხერხულია.

— აი, ნახავ, ზარი რომ დაირეკება, ისევ გვერდით დაგისკუპდები! — წამოენთო ეკა და გაიქცა.

იმ საღამოს ყველანი კომკავშირის რაიკომში ვიყავით. ახლომახლო სოფლების სკოლებიდანაც ჩამოსულიყვნენ. დერეფანში ტევა არ იყო. მე, ეკა, მამუკა და გია ერთად ვიდექით.

— ჯერ სოფლიდან ჩამოსულებს გამოვიძახებთ! — გამოგვიცხადა ახალგაზრდა, ქერათმიანმა გოგონამ.

დერეფანი სკასავით აზუზუნდა.

— ვაითუ, არ მიგვიღონ?

— მაშ რისთვის ჩამოგვიყვანეს ამ სიშორიდან?

— სიშორეს რა ჭკუა აქვს, წესდება თუ იცი?

— ნეტა თუ ეკითხებიან რამეს?

— ამას წინათ ჩემი მეზობელი მიიღეს კომკავშირში, მითხრა, არაფერი არ უკითხავთო.

— ნეტავ ასე იყოს! — ინატრა ვიღაცამ.

დრო ნელა, ტაატით გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხუთი ფერდაკარგული მოსწავლე გამოიძახეს.

— ჩვენ ერთად შევიდეთ! — მითხრა ეკამ.

— ვერ ხედავ, სიით იძახებენ.

ეკა საწვიმრად მოიღრუბლა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით, უცებ ისევ სიხარულით აუციმციმდა თვალები.

— მერე რა, სიაშიც ხომ ერთად ვართ: კიკნაველიძე, კორინთელი.

—ეჰ, ყველაფერს ბედი უნდა! — ადუდღუნდა მამუკა.

— რა შეგეშინდა, ბიჭო, გკითხავენ რამეს? შენც ადექი და უპასუხე! — გიამ მხარი გაჰკრა ამხანაგს.

— შეხედეთ, საშა მოვიდა! — გაიცინა ეკამ.

— გამარჯობა, საშკა, — მიეგება მამუკა.

— ეტყობა, გულმა არ მოუთმინა!

— კაკ დელა? — იკითხა საშამ.

— ნიჩევო! — სუყველას დაგვასწრო მამუკამ.

— ვოლნუიტეს?

— რაო, რა თქვა?

— ღელავთო? — გვითარგმნა ეკამ.

— და, და! — კვერი დაუკრა გიამ.

— ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება.

— ერთი ჰკითხე, თვითონ თუა კომკავშირელი?

— შარშან მიმიღეს, მოსკოვში, მე ხომ იქ ვსწავლობდი.

პირველად შესულები ხუთივე ერთად გამოვიდნენ. ძისცვივდნენ ბავშვები, ზოგი რას ეკითხებოდა, ზოგი — რას.

— გკითხეს რამე? — ვეკითხები მღელვარებისაგან ლოყებაწითლებულ ბიჭს.

— არა, არაფერი, სად სწავლობ, როგორ სწავლობო...

— მერე?

— მერე... კარგი ბიჭი ხარო, მითხრეს და გამომიშვეს.

— სხვებს თუ ჰკითხეს?

— მგონი! ბორის ძნელაძე ვინ არისო?

— უთხრა?

— ბორის ძნელაძე ვინ არ იცის! — იწყინა ბიჭმა.

— ბედნიერი! — თვალი გააყოლა მიმავალს მამუკამ.

— შემდეგი! — კარებში ისევ გამოჩნდა ქერათმიანი გოგონა, — პირველი სკოლა. კიკნაველიძე, ჯოჯუა, ინასარიძე, დოლიძე, ცხვარიაშვილი...

შევცბი.

— კიკნაველიძე? სახელი?

გოგონამ ჟურნალში ჩაიხედა.

— კიკნაველიძე დავითი! შენა ხარ? აბა, ჩქარა, ბავშვებო, შემოდით!

— ასე როგორ შეიძლება! — აღშფოთდა ეკა.

—მიდი, მიდი! — მხარზე ხელი დამკრა საშამ.

საკმაოდ მოზრდილ ოთახში ვეება, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას ათამდე ახალგაზრდა უჯდა.

— აბა, პირველი რომელია? — იკითხა რაიკომის მდივანმა.

— კიკნაველიძე დავით გიორგის ძე. მოსწავლე. მეშვიდე კლასი.

— ა, ეს შენ ხარ კიკნაველიძე, ლექსებს რომ წერ, სასკოლო კედლის გაზეთის რედაქტორი?

— დიახ, ეგ გახლავთ, პატივცემულო მერაბ! — დამასწრო ქერათმიანმა გოგონამ.

— ძალიან კარგი. როგორ მიდის სწავლის საქმე? — მკითხა რაიკომის მდივანმა, მაგრამ ჩემს პასუხს არ დაელოდა, ისევ იმ ქერათმიან გოგონას მიუბრუნდა: — ვინ აძლევს რეკომენდაციას?

— სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ორი სხვა კომკავშირელი ამხანაგი. წავიკითხო?

— არ არის საჭირო! — თქვა რაიკომის მდივანმა და ბიუროს წევრებს გადახედა, — თუ მდივანი უჭერს მხარს, რა გვეთქმის, ამხანაგებო, უნდა მივიღოთ!

თანხმობის ნიშნად ყველამ ხელი ასწია.

— მაშასადამე, ერთხმად!

არ მახსოვს, როგორ გამოვვარდი გარეთ. დერეფნის ბოლოს ეკას ძახილმა შემაჩერა.

— სად გარბიხარ, ბიჭო? მიგიღეს?

— რა თქმა უნდა! — ამაყად მივუგე მე.

* *

„საყვარელო მამა!

აგერ ერთი წელია ერთმანეთი არ გვინახავს. მე უკვე კომკავშირელი ვარ.

დედა ისევ სოფელშია. ბაბუა ფილიპე იყო ავად. ახლა კარგად არის. იმ ბიჭის ჩამოსვლამდე ღმერთი როგორ გამწირავსო, უთქვამს.

ამას წინათ ერთი დაჭრილი შეხვედრია ბებიას. მეზობელი სოფლიდან ყოფილა. იმას უთქვამს: შენი კაკო ქერჩში შემხვდა, საღსალამათი დავტოვეო. განა ომში ყველანი იღუპებიან? ხომ ასეა, მამიკო?

ჩვენი მეზობლის, კალისას შვილის დაღუპვის ამბავი მოვიდა. გამოიტირეს. მაგრამ ორმოცი დღეც არ იყო გასული, კალისამ შავი არშია შემოაგლიჯა აივნის სვეტებს. სატირალი ჯერ არაფერი მაქვს. აი, დამთავრდება ომი, ვინც მოსასვლელია მოვა, ვინც არა და იმასაც მაშინ

ვნახავთო. ბებიას იმედი მიეცა, ახლა ისე ხშირ-ხშირად აღარ ტირის.

ალბათ ჩვენი ქუჩის ამბავი გაინტერესებს. ყველანი კარგად არიან, მხოლოდ დიანოზა მჭედელი ვერაა ხასიათზე, სამუშაო აღარა მაქვს, რაც ქალაქში ცხენები იყო, პატრონებთან ერთად წაიყვანესო.

ალბათ გახსოვს, წინა წერილში გწერდი პაშასა და იაშას ამბავს. პაშა ისევ დაღონებული დადის, თურმე იაშას დაღუპვის ამბავი გაუგია. საბრალო იაშა! რა კარგი ვაჟკაცი იყო!

ექიმი ადამოვსკი ჩვეულებრივად სახლში იშვიათად ათევს ღამეს. მისი შვილი იგორი მთელი დღეები ოთახში ზის და წიგნების მოსატანად ბიბლიოთეკაში მე მგზავნის. ერონისს მკლავზე ჭრილობა გაურთულდა, უნდა მოგჭრათო, ეუბნებიან, მაგრამ სასტიკ უარზეა. ახლა ცოტა უკეთაა, ასე რომ, შეიძლება ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს. ახლა, ამ წერილს რომ გწერ, ბებია თავზე მადგას და მეუბნება: მისწერე, შეეხვეწოს უფროსებს, იქნებ ცოტა ხნით მაინც გამოუშვანო. მე განა არ ვიცი, წერილის საწერადაც ვერ იცლი, მაგრამ ერთი სიტყვა — „კარგად ვარ“ მაინც მოგვწერე. მეტი არაფერი არ გვინდა.

ჰო, ჩვენი გვირაბის შეკეთება დაიწყეს, ბატონმა პლატონმა თქვა, რესტავრაციას უკეთებენო.

რაც შეეხება გვირაბის საიდუმლო სეიფის ამბავს, ყველაფერი ისევ იდუმალებით არის მოცული. ეს კია, ერთხელ შებინდებისას გვირაბის შესასვლელთან სან-

თლების ლაპლაპს მოვკარით თვალი. ეს იყო და ეს. გვირაბში შესვლა კი ჯერჯერობით ვერ გადაგვიწყვეტია.

მე, ალბათ, მალე სოფელში წავალ, კარტოფილი გვაქვს ამოსაღები.

მეტი რა მოგწერო, იყავი კარგად. მართლა, სულ დამავიწყდა, კუნტას გოგო შეეძინა".

საბრძოლო დავალება

გზის პირად, სამჭედლოს წინ, თხრილში ვზივართ. უბეში საგანგებოდ შერჩეული საშურდულე კენჭები გვიყრია. წინათ რომ ბელურებს და შაშვებს ვესროდით, ახლა თვითთოეული მამასისხლად გვიღირს.

რა ხანია, მზე საშუადღეოს გადასცდა.

ქუჩაში იშვიათად თუ გაივლის ვინმე, ჩერო-ჩერო.

ეს უკვე მერამდენე ეტლმა ჩაიქროლა ხრიგინით.

რაღა დღეს გაუწყრა ღმერთი მეეტლე ბიკიას? არ იქნა, მის გამოჩენას საშველი არ დაადგა.

ეტლი ჩვენს ქალაქში თითით საჩვენებელი როდია. ომამდე სადგურის უკან, ჭადრებთან, მატარებლების მოლოდინში ერთი აურზაური იდგა. ისმოდა ბოლმაჩაგუბებული „მიიწიე-გაიწიე!" მეეტლეები ეტლების შეღებვა-შელამაზებაშიც მუშტრებივით ეცილებოდნენ ერთმანეთს.

სხვადასხვაფერად შეღებილ ეტლებს შორიდანვე სცნობდნენ ციხისგორელები.

წითლად შეღებილი და ასევე წითელი ხავერდით

გაწყობილი ეტლი გიგო მიმინოშვილისა იყო; მწვანე — ნიკანდრო ჩოჩიასი; ცისფერი — ჩემი თანაკლასელი ბაბუცას მამისა. ყავისფერს მისი ძმები მელენტი და დათიკო დააგელვებდნენ რიგრიგობით.

ოდესღაც ლამაზად შეღებილ ეტლებს წინანდელი პეწი თანდათან დაეკარგათ. საკისრებზე მოწკრიალე ეჟვნებს თითქოს ხმა დაებეჟათ. ძველებური ჟღრიალით არ მიაქვთ მტვრიანი ქუჩები. ქალაქში ეტლები მაინც საკმაოდაა, მხოლოდ კოფოზე მოხუცები ან ცხვირმოუხოცავი ბიჭ-ბუჭები სხედან. ახლა ხშირად გაიგონებ: ამათ მიმნდობ კაცს ცხრა თავი უნდა ჰქონდესო.

ბიკია ჯარში არ წაუყვანიათ. ცოტა თვალს აკლია, ცოტა ყურს და კარგა გვარიანადაც მოიკოჭლებს.

დიდი აჯაჯა კაცი კია. მთელ ქალაქში, ალბათ, სანთლით რომ ეძებოთ, ერთ ბავშვსაც ვერ იპოვით, მისი ცხრაფად დაწნული მათრახის სიმწარე არ ეწვნიოს. რასაკვირველია, არც ჩვენ გვაკლდა ეს „წყალობა.“

იმ დღეს საბანაოდ ვიყავით ნოღელაზე. მზის გადახრამდე ვიწექი მდინარის პირას, სილაზე. მერე ნელნელა, ზოზინ-ზოზინით გამოვყევით გზას. მოსახვევთან ბიკიას ეტლმა ჩაგვიქროლა. დავედევნეთ და უკან დავეკიდეთ. ჩამავალი მზის შუქზე ჩვენი ლანდებიც ეტლს გვერდი-გვერდ მისდევდა. თურმე მეეტლემ მაშინვე შეგვამჩნია. ცოტა ხანს გვიცადა, თითქოს აქ არაფერიაო, ფიცხლად მიერეკებოდა ცხენებს. უცებ... ერთი, ორი, სამი! ყურის ძირში დაიზუზუნა მათრახმა. პანტაპუნტით გადმოვცვივდით ეტლიდან, მტვერში ცხვირჩარგულთ კარგა ხანს გვესმოდა ბიკიას მხიარული როხროხი...

დრო, თითქოს ძალით ეზიდებიანო, ნელა, ტაატით გადის. მეეტლე ბიკია ისევ არა ჩანს. ვიცოდით, ამ დროს, როგორც ყოველთვის, დაბარებულივით გამოჩნდებოდა ხოლმე ჩვენს ქუჩაზე. ეტლში ჩვენი მეზობელი, მეწაღე ნიკო უზის. ნიკოს ბაზრის შესასვლელთან პატარა საჩელოსნო ჯიხური უდგას. შიგ ორი ობოლი ძმისწული ჰყავს სამადლოდ — ხელობას ასწავლის. ნიკოს ნამდვილი ოქროს ხელი აქვს. უმეტესად ფეხსაცმელებს კერავს, მაგრამ შიგადაშიგ ჭრიჭინა აზიურებსაც გამოურევს. თვითონ მას ჩექმები არასოდეს არ სცმია, ჩემისთანა ტანმორჩილ კაცს სულ მაპატარავებსო. მე თუ მკითხავთ, სულ სხვაა მისი კუჭის ტკივილი... თავისთვის არ ემეტება.

ქალაქში თითქოს სიცოცხლე ჩაკვდა. სადღაა ძველებური საქორწილო ჭექა-ქუხილი. ზემო იმერლების წყალწყალა ღვინით მუცელდასიებული მეგრელები, რა ხანია, ბანცალ-ბანცალით აღარ მიჰყვებიან მთვარიანში ოკრობოკრო შუკებს. დავიწყებას მიეცა ერთადერთი გასართობი — მარულა. სადღაა მარულას ცხენები.

ვინ იცის, სად, რომელ აღმართს ებრძვის ახლა მათი ჭარჩადგმული მუხლები. მარუხთან? ბალყარეთის მთებში? თუ სიკვდილის ცელით გადათიბულ ყირიმის სტეპებში...

— დათო! —ანაზდად მომესმა ძახილი.

საფარიდან ფრთხილად ვიხედები. ჰოსპიტლის ეზოში დაჭრილი მეზღვაური დგას. ის ახლა ერთადერთი ქართველი მეზღვაურია მთელ ჰოსპიტალში.

— მოდი აქ, საქმე მაქვს შენთან! — ხელს მიქნევს ერონისი.

ვიცი, რა საქმეც აქვს, ალბათ, თამბაქოს საშოვნელად უნდა გამგზავნოს.

წელათრევით ამოვდივარ საფარიდან.

— იცი, რა? — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ იწყებს მეზღვაური, — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და გამიგებ... მე ალბათ იმ კვირას მაინც გამწერენ, უკვე კარგად ხარო, მითხრეს. სახლში აგერ, ათი წერილი გავაგზავნე და პასუხი მაინც არა ჩანს. არ ვიცი, რა ვიფიქრო. მარტოხელა არიან მოხუცები, ჩემი უფროსი და თუმცა ახლო სოფელშია გათხოვილი, მაგრამ იმას მისი გაჭირვებაც ეყოფა. ქმარი ფრონტზეა, სამი ჩვილი ბავშვი და მოხუცები ყავს სახლში. რას იტყვი, როგორ მოვიქცე?

— უნდა წახვიდე, ძია ერონის, უსათუოდ უნდა წახვიდე და ინახულო...

— მეც ასე ვფიქრობდი, მეგონა, ერთი-ორი დღის შვებულებას მაინც მოვცემენ-მეთქი, მაგრამ... არაფერი გამოდის...

„ეჰ, ძნელია, ძალიან ძნელი, აგერ, ყურისძირში, კაცს მშობლები გყავდეს და ვერ ნახო.“

— მაშ, რა უნდა ქნათ? — დამასწრო შეკითხვა გიამ.

— დათო, ისევ შენ უნდა მიშველო! — ერონისმა ხელი შემომხვია, დავიბენი.

— მე? მე რა შემიძლია?

— ჩემიანებთან უნდა წახვიდე! ჩემს ამბავს გააგებინებ და იმათ ამბავს ხომ მომიტან და მომიტან...

— მერე ბებია?

— ბებიას მე მოველაპარაკები.

— არა, არ გამიშვებს!

— ეგ ამბავი ჩემზე იყოს, თანახმა ხარ?

— დათოზე თუ ეტყვით, ჩემზედაც უთხარით დედა-ჩემს, მეც მინდა წასვლა! — შეეხვეწა გია.

— არა, ერთიც საკმარისია, ხომ იცით, ახლა მატარებ-ლით რა ძნელია მგზავრობა! — განაწყენებულ გიას თავზე ხელი გადაუსვა მეზღვაურმა და მერე ისევ მე მო-მიბრუნდა.

— დათო, იცოდე, ეს ნამდვილი საბრძოლო დავალე-ბაა!

თეთრი ღამე

დიდი სამამულო ომის დროს ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრია მატარებლით, თუნდაც სადგურიდან სადგუ-რამდე და რევიზორის განრისხებული სახისათვის შეუხე-დავს, როცა ჯიბეში ორიოდე გროშიც არ უჭყავის. მას არ შეიძლება არ ეფიქროს: ახლა ყველაზე კარგი გამო-სავალი გაქანებული მატარებლიდან კისრისტეხით გად-მოხტომა იქნებაო.

გადაწყდა, მივდივარ გურიაში. რასაკვირველია, ერო-ნისის მოცემული ფულით ბილეთი არ მიყიდია. პირველ-სავე შემხვედრ მატარებელს გავყევი სამტრედიამდე. ჯიბეში ერონისის წერილი, ხოლო გულში, გზაზე არ და-შიჭირონ-მეთქი, იმის შიში მედო.

სამტრედიიდან ჩემმა მატარებელმა პირდაპირ გაუ-

ტია. მე კი ბათუმისაკენ მიმავალ მატარებელს დავუწყე ლოდინი. რაღაც ხუთიოდე წუთში დაცარიელდა სადგურის ბაქანი. მოსაცდელ დარბაზში მგზავრებიც ცოტანი იყვნენ.

ჯიბიდან საგზლად გამოტანებული ჩამიჩი ამოვიღე და ჭამა დავიწყე. ვინ იცის, როდის მოვა ეს დასამტვრეი მატარებელი-მეთქი.

— რას ჭამ? — ვხედავ, გვერდით ვიღაც უცნობი, ასე ჩემი ხნის ბიჭი ამომდგომია. ტანზე დახეული კიტელი აცვია, მეზღვაურის უკაკარდო ქუდი თვალებზე ჩამოუფხატავს. მიკვირს, ასე შეუმჩნევლად საიდან გამოტყვრა. იკრიჭება. ეტყობა, მაწანწალაა.

— რა გინდა?! — უკმაყოფილოდ ვფრუტუნებ მე.

— რას ჭამ-მეთქი? — ახლა უფრო გამომწვევად მეკითხება უცნობი.

— არაფერს!

— არაფერს განა ჭამენ?— ხვიხვინით გადმოყარა ცხენის კბილები.

— წადი, შენი გზა ნახე!

— მაჭამე რა ცოტა?!

— არა მაქვს!

— სულ ცოტა, თუნდაც ერთი მარცვალი!

„ამას ვის გადავეკიდე! — ვფიქრობ მე; — კარგად ვიცნობ, რა ვაებატონიც ბრძანდება, ასეთები ადვილად როდი მოგშორდებიან. ჯანდაბას მისი თავი!“

ჯიბიდან მუჭით ვიღებ ჩამიჩს და გაზინზლულ ხელზე ვუყრი.

— ცოტა კიდევ, ძუნწი ნუ ხარ!

— გეყოფა!

მოძალადე ალბათ მიხვდა, მეტს რომ არ მივცემდი, თავი დამანება და იქვე ჩაცუცქდა.

— საით გაგიწევია, ჰა? — მკითხა, როცა უკანასკნელი მარცვალი გადაყლაპა.

—არსად!

— მაშ, სადგურში რაღას უცდი?

— მინდა და ვარ! შენ ვინ გეკითხება?

—გინდა, ჩემი ქუდი მოგცე? შეხედე, რა კარგია, მხოლოდ ლენტი აკლია, ლენტსაც იშოვი და ნამდვილი მეზღვაური იქნები.

„გიჟია ეს ოხერი!"

— ჰა, გინდა? ტყუილად მოგცემ! ცოტაოდენი ჩამიჩი კიდევ დამიყარე და შენი იყოს!

არ მინდა-მეთქი, ვეუბნები, მაგრამ გაგიგონია, შეაყარე კედელს ცერცვი, არაფრის გაგონება არ უნდა.

ჩათრევას ისევ ჩაყოლა ვამჯობინე.

— ა, კიდევ, მეტი\არ მომთხოვო, იცოდე, მეც არაფერი დამრჩა!

— საით გაგიწევია? ჰა! — ეს უკვე მერამდენედ მეკითხება.

ბათუმში მივდივარ-მეთქი.

— მაშ, თანამგზავრები ვყოფილვართ! — გაიხარა ძალად მაცხონე ბიჭმა, — მეც ბათუმში მივდივარ, გემზე უნდა მოვეწყო იუნგად, გერმანელებს უნდა დავცხო! უხ, მაგათი...

შევხედე, ბიჭს თვალები ანთებოდა, მეზღვაურის ქუდი ახლა კეფაზე მოეგდო, იდგა რაღაცნაირად გაჯგიმული,

მივხვდი, არ ტყუოდა. შემშურდა კიდეც მისი. მეც რამდენჯერ მიფიქრია გემზე იუნგად წასვლა. თუნდაც იმ დღეს, როცა ბიძიას დალუპვის ამბავი მოვიდა. მერე იაშას მინდოდა წავყოლოდი, მაგრამ ეკამ გამყიდა თხასავით. არავის უთხრა-მეთქი, დავანამუსე. მეორე დღეს კი მთელმა უბანმა იცოდა.

— მერე, მიგიღებენ გემზე? — იჭვნეულად ვეკითხები მე.

— მიმიღებენ, ნამდვილად მიმიღებენ! ერთმა მეზღვაურმა მითხრა, შენისთანა უდედმამო ბიჭები გემზე ბარე ოთხი გვყავსო.

— შენ რა, მშობლები არა გყავს?

— მამა ფრონტზეა, დედა გერმანელებმა დახვრიტეს, ჩვენს სოფელში მასწავლებელი იყო.

— მამაჩემიც ფრონტზეა, მხოლოდ დედა და ბებია მყავს! რას იტყვი, მე არ მიმიღებენ გემზე?

— რა თქმა უნდა, მიგიღებენ! თუ გკითხეს. შენც ადექი და უთხარი, ობოლი ვარ, არავინ მყავს-თქო.

უცნობი ბიჭის სიტყვებმა დამაფიქრა. მტრისას, ჩვენს სახლში ამბავი დატრიალდებოდა, ჩემს დაკარგვას რომ გაიგებდნენ! მერე რა მოხდა? გემზე მოვეწყობი თუ არა, წერილს მივწერ, ნუ გეშინიათ, ცოცხალი ვარ, მამაჩემთან მივდივარ ფრონტზე-მეთქი. ცოტას ივიშვიშებენ, ცრემლებს გადმოღვრიან, მერე დაწყნარდებიან. მორჩა და გათავდა!

მაგრამ ერონისი? წერილი? მისი მოხუცებული მშობლები? ეს ხომ სულმდაბლობაა! არა, ასე არ ივარგებს, ჯერ საქმე, მერე? მერე ვნახოთ!

ჩემმა ასეთმა გადაწყვეტილებამ მეორე გამახარა.

— მატარებელი საცაა ჩამოდგება! — ფიქრებიდან გამოვყევარ მომავალი იუნგას ხმას, — აი, იქეთ უნდა გადავიდეთ. დაიძვრება თუ არა, ჰოპლა! ზედ სახურავზე გავჩნდებით.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი ორთავეს შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიგვაქროლებდა.

საჯავახოსთან მატარებელი კარგა ხნით დააკავეს: სამხედრო ეშელონს უნდა გაევლო. ზაფხულის მცხუნვარე მზით გავარვარებულ თუნუქზე წოლამ ერთიანად მოგვიღო ბოლო, მოგვთენთა, მოგვაწყურა. ვანო (ესე ერქვა ჩემს ახლად გაცნობილ თანამგზავრს) წყალსაქაჩისაკენ გაიქცა, მეც ავედევნე და მოხდა წარმოუდგენელი რამ... დამიჭირეს. იმ ეშმაკის ფეხმა კი როგორღაც თავს უშველა.

და აი, მე მილიციის სამორიგეოში ვზივარ. მატარებელი კარგა ხანია წავიდა.

ღამის პირველი საათია.

კედელთან მიდგმულ ვიწრო ნარზე ვიღაც უცნობი ხვრინავს. მთვრალია. იგი ჩემს შემდეგ მოიყვანეს. ერთხანს იყვირა, იშფოთა, მერე ძილად მიეგდო: დამაცათ, სეირს ხვალ დილით გაჩვენებთო.

მაგიდასთან მორიგე მილიციელი ყვინთავს, ხანდახან ტელეფონის წკრიალზე თუ ასწევს თავს. დაღლილი და ნაღვლიანი სახე აქვს. თავპირი ჩამოსტირის.

„ბედნიერი, — ვფიქრობ მთვრალ უცნობზე, — არხეინად ხვრინავს. იქნებ ხვალ დილით გააპანღურონ აქე-

დან... მე კი... ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევს ყურ-ყუტი.

მაინც როგორ ნელა გადის დრო. ასე მგონია, მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც კედლის საათმა პირველი დარეკა და ისევ პირველი საათია... ამ მთვრალმაც რომ ჩემს ჯიბრზე უმატა ხვრინვას!

მორიგესაც ეძინება! ვინმე მაინც შემოვიდეს, ნუთუ ამაღამ გახდა ყველა პატიოსანი, არავის არ იჭერენ?

ჩუმად, ჩემთვის ვუსტვენ. ასე ვიცი ხოლმე, როცა მარტო ვარ და ვნერვიულობ, ან რაღაცაზე ვფიქრობ. მაგრამ მე ახლა არაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ვუსტვენ და ვერა და ვერ მომიგონია, საიდან მახსოვს ეს მელოდია. გონებას ვძაბავ. არაფერი გამოდის. იქნებ მილიციელმა იცოდეს. რა მოხდება, რომ ვკითხო?

— შენ რა, ტყეში ხომ არა ხარ? — უძილობისაგან დამძიმებულ თავს სწევს მორიგე.

— ამხანაგო კაპიტანო!

— დაიძინე, დაიძინე!

მორიგე, მგონი, ზემდეგია, მაგრამ მე კაპიტანს ვეძახი, ვიცი, სიამოვნებს.

— ამხანაგო კაპიტანო!

— რა მოგივიდა, ბიჭო?

— თქვენ ბებია გყავთ?

მორიგეს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ბურანიდან ერკვევა.

კითხვას ვუმეორებ.

მორიგეს ბებია არა ჰყავს.

— მე კი მყავს, ამხანაგო კაპიტანო!

— კარგი, გეყოფა, დაიძინე ახლა!

ხმაზე ვატყობ, მილიციელს ვეცოდები.

— მე ბებიამ გამზარდა... იცი, რა კარგი ბებია მყავს, რამდენჯერ ამიყვანია ხელში, ბუმბულივით მჩატეა, ცალი ხელითაც ავწევდი, მაგრამ არ მიშვებს...

მილიციელი დგება და ჩემთან მოდის.

— ხომ არ გცივა, ბიჭო?

— არა!

— აი, თუ გინდა ჩემი მაზარა მოისხი...

— გმადლობთ, არ მინდა... ცხელა!

— მაშ, ლანჩხუთში მიდიხარ, არა?

— ჰო!

— ვისთან?

— ხომ გითხარით, მისამართიც მაქვს და წერილიც...

— ჰო, ჰო, კარგი, დაიძინე ახლა!

დილით ჩემმა კაპიტანმა სამორიგეოს უკან, გზაჯვარედინზე გამომიყვანა და ლანჩხუთისაკენ მიმავალი დანჯღრეული მანქანის შოფერს ჩამაბარა.

მანქანა ნელა, ჯაყჯაყით მიუყვებოდა ოკრობოკრო, მტვრიან გზას და ყოველი კილომეტრის გავლის შემდეგ ჩერდებოდა. მძღოლი კაბინიდან გადმოდიოდა, სადღაც გარბოდა, ცოტა ხნის შემდეგ ძარაზე მანქანის რომელიმე ნაწილს აგდებდა და ისევ მივყვებოდით შარას.

— ეს რა მანქანაა? — იცინოდა შოფერი, — ძარაში ადგილი არაა, იმდენი ნაწილი ყრია, ეს ოხერი კი ძაინც მიდის. ან მე არაფერი მესმის, ან ამ მანქანის გამკეთებლებს არა აქვთ ჭკუა, ამდენ ზედმეტ ნაწილს რომ უკეთებენ...

ლაშისღელესთან შანქანამ უკანასკნელად ჩაიფრუტუნა და გაჩერდა. ამჯერად, მგონი საბოლოოდ. შოფერმა ხელი ჩაიქნია.

— აქედან საღამომდე თუ გავაღწიე, სასწაული იქნება.

— მოგეხმარები, ბიძია! — ვუთხარი მე.

— არა, არა, წადი, შენს საქმეს მიხედე, აქედან იმ სოფლამდე ახლოა. პირდაპირ ამ გზას გაჰყევი. გზაზე ვინმე მადლიანი შეგხვდება, მერე ის მიგასწავლის.

შოფერს გამოვემშვიდობე და წელათრევით გავუდექი გზას.

* *

შარაგზაზე მთათა ვეება ჩრდილი აფენია.

გზა მთებისაკენ მიდის და თითქოს დასასრული არ უჩანს.

მაინც რა შორს ყოფილა ერონისის სოფელი!

აგერ, გზის პირად, წყარო მოწანწკარებს.

ახლა ცივი წყალი ნამდვილად სულზე მისწრებაა.

ანაზდად წყაროს თავზე მაყვლის ბუჩქი შეირხა. ბუჩქიდან პატარა, ფეხშიშველი ბიჭუნა გამოხტა და ქურციკივით აჰყვა ფერდობს, მერე უცებ შედგა, ალმაცერად გადმომხედა და ისევ გაიქცა. ზემოთ, ჯუჯა ხის ჩეროდან, შესახვედრად გოგონა გამოვიდა.

— რა მოხდა, გოჩა?

აქლოშინებული ბიჭი სულს ძლივს ითქვამს და ჩემსკენ იშვერს ხელს. მე წყაროსთან ვდგავარ და ვილიმები. ნუთუ ასეთი საფრთხობელა ვარ.

— ვინა ხარ? რა გინდა?—მეძახის ზემოდან გაბრაზებული გოგო.

— ვინ უნდა ვიყო? ადამიანი ვარ! — მიკვირს მე.

— ბავშვს რატომ აშინებ?

ეტყობა, დიდი კოკობზიკა ვინმეა.

— არავისაც არ ვაშინებ, ჩემს გზაზე მივდივარ!

— ჰოდა, წადი, შენს გზას ეწიე!

— რა, აქ დგომა არ შეიძლება?

— არა!

— მაშინ არ წავალ!

გოგონამ მიიხედ-მოიხედა, ქვას თუ ეძებს.

— გოჩა, წადი, ბებიას დაუძახე, მგონი, ვილაც შერეკილია!

— დაიცათ, რაღაც მაქვს სათქმელი! — მუდარით ვეძახი მე.

— თქვი, რა გინდა! — გოგონა ოდნავ მოლბა.

— ერონის ჭანტურიას სახლი ხომ არ იცი?

— ვისი?

— ერონის ჭანტურიასი!

— ერონისი ჯარშია!

— ვიცი, რომ ჯარშია, მე მისი სახლი მინდა, გესმის!

— შენ ვინა ხარ?

ჭირის დღესავით მეზარება ამისთანა ყრუანჩალებთან ლაპარაკი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

— ქალაქელი ვარ, ერონისის მშობლებთან მაქვს საქმე!

— რა საქმე?

მივხვდი, მასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო, შევტ-

რიალდი და წასვლა დავაპირე. ან სად მქონდა მასთან წილადობილობის თავი.

— დაიცა! —შეფუცხუნდა გოგონა, — აქვე, ზემოთ ცხოვრობენ! — მერე პატარა ბიჭს მიუბრუნდა: — გოჩა, გაიქეცი და ბებიას დაუძახე, უთხარი, შენთან სტუმარია-თქო.

ბიჭი გაიქცა. გოგონა ნელა-ნელა ჩამოჰყვა საცალფეხო ბილიკს. ახლალა შევნიშნე, რომ გზიდან ფერდობს პატარა ბილიკი მიუყვებოდა. გოგონა შუა გზაზე შეჩერდა.

— ამოდი, რაღას უცდი?

მე წყაროს წყალი ისევ შევსვი და აღმართს ავყევი.

მალე მაღალი აკაციებით შემორაგვულ ეზოში წითელი კრამიტით დახურული პატარა ოდა გამოჩნდა. ჭიშკართან მოხუცი ქალი გველოდა. მისვლისთანავე მასპინძელი გულისყურით დამაკვირდა.

— ვინა ხარ, შვილო? რა გაგჭირვებია?

— ერონისის ამბავი მოგიტანე, ბებია,— ქლოშინით მივუგე მე.

— რამე უბედურება ხომ არ არის ჩემს თავს?! — სასოწარკვეთით შეიცხადა ქალმა, — ცუდი არაფერი მითხრა, შვილო, დედა ვარ!

— არა, ბები, ერონისის წერილი მოგიტანე, — უბის ჯიბიდან სამკუთხა ბარათი ამოვიღე. აქამდე უხმოდ მდგარი გოგონა სიხარულით აიტაცა.

— მაშ, კარგად არის, არა?

— ძალიან კარგად!

— შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! იაგორ, იაგორ! — დაფაცურდა მოხუცი, — ჩვენი ოქროიას წერილი მოვი-

და, იაგორ! — უცებ ბარათი ხელიდან გამოგვგლიჯა და ოდისაკენ ცუხცუხით გაიქცა.

— წამოდი! — სახელოზე დამჭაჩა გოგონამ, როცა მოხუცი ქალი ოდის კარებში მიიმალა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ახლა ვიგრძენი ჩემთვის უცნობი საამო დაღლილობა, რომლის ფასი მხოლოდ ეალმოხდილმა ადამიანებმა იციან.

ხუთი მანეთი

დიდრონი, მწვანე მთებით შემოზღუდული პატარა სოფელი თითქოს ქარიშხლის მოლოდინში გარინდულა. ვეება მზის სხივებს დაულამბავს აქა-იქ მთის კალთებზე დაუდევრად მიყრილ-მოყრილი თეთრი ღრუბლის ბალიშები.

გზის პირად აკაციისა და ჭადრის ხეთა კენწეროებს სუნთქვა შეჰკვრიათ. გულისგამაწვრილებლად ჭრიჭინებენ ჭრიჭინობელები. საოცარია, ამდენი ჭრიჭინით თავი რომ არ უსკდებათ!

ცხელა... ცა თითქოს გახურებული თონეა, აიღეს და თავზე დაამხეს დედამიწას.

მზის ცხელ გულზე, მტვერში წევს შარა-გზა. ბაოწეულებს გაღმა-გამოღმა ღობეებიდან გადმოუყრიათ წითელი კბილები.

ჩვენს წინ პატარა პერანგისამარა ბიჭი მიტანტალებს. ფეხებს მტვერში განგებ მიითრევს და მტვრის ბუქს პირდაპირ სახეში გვაყრის.

— რას შვრები? — შევუძახე ერთი-ორჯერ, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყა. გავბრაზდი და მერე როგორ! მოგეცათ ლხენა, იკადრა გაქცევა. სულ დედა, დედას ძახილით გადაევლო ალაგეს და თუთის ხეების ჩრდილში მიიმალა.

— ობოლია საწყალი! გასულ კვირას მამამისის დაღუპვის ქალალდი მოვიდა! —მეუბნება ერონისის დედა,— ჩემი ბიჭის კბილა იყო, ჯარში ერთად წაიყვანეს. ვაი, მის დედას, უბედურს!

— რა ვიცოდი! — დამნაშავესავით მოვყევი თავის მართლებას, — განა ვცემდი, ისე, შეშინება მინდოდა...

— არაფერია, შვილო! — შეეცოდე მოხუცს, — ძალიანაც კარგი ჰქენ, ჯერ უჭკუოა, მეორედ არ იზამს...

ღელეზე გადებულ ფიცრის ბოგირს გამოვცდით. მარცხნივ, ოდნავ ზემოთ, ბუჭობზე ჯარგვალა წისქვილია. ტანლატანა ტირიფებს თმებივით ჩამოშლილი ტოტები წყალში ჩაუყრიათ. წისქვილის წინ ხარებგამოხსნილი უღელი ღგას. ზედ შვიდიოდე წლის ბიჭი ზის, საფქვავს თუ დარაჯობს.

— ეჰ! — ხვნეშის ბებია მარგალიტა, — სადამდე მივიდა ჩვენი საქმე! მთელი სოფლის საფქვავი ერთ ურემზე ეტევა. ამდენი მარტო ჩვენი ოჯახიდან მოგვქონდა ერთ გზობაზე. იმ ჩემმა ბერიკაცმაც რაღა ახლა მიღალატა? ერთი წუთით მისი დატოვება არ შემიძლია, თორემ სახლში რა გამაჩერებდა! წავიდოდი ჩემს ბიჭთან, ენაცვალოს დედა! მოვუვლიდი. ვითომ ჩემზე უკეთესად უვლიან იქ? — რაღაცნაირი დაეჭვებით შემომხედა, აბა, რას იტყვისო, მაგრამ როცა არაფერი ვუპასუხე, თავისი-

ვე ნათქვამის დასადასტურებლად ოდნავ ხმამაღლა დასძინა: — არა, ნამდვილად არა! დედაზე უკეთ ვინ მიხედავს შვილს? მისი ცქერით მაინც გავძღებოდი.

— იქ ყველას კარგად უვლიან, ბებია, სულ თეთრ პურსა და მაკარონს აჭმევენ, მამას გეფიცები!

— მამა ხომ გყავს, შვილო?

— კი, ფრონტზეა.

— ღმერთმა მშვიდობით ჩამოიყვანოს თავის სახლში! დედა?

— დედაც!

— კარგი დაგემართოს. ის ბიჭი რომ მწერს, დაჭრილი ვიყავიო, მართლა მძიმედ იყო დაჭრილი?

— ცოტა რაღაც გაკაწრული მაქვსო, მითხრა, ახლა კარგადაა, მალე გაეწერება ჰოსპიტლიდან.

— იმ შენს კარგ დედ-მამას გაფიცებ, მართალს მეუბნები?

— კი, ბებია, სტამბოლის კაჟივითაა!

— შენ გაიხარე, შვილო, კარგი მახარობელი შენა ხარ. ნეტა, ცოტა ხნით სახლში არ გამოუშვებენ?

— არ ვიცი, უფროსებს კი სთხოვა, შეიძლება...

— დედა, დედა, ერთი ჩემი ოქროია დამანახა და მერე თუ გინდა მოვკვდე, არ ვჩივი! — ავიშვიშდა მოხუცი, მაგრამ წუხილს მალე მორჩა. — რაო, რას ამბობენ ქალაქში, კიდევ დიდხანს იქნებაო ომი?

— რა ვიცი, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

— მაინც?

— ჭკვიან ხალხს თუ დავუჯერებთ, მალე უნდა გათავდესო!

— ღმერთმა კეთილად გისმინოს, შვილო!

სამანქანო გზაზე გავედით. აქედან უკვე მოჩანდა რკინიგზის ყვითლად შეღებილი სადგურის შენობა.

ბზე ისევ გულდაგულ აცხუნებდა ისედაც გადახურებულ მიწას. გზის ორივე მხარეს ახლად ტანაყრილ სიმინდის ყანებს ხვატი ყელში უჭერდა, გასაქანს არ აძლევდა... ჩაყვითლებული ფურცლები დაჭრილი ფრინველის ფრთებივით ჩამოსცვენოდათ. ყანის პირებზე კახამბლისა და კაკლის ხის მწვანე ვარჯები გარინდებულნი შესცქეროდნენ ბუნების ამ უსამართლობას.

წყალი, წყალი, წყალი! თითქოს ამ უხმო დუმილში ისმოდა მათი სასოწარკვეთილი მუდარა.

მართლაცდა, რა მადლია ახლა წვიმა, დალოცვილი შხაპუნა!

— ბებია მარგალიტა!

— რა იყო, შვილო! — უცებ გამოერკვა ფიქრებში წასული მოხუცი.

— დაბრუნდით, აწი თვითონაც გავიკვლევ გზას, აი, სადგურიც გამოჩნდა.

— ეს არ მითხრა, ნენა, ჩემი ხელით უნდა ჩაგსვა მატარებელში!

— ჯობია იაგორა ბაბუას მიხედოთ, ვინ იცის, რა უჭირს.

— ასე მთლად ხელდაბანილი კი არაა მისი საქმე, რა უნდა მოუვიდეს, — ვერ მელევა ბებია მარგალიტა, — ცოტა ჩქარა გადმოადგი ფეხი, მატარებელმა არ გაგვასწროს!

მართლაც, ჩვენი მისვლა და მატარებლის ჩამოდგომა

ერთი იყო. შენ აქ დამიცადეო, მითხრა ბებია მარგალიტამ და სადღაც გაქრა. მალე მობრუნდა და მატარებლის ბილეთთან ერთად ხუთმანეთიანიც მომაჩეჩა: რომ ჩახვალ, ამით ჩემს სახელზე კამფეტი იყიდეო.

თითქოს ეზარებაო წასვლა, მატარებელი ნელა-ნელა დაიძრა. მე სარკმელთან ვიდექი და დიდხანს, დიდხანს გავცქეროდი დაცარიელებულ ბაქანზე მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცს, რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო და ალბათ უხმოდ ტიროდა.

* *

— დათო! — მომესმა ანაზდად.

„ბონდო? საიდან? როგორ?" — გამიელვა თავში. მის ოდნავ ჩახრინწულ, ნაძალადევ ბარიტონს მთელი სკოლის მოსწავლეების ხმაში ვარჩევდი ხოლმე. მგზავრებით სავსე ვაგონს თვალი მოვავლე და მხარმარცხნივ, ფანჯარასთან, მართლაც ბონდოს მოვკარი თვალი, აქეთ მოდიო, ხელით მანიშნებდა. გვერდით პატიკო და გუჯუია ეჯდა.

— სად იყავი, ბიჭო? — მისვლისთანავე მკითხა ბონდომ და ადგილი შემომთავაზა.

— მანდ არა! აი, აქ დაჯექი! — ადგილზე გამაქვავა უცებ ვიღაცის მბრძანებლურმა ხმამ და ვიდრე გონს მოვეგებოდი, ბონდოს პირდაპირ თითქმის ძალით დამსვა.

— რა გინდა, რას ერჩი ბავშვს?! — გამომწვევად შეუღრინა ბონდომ.

— ასეა საჭირო!

ახლოლა მივიხედე მისკენ. ჯემალი იყო, ჩვენი უბნის

რწმუნებული. როგორც ყოველთვის, მილიციელის ფორმა ახლაც არ ეცვა, მაგრამ თვალებში ისევ ისე, ჩვეულებრივად, ედგა ჩემთვის კარგად ნაცნობი მრისხანება.

— აქეთ სად ყოფილხარ?

— ლანჩხუთში ვიყავი. ჩვენთან, ჰოსპიტალში ერთი მეზღვაური წევს, წერილი გამატანა მშობლებთან.

— მერე?

— მერე რა? მივუტანე და აი, უკან ვბრუნდები.

— ხომ არ მატყუებ, ბიჭო? — თვალებში შემომაცქერდა ჯემალი.

— არა, მამას გეფიცები!

— იცოდე, ყველაფერს გავიგებ! ბებიაშენმა იცის?

— კი, იმან გამომიშვა. თუ არ გჯერა, ჰკითხე!

— ამასაც გავიგებ!

— ჯემალა, თავი დაანებე ბავშვს, გეყოფა, გესმის?! — ახლა პატიკომ შეუბღვირა უბნის რწმუნებულს.

— ჩუმად იყავით, თორემ ლაპარაკის უფლებასაც არ მოგცემთ! — მკაცრად გადახედა ბიჭებს ჯემალის გვერდით მჯდარმა ხანში შესულმა კაცმა. ეტყობა, უფროსი იყო.

ბიჭებმა საწყალობლად გადახედეს ერთმანეთს, მერე — მე, ხედავ რა დღეში ვართო, და ცელქობისათვის დასჯილი ბავშვებივით მიიყუჟნენ კუთხეში.

— ყმაწვილო! — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა უფროსმა, — კარგად იცნობ ამ ვაჟბატონებს?

ბიჭებმა ყურები ცქვიტეს, აბა რას იტყვისო.

— ამათ კინ არ იცნობს! — ოდნავ იმედი მომეცა მე, — ჩემი მეზობლები არიან!

--- კარგი მეზობლები კი გყოლია, მეტი რა ვუთხრა ამათ უცხვირპირო თავს!

-- ცოტა წესიერად, უფროსო! -- თვალები გადმოქაჩა გუჯუიამ, — ჩვენ ასე ლაპარაკს მიჩვეული არა ვართ!

— ქურდობაზე რაღას იტყვით? — ჩაიცინა უფროსმა, — იქნებ არც ამასა ხართ მიჩვეული?!

— ვინ არის ქურდი? ჩვენ? — ზეზე წამოიჭრა ღირსების საკითხებში მეტისმეტად მგრძნობიარე პატიკო.

— დაჯექი! — მკლავში წაეტანა ჯემალი და ძალით დასვა.

— რით დაგვიმტკიცებთ, რომ ქურდები ვართ, გვიპოვეთ რამე? გვიპოვეთ?! — მხარი აუბა ამხანაგს გუჯუიამ.

— ახლა აქ ამისი დრო არ არის, ყველაფერს გავარკვევთ.

— ხახვი არ დაგვაჭრათ ყურებზე! — მწარედ ჩაეღიმა აქამდე გაჩუმებულ ბონდოს,—საბუთი, საბუთია საჭირო! დათო! —ახლა მე მოემიბრუნდა, — ამათ არ დაუჯერო, დათო, არაფერი არ დაუჯერო, ჩვენ ქურდები არა ვართ! ამხანაგის სანახავად ვიყავით, მივდიოდით ქუჩაში ჩვენთვის და აი... ქურდები ხართო...

სადგურში ბებია მარგალიტას ნაჩუქარი ფული ბონდოს უჩუმრად მივაჩეჩე ხელში.

სახლში მისულს კიდევ უფრო უსიამოვნო ამბავი დამხვდა. ექიმ ადამოვსკის შვილს თავი მოეკლა, ხოლო ექიმი ჩვენი ბინიდან სხვაგან გადასულიყო.

ზღაპარი მოთმინებაზე

იმ ღამეს დიდხანს, ძალიან დიდხანს თვალი არ მოგვიხუჭავს მე და ბებიას. მოუსვენრად ვტრიალებდი ლოგინში. თვალწინ მედგა იგორის სანთელივით გაფითრებული სახე, თითქოს ვხედავდი, როგორ მიიკვლევდა თოვლში ეზას მხრებში თავჩარგული ექიმი ადამოვსკი. ვხედავდი მის ნაფეხურებს გაუკვალავ თოვლზე, როგორც ფარატინა ფურცელზე დასმულ მწუხარების მრავალწერტილებს. მაგონდებოდა, ბონდოიასა და პატიკოს სიმწრისაგან ნახევრად შეშლილი სახეებიც, ბებია მარგალიტას ცრემლიანი თვალები, ერონისი...

იგორი აღარ არის! რატომ? ფიქრები ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ გონებაში. წასულიყო, ებრძოლა მისი თანატოლების მხარდამხარ, თავის ძმებთან, მეგობრებთან ერთად.

აკი მეც ვაპირებდი ფრონტზე წასვლას, მაგრამ არ წავედი? რატომ? შემებრალა დედა, მოხუცი ბებია... მაგრამ თავის მოკვლა არ მიფიქრია. რატომ უნდა მოიკლას თავი ანგეშივით ძლიერმა ადამიანმა?

არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი!

— რა იყო, არ გეძინება, შვილო? — სიბნელეში მესმის ბებიას ძილგატეხილი ხმა.

— ბებია, რატომ მოიკლა იგორმა თავი?

ბებია ერთხანს ჩაფიქრდა, გავიგონე, როგორ შეტრიალდა საწოლში, მერე ყელი ჩაიწმინდა, მაგრამ ხველება აუტყდა. მივხვდი, გამოსავალს ეძებდა. ბოლოს ვერაფერს რომ ვერ გახდა, ისევ იოლი ფონი არჩია.

— ჯერ შენ პატარა ხარ, ამას ვერ გაიგებ, შვილო!

— მითხარი, ბებია!

— აბა, როგორ გითხრა, — შეყოყმანდა ბებია, — აი, გაიზრდები და ყველაფერს მაშინ მიხვდები!

— არა, მე ახლა არც ისე პატარა ვარ, მე მინდა ყველაფერი ვიცოდე!

— ფრონტზე წასვლა უნდოდა და მამამ არ გაუშვა!

— ეგ მეც ხომ ვიცი... რამდენჯერ მომისმენია მათი კამათისათვის. განა ამისათვის შეიძლება დაიღუპოს თავი ადამიანმა?

— აბა, სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა?!

— იგორი მხდალი იყო! — უცებ ხმამაღლა ვამბობ მე, ვამბობ თუ ვყვირი — ჩემსავე ხმას ვერ ვცნობ, — მხდალი და მშიშარაა ბონდო, პატიკო, გუჯუია. დიახ, ასეა! ვაჟკაცია ერონიმი, ერთხელ დაიჭრა და ისევ ფრონტზე წავიდა, როცა იქ, სოფელში, დაუძლურებული, მოხუცი მშობლები ეგულებოდა. ვაჟკაცია დომენტი გვენეტაძის ბიჭი, მას თავი არ მოუკლავს, არც მეზობლის თხა მოუპარავს, წავიდა ფრონტზე და მარჯვენა ფეხი იქ დატოვა. განა კაკო ბიძიას უნდოდა სიკვდილი? ვაჟკაცია მამაჩემი, ეკას, გიას, მამუკას მამები, ბაბუა ივანე, ესტატე, დიანოზა მჭედელი, კალისა, კოჩიაც კი... — გავყვიროდი მე და ყელში მომდგარი ბოღმა მახრჩობდა, თვალებში მოწოლილი ცრემლები გასაქანს ეძებდა.

— კარგი, შვილო, დამშვიდდი, გენაცვალოს ბებია, ასე როგორ შეიძლება!.. გეყოფა! მოდი, ჩემთან დაწექი!

მე ზლუქუნ-ზლუქუნით წამოვდექი საწოლიდან.

— გინდა ზღაპარი გიამბო? — მეკითხება ბებია, როცა

მის გაყინულ, გამხდარ ფეხებს ჩავეხუტე. მე უკვე სიბნელეშიც გარკვევით ვხედავ მის დამჭკნარ, ნაოჭებით დაღარულ, საყვარელ სახეს, მწუხარებით სავსე თვალებს, რომლებიც მისი თქმით, როცა იქნებოდა, მე უნდა დამეჩუჭა მისთვის.

* *

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ღარიბი, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი პატარა ვაჟი. ცოლ-ქმარს დღედაღამ შრომასა და ჯაფაში ამოსდიოდათ სული, მაგრამ დედამიწის ზურგზე მაინც არაფერი ებადათ.

— სანამ უნდა ვიყოთ ასე? წავალ სადმე, იქნება ბედს ვეწიოო... — უთხრა ერთხელ ქმარმა ცოლს.

ბევრი ემუდარა ცოლი: დარჩი, ნუ წახვალ, უშენოდ რაღა გვეშველებაო, მაგრამ ამაოდ. ქმრის გადაწყვეტილება ურყევი იყო. სინანულით გამოემშვიდობა ოჯახს, აიღო ხელში ჯოხი და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთი მდიდარი კაცის ოჯახს და ჰკითხა: მოჯამაგირე ხომ არ გინდათო.

— როგორ არ მინდაო! — გაუხარდა ბატონს, — სწორედ ერთი მწყემსი მაკლია. გასამრჯელოს რას ითხოვო?

— რამდენსაც გაიმეტებ, ბატონო! — მიუგო გლეხმა.

— მაშ, აი, რას გეტყვი: სამ წელიწადს, სამ თვესა და სამ დღეს უნდა მემსახურო. გასამრჯელოდ ერთ მუჭა ვერცხლის ფულს მოგცემ. ან არა, და ისეთ სიტყვას გეტყვი, მთელს შენს ცხოვრებაში რომ გამოგადგესო. რომელიც გინდა აირჩიეო.

გლეხი ჩაფიქრდა.

— ერთი მუჭა ვერცხლის ფულს ერთი ბრძნული სიტყვა მირჩევნიაო!

მართლაც, იმ დღიდან გლეხი ერთგულად ემსახურებოდა ბატონს. ცხვრის ფარამ იმრავლა, მაგრამ რა იმრავლა. ბატონი სიხარულით ცას სწვდებოდა.

გავიდა სამი წელი, სამი თვე და სამი დღე და აი, მწყემსიც მორჩილად მიადგა ბატონის კარს დაპირების მოსასმენად.

— მითხარი, ბატონო, რა სიტყვაა, ვერცხლზე მეტად რომ ფასობსო.

— მოთმინება! — მოკლედ მოუჭრა ბატონმა.

შეწუხდა გლეხი, ეს რა ბედენა არისო, უიმედოდ ჩაიქნია ხელი და წასვლა დააპირა.

— დაიცა, სად მიხვალ! — წინ გადაუდგა ბატონი.

— წავალ, ჩემს გზას ვეწევიო.

— შენისთანა კარგი მწყემსის დაკარგვა საწყენია, იქნებ კიდევ დარჩენილიყავი ჩემთან?

„რა ვქნა, ახალი ბატონის ძებნას ისევ ძველი მირჩევნიაო“, — გაიფიქრა გლეხმა და დათანხმდა.

— რახან ასეა, — სიხარულით გაუბრწყინდა ბატონს სახე. — ჩემი პირობა იცი, ორიდან ერთი აირჩიე: ბრძნული სიტყვა გინდა თუ ფული?

გლეხმა ფულს ისევ ბრძნული სიტყვა არჩია.

მწყემსი კვლავ ერთგულად ემსახურებოდა ბატონს. ცხვრის ფარამ ისე იმრავლა, რომ სათვალავი დაეკარგათ.

გავიდა სამი წელი, სამი თვე და სამი დღე.

მწყემსი ისევ მიადგა ბატონს დაპირების მოსასმენად.

— მითხარი, ის მეორე ბრძნული სიტყვა რომელიღაცო?

— ისევ მოთმინება, — კვლავ მოკლედ მოუჭრა ბატონმა.

შეწუხდა გლეხი, ეს რა ღვთის წყრომაა ჩემს თავსო, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ახლა კი ნამდვილად დააპირა, გასცლოდა იქაურობას. მაგრამ ბატონმა ისევ, ამჯერად უკანასკნელად, დაიყოლია შრომისმოყვარე, ერთგული მსახური.

კიდევ გავიდა სამი წელი, სამი თვე და სამი დღე.

უკვე ცხრა წელი, ცხრა თვე და ცხრა დღე იყო გასული მისი აქ მოსვლის დღიდან. გამდიდრდა ბატონი და მერე როგორ, მისი ბადალი მეორე არ მოიძებნებოდა მთელ დუნიაზე.

ისევ მორჩილად მიადგა გლეხი ბატონს მესამე ბრძნული სიტყვის მოსასმენად.

— ჩემი მესამე სიტყვაც მოთმინება ერქვა! — მოუჭრა ისევ ბატონმა.

აქ კი აევსო მოთმინების ფიალა გლეხს, უნდოდა ეყვირა, გაელანძღა მატყუარა, მაგრამ უცებ გაახსენდა მოთმინება და უხმოდ გაცლა არჩია.

— დაიცა, სად მიხვალო?! — წინ გადაუდგა ბატონი.

— უკვე დიდი ხანია გემსახურები, ბატონო, წავალ, ჩემს გზას ვეწევი, ვინ იცის, იქნებ სადმე ბედმა გამიღიმოსო.

— რახან შენსას არ იშლი, — დაუყვავა ბატონმა, — არ დაგაკავებ. შენ ამ ცხოვრებისა უკვე ბევრი რამ იცი...

წელან რომ ჩემთვის გეყვირა და მოთმინება არ გამოგეჩინა, ნამდვილად ბევრს წააგებდი. ახლა კი ამ პირველი მოთმინებისათვის ჩემი ცხვრის ფარის ნახევარი შენთვის მიბოძებია, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროსო.

მწყემსმა დიდი მადლობა გადაუხადა და გახარებული გაუდგა თავის გზას.

ცხოვრებამ კიდევ დიდხანს ატარა ბედის მაძიებელი. სად არ იყო, თითქმის მთელი ქვეყნიერება შემოიარა. ბოლოს შინ დაბრუნება გადაწყვიტა. უკვე მდიდარი კაცი იყო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თავის სოფელში და რას ხედავს: ძველი მიწური ქოხის ნაცვლად მის ეზოში დიდებული ოდა-სახლი დგას. ალბათ, ჩემი ცოლ-შვილი შიმშილით დაიხოცა და ჩვენს ნასახლარზე სხვა ვილაც დასახლებულაო. ამიერიდან ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვსო, გაიფიქრა და თავის მოკვლა განიზრახა. მაგრამ უცებ გაახსენდა მეორე ბრძნული სიტყვა — „ისევ მოთმინება“ და სანამ ამბავს კარგად არ გაიგებდა, მოთმინება არჩია.

ღარიბულად ჩაცმული, ჩამოძენძილი, თითქოს მოწყალების სათხოვნელად შევიდა ეზოში. ხედავს, საქორწილო სუფრაა გაშლილი და უთვალავი ხალხი ირევა. ასწლოვანი კაკლის ხის ძირას კი წრე შეუკრავთ და ცეკვაა გაჩაღებული. ქალში თავისი მეუღლე იცნო. მიღალატა ამ უნამუსო დედაკაცმაო, — გაიფიქრა და ცოლის მოსაკლავად გაიწია, მაგრამ ამ დროს მესამე ბრძნული სიტყვა გაახსენდა. თავი შეიკავა და იქვე მდგომ კაცს გამოელაპარაკა.

— ერთი, თქვენი ჭირიმე, გამაგებინეთ, აქ რა ამბავი ზდებაო.

— როგორ თუ რა? —გაიოცა სტუმარმა,—ამ ოჯახის ვაჟიშვილი დაქორწინდა და აგერ, ერთად რომ ცეკვავენ, დედა და შვილიაო.

— მამა? მამა სადღა არის?

— მამა ოცი წელია სადღაც გადაიკარგა. მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის. საწყალმა ქალმა ოჯახი არ დაანგრია, შვილი გამოზარდა და ახლა შენც ხედავ, რა ბედნიერი არისო.

მოხუცს თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა.

— ამ ბიჭის მამა მე ვარო! — თქვა.

ატყდა ერთი აურზაური, ხვევნა-კოცნა.

ცხრა დღე და ღამეს გაგრძელდა ლხინი. მეც იქ ვიყავი, კარგა გვარიანად გეახელი ყველაფერს და ეს არის, ახლა იქიდან მოვედი. დაიმახსოვრე, შვილო, ვინც მოითმენს, ის მოიგებს!

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

დილით ბებიამ ჩემი ერთადერთი შარვალი გარეცხა, ჭუჭყიანიაო. მეტი რა გზა მქონდა, სალამომდე ვიწექი ლოგინში. არ გასჭრა მუდარამ, შარვალი გაშრა, ავდგებიმეთქი. ბებია ჯიუტობდა: დაიცა, ბიჭო, ეკიდოს ეზოში ცოტა ხანს ეგ შარვალი, დაინახოს ხალხმა, კიკნაველიძეების ოჯახში მამაკაცი კიდევ არისო.

წერილი მამას

„მივიღეთ შენი წერილი. შეიძლება ცოტა ხნით ჩამოვიდეო, რომ იწერები, ბებია სიხარულისაგან ცას ეწია. დღე და ღამე სულ შენს მოლოდინშია.

ღამღამობით წვიმისა რომ გვეშინოდა და საბანს ზემოთ მაგიდის მუშამბას ვიხურავდით, ახლა აღარ გვჭირდება. სახლის სახურავი, როგორც ფრონტელის ოჯახს, უსასყიდლოდ შეგვიკეთეს. წელს მოსავალიც კარგია. ამინდებიც კარგი დაიჭირა. ბაბუა ივანე ამბობს: ორიოდე კვირა თუ კიდევ ასე გასტანა, წელს იმდენ ღვინოს მოვიწევთ, შვილიშვილების ქორწილამდე გაგვყვებაო.

მამიკო, ალბათ, გახსოვს ჩვენი მეზობლის ბიჭი, ბონდო, დაიჭირეს და სამი წელი მიუსაჯეს ქურდობისათვის. ფრონტზე წასვლა ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. გულღვიძლი დამეწვა მისი საცოდაობით. ბოინზე წასაყვანი ხარივით ბღაოდა. გაიქაჩნენ დაზარალებულ-მომჩივანები, გაუშვით, ცოდვაა, ჩვენ არაფერს ვუჩივით, ვინ იცის, იქნებ მისგან კაცი დადგესო, მაგრამ კანონი რისი კანონია, თუ ქურდი და ყველა ძაღლი-მაშაძაღლი გაუშვ-გამოუშვა.

არა, ისე გულზე ხელი რომ დაიდვას კაცმა, არც მე ვარ წმინდა წყლის, არც გია, არც მამუკა, თუ გინდა ბაბუა ივანეც. მახსოვს, ერთხელ ბებიაჩემს უთხრა: რა მოხდა, შე ქალო, ბავშვობაში ერთი-ორჯერ მეზობლის ბაღში მეც გადავპარულვარო.

მაშ, ყველა დასაჭერი ვყოფილვართ.

რა ლეღვის ქურდი და რა თხისა.

მე ლეღვი მოვიპარე, ბონდომ — თხა.

განა ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდი არ არის?

სამი წელი!

სამი წელი ხუმრობა როდია!

სამი წლისაა ახლა ჩვენი კუნტას უმცროსი ბიჭი ვახო, დადის, ლაპარაკობს, ავსა და კარგს არჩევს.

სასამართლოდან დაბრუნებული ლევანი, ვარდენას ბიჭი, მთელი დღე იფხრიწებოდა სიცილით, ეს რა მოხერ-ხებული მეზობელი გვყოლია, ღმერთმა ააშენა მისი ოჯა-ხი, დაგვწყვიტა ხალხი სიცილითო. თურმე, ერთხელ, ბონდო და მისი ამხანაგები ერთ მეგობარს დაუპატიჟნია მახლობელ სოფელში საქეიფოდ. უსვამთ და ულხენიათ გემოზე. შუაღამისას აყრილან სუფრიდან. არყით გამო-ბრუჟული ბიჭები თუთარჩელა ღამეში ბანცალ-ბანცალით გამოჰყოლიან ქალაქისაკენ გზას. მოსახვევში თხის პეტე-ლი გაუგონიათ. იქვე, გზის პირას, ოდის ლაფაროში თხა შეუნიშნავთ. შესცოდებიათ, წავიყვანოთ ქალაქში, აქ რა უნდა გააკეთოსო. დაუვლიათ რქებში ხელი და სულ ჩიქჩიქით გამოუყვანიათ შარაგზაზე. პატიკოს თურმე იქვე დაკიდული ჭყინტი ყველით სავსე ხალამი დაუთ-რევია.

საცოდავ თხას დაუწყია პეტელი, პეეე!.. პეეე!

ვარივარალეეე! — აჰყოლიან ბიჭები. ასე: პეეე-ვარი-ვარალეს ძახილით და ჭყინტი ყველის ჭამით ჩამოსულან ქალაქში.

ეს იყო და ეს, მდინარე მიუშვი და კალაპოტს თვი-თონ იპოვნისო. არა, რა არის მაინც აქ სასაცილო?!

ო, როგორ ტიროდა ბონდოს და მზია, მისი ცრემლების დანახვა ალბათ ქვასაც მოულბობდა გულს...

მამიკო, ციხისგორას გვირაბის საიდუმლოსაც იმ დღეს აეხადა ფარდა. თურმე საიდუმლო სეიფს პირველად ბონდომ და მისმა ამხანაგებმა მიაგნეს და ნაქურდალს იქ ინახავდნენ, ხოლო პაპიროსის კოლოფი და ასანთი მათი პაროლი ყოფილა".

ჩვენ ოთხნი ვართ

როგორც იქნა, თებერვლის უძლურმა მზემ ზამთარს წელი მოსწყვიტა, მუხისგორას ფერდობები ლილო-ჭრილოებმა დაფარა.

მიიწურა მარტის უმიზეზოდ მტირალა, ნაღვლიანი დღეებიც. აპრილში აფეთქებულ კვირტებს ვარდობის თვემ თვალებში ნათელი ჩაუყენა და სამსეოზე დაანახვა ქვეყანას.

გაზეთებს ყოველდღე აბალ-ახალი სასიხარულო ამბები მოაქვს: ჩვენი ჯარები ყველა ფრონტზე წარმატებას წარმატებაზე აღწევენო. რადიოს თითქოს მეტი რიხი და ხმა მიეცა, გადახალისდა. ციხისგორელები ფერზე მოვიდნენ, გამოცოცხლდნენ. მზეც თითქოს სხვანაირად იცინის, სხვანაირად კამკამებს ცის ლაჟვარდი.

ბიჭები ახლა ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ეკაც ჩვენთან არის. უფრო ხშირად ჩვენი გვირაბის შესასვლელთან ვიკრიბებით.

დღეს მამუკა რატომღაც ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა, თან ერთი თონის პური მოიტანა, ჭამეთო.

— სად იყო ბიჭო, ეს? — ჰკითხა გაოცებულმა გიამ.

— ჩვენი საცხობის გამგეს ფრონტიდან შვილის წერილი მოუვიდა... სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა კაცი. აგერ, სამი თვეა, მისი არაფერი ისმოდა, დაკარგული ეგონა. ჰოდა, „სამაღარიჩოდ“ ცოტაოდენი გადაჰკრა. მე ორი თონის პური მომცა და გამომიშვა, დღეს დაისვენეო. მეც წამოვედი, ერთი პური სახლში დავტოვე, ეს კი თქვენ წამოგიღეთ, ბიჭებს ეშიებათ-მეთქი.

— აი, ეს მესმის!

— ბიჭოს, თბილი ყოფილა! —მადიანად ილუკმება გია.

მამუკას ეღიმება, ცოტა ეკასაც შეუნახეთო.

— მართლა! სად დაიკარგა ეკა? — ვთქვი მე.

— ამდენ ხანს უნდა მოსულიყო!

— მოვა, აბა რას იზამს!

— ეე! — უცებ ჩაბჟირდა მამუკა, — აგერ, ისიც!

ალმართზე ეკა ამორბოდა.

„რაღაც ამბავია ჩვენს თავს!“ — გავიფიქრე მე.

— ბიჭებო! ბიჭებო! — აქლოშინებული ეკა სულს ძლივს ითქვამს. ქერა, დაბურდული თმები დაუდევრად ჩამოშლია სახეზე, მარცხენა ხელში ცალი ფეხსაცმელი უჭირავს, სირბილის დროს თუ გასძვრა. მარჯვენათი კი ფარატინა ფურცელს მოაფრიალებს.

„ღმერთო ჩემო, ნამდვილი ალქაჯია!“

— რა იყო, რა მოხდა? — ნაძალადევი სიმშვიდით ეკითხება გია.

— აბა, თუ მიხვდებით?

— მამაშენის წერილია?

— არა!

— ალბათ, დედაშენმა მოიწერა!

— არა!

— აღარ იტყვი?! — გაბრაზდა მამუკა და ფურცელს წაეტანა, მაგრამ ეკა გაუსხლტა და მიწაყრილზე შეხტა.

— თავი დაანებეთ, ვნახოთ, სანამდე იხტუნებს! — ვთქვი მე.

ეკას სახე მოეღრუბლა. მიწაყრილიდან ფრთხილად დაცურდა. განაწყენებულმა ქაღალდი ხელში მომაჩეჩა და სრუტუნით განზე გადგა.

— ბონდოს წერილია, ბებია ქეთემ მომცა, ბიჭებს მიუტანეო.

გაოცებულნი ერთმანეთს მივაჩერდით. ბონდო თითქმის დავიწყებული გვყავდა. ხანდახან თუ გაგიხსენებდით, მაგრამ მოსაგონარიც კარგი არაფერი გვქონდა. ახლა კი ამდენი ხნის შემდეგ მისი წერილი, ისიც ციხიდან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

* *

„გამარჯობათ, ბიჭებო!

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენი ქალაქი დავტოვე. თავი შევირცხვინე, ძმებო, და სირცხვილი გაჭამეთ ყველას. ვგრძნობდი, ჩემს ულირს საქციელს კარგი არაფერი მოჰყვებოდა. ასეც მოხდა! ახლა, გონების თვალით გადავცქერი განვლილ ცხოვრებას და მრცხვენია. მაგრამ დანაშაულს გამოსყიდვა უნდა!

ამას წინათ ჩვენს სანახავად ჩემი და მზია იყო. ასე რომ, მთელი ციხისგორას ამბავი დაწვრილებით მიამბო.

გამიხარდა, რომ ყველანი კარგად ყოფილხართ, კომკავშირშიც მიულიხართ, სულით და გულით გილოცავთ.

წუხელ გვიან ღამემდე ვისხედით ბიჭები, ვიგონებდით ჩვენს მშობლიურ ქალაქს, საყვარელ სკოლას. ეჰ, რას იზამ, ურემი გადაბრუნდა და გზა მერე გამოჩნდა.

ეს მერამდენედ ვგზავნი თხოვნას, ფრონტზე გამიშვან, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს. მე უკვე თვრამეტი წლისა ვარ, პატიკოც ჩემი ხნისაა. მხოლოდ გუჯუს მოუწევს კიდევ ცოტა ხანს ლოდინი.

გჯეროდეთ, ამჯერად თავს არ შევირცხვენ. მოგიკითხათ გუჯუმ და პატიკომ. ნახვამდის!

თქვენი ბონდო“.

შინაარსი

ნაწილი პირველი

სათევზაოდ . 3
მამა და დაუპატიჟებელი სტუმარი 12
ბონდო . . 20
ისტორიის მასწავლებელი 31
ბურთი დაიკარგა 33
გვირაბში 38
ომია! ომი დაიწყო! 49
ცოცხლად დამარხულები 53

ნაწილი მეოთხე

კუნტა 64
შავი ქალალდი 71
სიმინდის სატესად 76
წერილი მამას 84
ექიმი ადამოვსკი 87
ახალი წლის ღამეს 92
სიმართლის მოყვარული ბებია 99
კომკავშირის რაიკომში 104
საბრძოლო დავალება 113
თეთრი ღამე 117
ხუთი მანეთი . 127
ზღაპარი მოთმინებაზე 134
წერილი მამას 141
ჩვენ ოთხნი ვართ 143

Никабадзе Джансуг Ноевич
Тайна Цихисгоры
(На грузинском языке)
Детгиз Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1970

რედაქტორი მ. სოხაძე
მხატვარი ჯ. ყაველაშვილი
მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ნ. შველიძე
კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი თ. ინჯია
გამომშვები ზ. ნიშნიანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-70 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 9,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
უე 01746 ტირაჟი 10.000 ფასი 20 კაპ. შეკვ. № 2899

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5